ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

შაბათი-კვირა

24 დეკემბრიდან „ახალი თაობა“+

ჯეიმს ჰედლი ჩეიზი

„დათარსული კაცი“

წიგნი და გაზეთი ერთად 2,5 ლარი



24 — 25 დეკემბერი, 2011 №305 (5685) ფასი: 30 თეთრი



# ბიძინა ივანიშვილმა 4 პარტია დააფინანსა

გვ.5

არის თუ არა ეს გაზპრომისა და „ეფ-ეს-ბე“-ს ფული



## ქეთი დოლიძე: „კულტურის მოღვაწეებს აიძულებენ, ივანიშვილის დახმარებაზე უარი თქვან“

გვ.3



## მამა დავითი: „მომავალი მღვდელი 5 წელი მაინც უნდა იყოს დიაკონი“

გვ.12



## ავთანდილ მარგიანი: „თბილისის ომამდე ცოტა ხნით ადრე რუსები ეროვნული გვარდიის განადგურებას აპირებდნენ“

გვ.4

რატომ თქვა პარლამენტმა უარი მერაბ კოსტავას სიკვდილის მიზეზების გამოძიებაზე



## ბავშვებისთვის მობილურ ტელეფონზე საუბარი საშიშია!

გვ.8



## ვერა ქობალია მიხეილ სააკაშვილის ინიციატივას იწუნებს

გვ.8



## მუცო ნადგურდება

„დროზე თუ არ მივხედეთ, არაფერი აღარ ეშველება“

გვ.19

ISSN 1987-9385

## კვირის ქრონიკა













გვ.2

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

## 2011 წელს მსოფლიოში 66 ჟურნალისტი მოკლეს

საერთაშორისო ორგანიზაცია „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ მონაცემებით, 2011 წელს მსოფლიოში 66 ჟურნალისტი მოკლეს, 171 კი დააპატიმრეს.

ორგანიზაციის ინფორმაციით, ყველაზე მეტი – 10 ჟურნალისტი პაკისტანში მოკლეს, 7 ჟურნალისტი – ერაყში, 5 – ლიბიაში, 5– მექსიკაში, 4 – სომალიში. იმ ქვეყნების ჩამონათვალში, სადაც ჟურნალისტების



მკვლელობები ხდებოდა, 28 ქვეყანა მოხვდა, მათ შორის – რუსეთი და აზერბაიჯანი.

გარდა ჟურნალისტებისა, გასულ წელს ადგილი ჰქონდა მედიასაშუალებების 2 თანამშრომლის მკვლელობასაც.

2011 წელს დაპატიმრებული 171 ჟურნალისტიდან ყველაზე მეტი – 34 ერითრიაში დააკავეს. 30 ჟურნალისტი დააპატიმრეს ჩინეთში, 26 – ირანში, 25 – ბირმაში, 10 კი უზბეკეთში. ჟურნალისტების დაპატიმრებას სულ 28 ქვეყანაში ჰქონდა ადგილი.

## დეპუტატების რაოდენობა აღარ გაიზრდება



იხარე ერო! დეპუტატების რაოდენობა აღარ გაიზრდება და ამით საქართველოს ბიუჯეტში რამდენიმე მილიონი ლარი დაიზოგება. ვისაც აღარ გახსოვთ შეგახსენებთ, რომ დეპუტატების რაოდენობა 190–მდე უნდა გაზრდილიყო.

მომავალი მოწვევის პარლამენტის დეპუტატთა რაოდენობა აღარ გაიზრდება. გადაწყვეტილება ამის შესახებ საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად განსახორციელებელი ცვლილებების დოკუმენტის ხელმომწერი პარტიების ლიდერებმა მიიღეს. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძესთან გამართული კონსულტაციების შედეგად, ისინი შეთანხმდნენ, რომ აქამდე მოქმედი პრინციპი 75-75-ზე შეიცვალოს პრინციპით 73-77-ზე.

დეპუტატთა რაოდენობა საქართველოს პარლამენტში 150 კაცით განისაზღვრება. ეს რიცხვი უახლოეს მომავალში აღარ შეიცვლება, თუმცა მცირედ შეიცვლება მაჟორიტარული და პროპორციული წარმომადგენლობის ბალანსი: პროპორციული სიით გასული დეპუტატების რაოდენობა მაჟორიტარებზე 4-ით მეტი იქნება.

– რადგან 150 კაციან პარლამენტზე იყო საუბარი, 73 არის იმ მაჟორიტარული ოლქების რაოდენობა, რომელშიც დღეს შეიძლება რეალურად ჩატარება საქართველოს პარლამენტის არჩევნების. იცით თქვენ, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდება არჩევნების ჩატარება. აქედან გამომდინარე, 73 მაჟორიტარი იქნება არჩეული, – განაცხადა პავლე კუბლაშვილმა.

შორენა მარსაგიშვილი

## თორთლაძეს ცაგარეიშვილმა უჩივლა



ერთ დროს ახლო მეგობრები და პოლიტიკური თანამოაზრეები გია ცაგარეიშვილი და გია თორთლაძე ერთმანეთს მწარედ გადაეკიდნენ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ცაგარეიშვილმა თირთლაძეს შს მინისტრთან და მთავარ პროკურორთან უჩივლა.

ყველაფერი კი თორთლაძემ დაიწყო. მან ჯერ პრესკონფერენცია მოაწყო და იქ დაუწუნა ივანიშვილს რუსული ფული, შემდეგ კი პარლამენტის სხდომაზე გააკეთა საგანგებო განცხადება.

დეპუტატ გია თორთლაძის შეფასებით, ბიძინა ივანიშვილი რუსული ფულით ქვეყნის შიგნით არეულობის მოწყობას ცდილობს.

– ამის შესახებ მე უკვე ვისაუბრე 10 დეკემბერს გამართულ ბრიფინგზე, თუმცა მსურს, რომ განცხადება პარლამენტის სხდომათა დარბაზიდანაც გავაკეთო. მინდა ყველამ იცოდეს, რომ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში, რუსული ფულის ფართომასშტაბიანი გავრცელება მიმდინარეობს. ბიძინა ივანიშვილი გააქტიურდა, რომელიც არის რუსი ოლიგარქი და არა ქართველი პოლიტიკოსი. იგი ცდილობს, იყიდოს პოლიტიკური პარტიები. მე მაქვს უტყუარი ინფორმაცია. ირაკლი ალასანიას პარტია, „რესპუბლიკელები“, ზვიად ძიძიგური, კობა დავითაშვილი და ექსპერტთა საბჭო სრულად ფინანსდება ბიძინა ივანიშვილისგან,| – განაცხადა თორთლაძემ.



თორთლაზე იმედოვნებს, რომ ახალი კანონპროექტი პოლიტიკური პარტიების გაერთიანებების შესახებ თავიდან აცილებს საქართველოს უცხო ქვეყნის ოლიგარქების ჩარევას.

სხდომაზე დეპუტატმა ის პირებიც ახსენა, ვინც ივანიშვილი ჩაუშვა. სამწუხაროდ თორთლაძეს მათი ვინაობა არ დაესახელებია. მაგრამ ერს შთააგონა, რომ მან ზუსტი ინფორმაცია მიიღო.

– მე მაქვს უტყუარი ინფორმაცია იმ პირებისაგან, ვინც წარმოადგენენ უახლოეს გარემოცვას იმ ადამიანებისა, რომელთაც ეს ფული აიღეს ან აპირებენ აიღონ. ეს გახლავთ არაქართული წარმომავლობის ფული, ეს არის რუსული ფული. ძალიან დიდი ფული, „გაზპრომის“ ფული და ხმარდება საქართველოში შიდა არეულობის ინსპირირებას, – აცხადებს დეპუტატი.

გია ცაგარეიშვილი თორთლაძის განცხადებამ გააღიზიანა. და მან სულაც ქვეყნის შს მინისტრსა და მთავარ პროკურორს მიმართა.

– ის ბრალდებები, რაც დარბაზში გაისმა, აუცილებელია, სამართალდამცველებმა გამოიძიონ, რომ საბოლოოდ გაირკვეს ვინ ვის და როგორ აძლევს ფულს. ქართულ პოლიტიკაში, სამწუხაროდ, არიან ადამიანები, რომლებიც კონკრეტულ დავალებებს ასრულებენ, მაგრამ ამას ისე უნიჭოდ აკეთებენ, რომ ადამიანს არ უნდა დიდი ფიქრი მიხვდეს ეს საიდან მოდის. მრავალჯერ გამოვსულვარ მოწოდებით, რომ შეწყვეტილიყო მტრის ხატის გამოძერწვა ადამიანებისგან, მაგრამ როგორც ჩანს, ეს შეუძლებელია. გთხოვთო, რომ ჩემი სადეპუტატო მიმართვა საქართველოს მთავარი პროკურორის სახელზე და შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე გაგზავნოთ. მივმართავ სამართალდამცვ სტრუქტურებს გამოარკვიონ ვისი ფული სად რიგდება, როგორ რიგდება. იმედი მაქვს ეს ყველაფერი გაირკვევა, – განაცხადა დეპუტატმა.

## სააკაშვილი სტომატოლოგიურმა ზრახვებმა შეაწუხა

საქართველის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ნამდვილი იდეების საბადოა. მისი მოუფიქრებელი ფაქტიურად არაფერი დარჩა. ერთი ბრწყინვალე იდეა მას თავის დაბადების დღეზე მოუვიდა.

პრეზიდენტს დაბდლე 21 დეკემბერს ჰქონდა. ამ დღისთვის მისი მომხრეებიცა და მოწინააღმდეგეებიც საგანგებოდ ემზადებოდნენ. განსაკუთრებული სამზადისი ლეიბორისტებს ჰქონდათ. მათ ჯერ კიდევ ერთი თვის წინ დადეს პირობა, რომ სააკაშვილის დაბადების დღეს ჩააშხამებდნენ.

პირობის შესასრულებლად მიადგნენ კიდევაც პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციას. და ტრადიციულ სტილში რაღაცეებიც შესძახეს. რითაც ქვეყნის პირველ პირს საზეიმო განწყობა ნამდვილად ვერ ჩაუშალეს. რადგანაც პრეზიდენტი იმ მომენტში რეზიდენციაში არ გახლდათ.

იმ დღეს პრეზიდენტმა სოციალურად დაუცველ მოხუცებთან ერთად ისადილა და მათ მეგობრების ნაჩუქარი ხიზილალით და ესპანური ყველით გაუმასპინძლდა.

სწორედ ამ სადილზე გააჟღერა ქვეყნის პირველმა პირმა ახალი იდეა. რომელსაც „ღიმილიანი საქართველო“ ჰქვია.



მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, მისი ინიციატივით, უახლოეს მომავალში საპრეზიდენტო პროგრამა „ღიმილიანი საქართველო“ ამოქმედდება. პროგრამა ქვეყნის მასშტაბით ხანდაზმულებისთვის სტომატოლოგიურ მომსახურებას ითვალისწინებს.

– ჩვენ ვამზადებთ დანტისტებს, გამოვყოფთ თანხებს. გავაკეთოთ საპრეზიდენტო პროგრამა, დავარქვათ „ღიმილიანი საქართველო“, დავიწყოთ ამ სასადილოში მყოფი ადამიანებისგან, მერე გადავიდეთ სოფლებში და საქართველოში ყველა ხანდაზმულ ადამიანს გავუწიოთ სტომატოლოგიური მომსახურება. დავუპლომბოთ, ჩავუსვათ, გავუპრიალოთ ყველას კბილები, რომ კარგ ხასიათზე იყვნენ და სულ იღიმებოდნენ. როცა ადამიანს კბილებთან დაკავშირებული პრობლემა აქვს, მუშაობის ხალისი ეკარგება, ღიმილის ხალისი ეკარგება, და საერთოდ, ცხოვრებაზე სხვა წარმოდგენა აქვს, – განაცხადა სააკაშვილმა.

ასე რომ, არ გაგიკვირდეთ თუ სახლში ერთ მშვენიერ დღეს პრეზიდენტმა მოგაკითხოთ და კბილების დაკრეჭა მოგთხოვოთ. ვისაც სტომატოლოგების გეშინიათ სააკაშვილს კარებს ნუ გაუღებთ.



## ხელისუფლება ალექსანდრე ყაზბეგის ძეგლის ხელშეუხებლობის გარანტიას იძლევა

სოციალური ქსელებით და მედიით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ხელისუფლება ალექსანდრე ყაზბეგის ძეგლის გადატანასაც აპირებდა. საუბარი სტეფანწმინდაში მდგარ ალექსანდრე ყაზბეგის ძეგლზე.

გავრცელებული ინფორმაციით, ხელისუფლება მის აღებას და ძეგლის ადგილზე საზკვების ობიექტის აშენებას გეგმავს.

ამ ინფორმაციას არ ადასტურებს, არც ყაზბეგის გამგეობა და არც მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაცია.

ისინი ამბობენ, რომ ძეგლის რესტავრაცია იგეგმება და მის გადატანას არავინ არ აპირებს. ამბობენ რომ არსებობს სათანადო პროექტიც.

სხვათა შორის ყაზბეგის ძეგლის დადგმა თბილისშიც იგეგმებოდა. ეს საკითხი დღის წესრიგში საკრებულოს ფრაქცია ქრისტიან=დემოკრატებმა დააყენეს. ამაზე ნაციონალებმაც განაცხადეს თანხმობა.

წინააღმდეგი საკრებულოს წევრი შონზო იგივე ზურა გაჩეჩილაძე წავიდა. მან თქვა, რომ ყაზბეგის ძეგლი დაიდგმება თუ ის ქალაქს არ დაამახინჯებს. უკაცრავად მაგრამ ველოსიპედი და კვერცხები არ ამახინჯებს ქალაქს და რაღა ყაზბეგი დაამახინჯებს.

## პოლიტიკური ბლოკი „ეროვნული ფორუმი“ დაიშალა



ამ კვირაში ცნობილი გახდა, რომ ეროვნული ფორუმი დაიშალა. ამის გამო მოსახლეობამ ძალიან მოიწყინა. რადგანაც მათ ეგონათ, რომ თავად ფორუმი დაიშალა. მერე გაარკვიეს, რომ ბლოკი „ეროვნული ფორუმი! დაიშალა.

ამ ბლოკში ეროვნული ფორუმი, ქალთა პარტია და ტრადიციონალისტები არიან გაერთიანებული. როგორც მათ მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, თავდაპირველად მათი გაერთიანების მიზანი აქტუალური ამოცანების ერთობლივად, უფრო ეფექტურად გადაჭრა იყო.

– ოპოზიციური რვიანის საერთო ამოცანა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება და არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა იყო. ჩვენმა პარტიებმა ჩათვალეს, რომ ამ პროცესში რაც შეიძლება მეტ პოლიტიკურ ძალას უნდა მიეღო აქტიური მონაწილეობა.

– ჩვენი გაერთიანებით შევქმენით ასეთი მჭიდრო თანამშრომლობის პრეცედენტი და აქტიური მუშაობა გავწიეთ ყველა პოლიტიკურ ძალასთან, რომელიც ოპოზიციურ ფლანგზე იდგა, მათ შორის იმ პარტიებთანაც, რომლებიც არ აღიარებდნენ არჩევნებით ხელისუფლების შეცვლის პრიორიტეტს. სხვადასხვა გარემოებათა გამო ბრძოლა საარჩევნო გარემოს თვისობრივი გაუმჯობესებისათვის სათანადო შედეგით ვერ დამთავრდა, – აღნიშნულია განცხადებაში.

## „ქართული ოცნება“ დარგობრივ ჯგუფებს ქმნის

საზოგადოებრივ მოძრაობა „ქართული ოცნება“-ში დარგობრივი მიმართულება – „სამართლის სისტემა, ადამიანის უფლებები და მართლმასჯულება“ ჩამოყალიბდა, რომელსაც მინდია უგრეხელიძე უხელმძღვანელებს.

როგორც პრეზენტაციაზე დარგობრივი მიმართულების ხელმძღვანელის მოადგილემ, ზაქარია ქუცნაშვილმა განაცხადა, აღნიშნული მიმართულების მიზანია შესაბამის სფეროებში შექმნილი ვითარების ანალიზი, ხოლო ამის კვალობაზე, დემოკრატიული განვითარებისა და იურიდიული ინსტიტუტების რეკონტრუქციის პროექტის მომზადება.

შეიქმნა ქართული ოცნების დარგობრივი ჯგუფი. დაგეგმილია საზოგადოებისათვის ყველაზე უფრო მწვავე და მგრძნობიარე პრობლემების იდენტიფიკაცია, აღნუსხვა, მათი კონცეპტუალური დახასიათება და რეაბილიტაციის ღონისძიებათა სისტემის შემუშავება. აუცილებელი რეგულაციისათვის მომზადება კონკრეტული საკანონმდებლო ინიციატივების პროექტები, – განაცხადა ქუცნაშვილმა.

მისი თქმით, თემატურ ჯგუფებში წარმოდგენილი არიან აკადემიური წრეების და ადვოკატთა გაერთიანების, უფლებადამცველთა კორპუსი, მედიასა და საზოგადოებრივი მოძრაობის სხვა ცნობილი წარმომადგენლები, რომლებიც თემატურ ჯგუფებში გაწევრიანდებიან სპეციალიზაციის მიხედვით.

თემატურ ჯგუფებს ხელმძღვანელობას გაუწევენ დარგის სპეციალისტები: იოსებ ბარათაშვილი, ალაქსანდრე ბარამიძე, პაატა გაჩეჩილაძე, ნათია კინწურაშვილი, პაატა ცნობილაძე, თეა წულიკიანი და უჩა ნანუაშვილი. დარგობრივი მიმართულების ხელმძღვანელია მინდია უგრეხელიძე; მოადგილე კი ზაქარია ქუცნაშვილი არიან.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ქეთი დოლიძე: „კულტურის მოღვაწეებს აიძულებენ, ივანიშვილის დახმარებაზე უარი თქვან“

ნათია ხურცილავა

**პარლამენტის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე, არ არის გამორიცხული, რომ მსახიობებს, რომლებიც ბიძინა ივანიშვილისაგან დახმარებას იღებდნენ, ამ დახმარებაზე უარის თქმა მოუწევთ.**

მსახიობთა ნაწილი აცხადებს, რომ ისინი ბიძინა ივანიშვილის დახმარებით ცხოვრობდნენ და ახლა მასზე უარის თქმა მათ ყოფაზე ცუდად აისახება.

რატომ გახდა საჭირო აღნიშნული კანონის მიღება? რამდენი მსახიობი იტყვის ამ დახმარებაზე უარს? როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები?

ამ კითხვებით მივმართეთ რეჟისორ ქეთი დოლიძეს.

**ინტერვიუ ქეთი დოლიძესთან:**

***— ქალბატონო ქეთი, სახელოვნებო სამყაროს წარმომადგენლები, კერძოდ, თეატრის მსახიობები შეიძლება დილემის წინაშე აღმოჩნდნენ, მათ უარის თქმა მოუწიოთ ბიძინა ივანიშვილისგან გაწეულ დახმარებაზე. ამბობენ, რომ სახელმწიფო დაეხმარება თუ უარს იტყვიან ივანიშვილის დახმარებაზე. როგორ შეაფასებთ შექმნილ ვითარებას?***

— ჩემი დამოკიდებულება მხოლოდ ნეგატიურია იმ ყველაფრისადმი, რასაც ისენი აკეთებენ. გამორიცხულია, არავის ესენი არ დაეხმარებიან. მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა პოლიტიკურ არენაზე, იმდენად გაგიჟდნენ და იმდენად გადავიდნენ ჭკუიდან, რომ ყველა თავისი რესურსი ჩართეს. თქვეს, რომ ყველაფრის უფლება გვაქვს. ყველაფერი უნდა ვიკადროთ, როგორც აქამდე კადრულობდნენ, რომ ჩვენ, საზოგადოებას, გაგვიჩნდეს შეგრძნება, ამათ იქით გზა არ გვაქვს. მათ გარეშე გამოსავალი არ არსებობს. მათი პოზიციაა, რასაც ამკვიდრებენ: ჩვენ გარეშე არაფერი გეშველებათ, ჩვენ ვმართავთ ამ ქვეყანას, დასავლეთიდან არავინ არ გვაკრიტიკებს. კი აკრიტიკებენ, მაგრამ ნაციონალურ მაუწყებლებზე, საზოგადოებრივზე, „იმედზე“, „რუსთავი–2“-ზე ისე თარგმნიან უცხოელების გამოსვლებს, რომ ფიქრობენ, მაინც ვერავინ ვერაფერს გაიგებს. ისინი ფიქრობენ, რომ ხალხი ფიქრობს, მათ ერთპიროვნული მხარდაჭერა აქვთ უცხოელებისაგან. მაინც ვერავინ ვერაფერს ვერ გაიგებს. მათი პოზიციაა, ამიტომ ჯობია „დაჩმორდეთ“, გაუბედურდეთ, ყველაფერზე ხელი მოაწერეთ, მე რომ მოგიგდებ 5, 20 ლარს, მიწამდე თავი უნდა დამიკრა. მერე რა, რომ აღმაშენებელზე ფასადებს გააკეთებენ და შიგნიდან ბინებს დაანგრევენ. ხმა რომ ამოიღო, ბავშვებს ნარკოტიკებს ჩაუდებენ. გია ცაგარეიშვილის შვილივით ოთხივე მხარეს ზონდერ ბრიგადებს დაახვედრებენ. 30 ათასი ადამიანიდან ნახევარზე მეტი უმიზეზოდ ჰყავთ ჩაგდებული. საქმე იქამდე მივიდა, რომ საუბარია შევძლებთ თუ არა დავრჩეთ ადამიანებად.

***— რამდენად რეალურია მსგავსი პრეცედენტები, რომ უარი თქვან თავიანთი ნებით დახმარებაზე?***

— მე როგორც ვიცი, თუმცა თავს ვერ დავდებ, პრაქტიკულად მთელ აკადემიას რამდენიმე ადამიანის გარდა უარი ათქმევინეს. აკადემიკოსებს ალბათ ასე ურჩევნიათ, თუ ეს ასეა, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს არ უნდა გაიტანონ მათ. პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე გამოვიდა ტელევიზიით და გვითხრა, რომ „გრეკოს“ რეკომენდაციები გავითვალისწინეთო. რა, დიდი ხანია ესენი ვინმეს რეკომენდაციებს უსმენენ? ხომ ხედავთ, როგორ ჩამოართვეს მოქალაქეობა ივანიშვილს. დიდი ხანია არჩევნები არ გაუყალბებიათ? ყოველ წელს არ აყალბებენ ჩვენს გარშემო ყველაფერს? ხომ გეუბნებით, ფორმულა ერთია: დასავლეთი მაინც არ გაგვაკრიტიკებს, ქვეყნის შიგნით კი გვყავს ჩვენი დამცველი ლიბერალები. მაგალითად, ნოდია, თავხელიძე, ჩორგოლეიშვილი, რომელსაც იმდენი ტაქტი არ ყოფნის, რომ ამხელა თანამდებობა აქვს მის მეუღლესა და ყველგან, ყველა არხზე არ იყოს წამყვანი. არ დამმოძღვროს. მათ უნდა თქვან: ახლა ჩვენი დროა. ახლა არის ქეთი გაბიანის დრო, რომელმაც თქვა, ბენზინისთვის ფული ხომ ეყო, ქალს თავი რომ დაეწვაო. გესმით, რა მანქურთების ქვეყნად ჩამოვყალიბდით. ახლა ჩვენზეა დამოკიდებული, შევეგუებით თუ არა ამას. მე ვიცი, რომ თუ ივანიშვილის ფულზე უარს არ იტყვი, მაშინ კრედიტის გამოტანის საშუალება არ გექნება ბანკიდან. ჩემ თეტრში ვიცი უამრავი ხალხი, რომელთაც ივანიშვილის ფულის წყალობით კრედიტი ჰქონდათ ბანკიდან გამოტანილი. იმიტომ, რომ ადამიანები ვერ უძლებენ ამ ცხოვრებას. ვერ უძლებენ ნაგვის გადასახადს, რომელიც 80 - 40 ლარს წერს. ხომ ჩავყლაპეთ ნაგვის გადსახადის მიბმა დენის გადსახადზე. რატომ უნდა ვიხადო შუქის გამო ნაგვის გადასახადი? იმიტომ ვიხდით, რომ ამათ გვითხრეს, იჯექით ნაგავში, ჩვენ გავაპრიალებთ ფასადებს, გავაკეთებთ გზებს, გარე განათებას ჩავრთავთ, მაგრამ მერე რა, რომ ხობსა თუ სენაკში თუ სხვაგან ადამიანი საკუთარ სახლში შუქს ვერ აანთებს, იმიტომ, რომ ვერ იხდის. სიბნელეში და წკვარამში მომკვდარა — ახლა ჩემი დროა. ეს განწყობა ყველა მათ მოქმედებას თან ახლავს. თუ საირმის ქუჩაზე, რომლის ფოტოებსაც მიხეილ სააკაშვილი აფრიალებდა, ორსართულიანი იყო,



ახლა ამათ ნამდვილი სასახლეები აქვთ. როგორ ახერხებენ, რომ რუსული კომპანიის ქართველი ვიცე-პრეზიდენტები სეიშელის კუნძულებზე სასახლებს ყიდულობენ. მოიკითხეთ, ვის საკუთრებაშია მადრიდსა თუ ბარსელონაში ერთ-ერთი გალერეა?

***— ვის საკუთრებაშია თქვენი ინფორმაციით?***

— არ დავაკონკრეტებ. თქვენ შეგიძლიათ გაიგოთ, ვინ არის მისი მფლობელი. როგორ მოახერხეს? მადრიდსა და სხვადასხვა ქალაქებში გალერიიების ყიდვა.

***— თუ ივანიშვილის დახმარებაზე უარს იტყვიან, ამ ადამიანებს პრობლემები შეექმნებათ?***

— რა თქმა უნდა, ძალიან დიდი პრობლემები შეექმნებათ. თუ უარს არ იტყვიან ივანიშვილის დახმარებაზე, მაშინ ეტყვიან, მიბრძანდით თეატრიდანო. როგორც კერძო პირი, კი ბატონო, შეგინახოთ, მაგრამ თეატრიდან მიბრძანდით და სადაც გინდათ, იქ წადით.

***— პირადად შეგექმნებათ პრობლემები?***

— რა თქმა უნდა. მე, მაგალითად, სადღაც წასვლა მომიწევს. ამ ქვეყნიდან გადასახლება მომიწევს. ამათაც ეს უნდათ, მაგრამ დირეზეც რომ დავჯდე, ამათ ამ ბედნიერებას არ ვაღირსებ. ჩემი შვილი უკვე წავიდა, თქვა, რომ მე აქ ცხოვრება არ შემიძლია. გაიქცა, როგორც გაიქცა ათასობით და ასი ათასობით ადამიანი. ქვეყნიდან გასული ადამიანების რიცხვმა მილიონს გადააჭარბა. ეს არიან ადამიანები, რომლებიც გაიქცნენ და არალეგალურად თავს აფარებენ ხან სად და ხან სად.

***— უახლოეს მომავალში გაიხსნება ოპერა. ცოტა ხნის წინ ჩამოყალიბდა ოპერის მეგობართა ჯგუფი, რომელსაც გიგი უგულავა და დავით კეზერაშვილი უხელმძღვანელებენ...***

— ესენი არიან ორი ყველაზე მდიდარი ადამიანი საქართველოში. მთელ მსოფლიოში, მეტროპოლიტენს, სხვა ყველა დიდ ოპერას მზრუნველთა საბჭო ჰყავს, იმ სქემის მიხედვით არის გაკეთებული. ბიძინა ივანიშვილი ოპერას ინახავს. თუ პერსონალური არ არის დახმარება, თეატრები ანაწილებენ ამ დახმარებას, უფრო ხშირად კი ფონდი. ივანიშვილი დაამთავრებს ოპერაში დაწყებულ საქმეს, მით უმეტეს, გიგი უგულავამ პატივი დასდო და ნებართვა მისცა, რომ დაასრულოს. ოპერა, როგორც შენობა, ხმას არ იძლევა, ადამიანები, რომლის გარეშეც ოპერა არ არსებობს, მათ არ აქვთ უფლება, რომ დახმარება მიიღონ, რადგან ქრთამში ჩაეთვლებათ. მე მაინტერესებს, 20 ლარიან ვაუჩერებს რომ არიგებენ და ავტობუსებით დაჰყავთ ქალები, ეს არ არის მოქრთამვა? ეს ქალები შეცვალონ მაინც, სახეზე ვცნობთ უკვე პრეზიდენტის კისერზე ჩახუტებულებსა და ჩამოკიდებულებს. სულ ასე მეჩვენება: ლენინი და ბავშვები. სტალინი და ბავშვები, მიშა და მოსახლეობა.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ პრეზიდენტთან შეხვედრები და ოვაციები დადგმულია?***

— 20 პროცენტი ნამდვილად არის გაგიჟებული, რადგან მეფე და ბელადი უნდათ. ნახევარზე მეტი მიყვანილია. ნურავინ ნუ მასწავლის, რა განწყობაა რეგიონებში. დავდივარ რეგიონებში და ძალიან კარგად ვიცი, ვის როგორ უყვარს სააკაშვილი. ის უყვარს ადმინისტრაციას, რომელსაც სიგიჟემდე ეშინია მისი.

***— რეალურად ორი პოლუსი არსებობს?***

— მარაზმად მიმაჩნია ის ყველაფერი, როდესაც ედავებიან და ეჭიდავებიან ადამიანს პოლიტიკოსობაზე, რომელსაც მოქალაქეობა არა აქვს. შეუძლიათ ნებისმიერ წუთში დაატოვებინონ ქვეყანა. შეუძლიათ ყველას გადაახტნენ თავზე. ვის ეჭიდავებიან? ადამიანს, რომელსაც მოქალაქეობა არა აქვს? გგონიათ დაუბრუნებენ? არ დაუბრუნებენ, თუ რაღაც ჩვენ არ შევცვალეთ. თუ ჩვენ არ დავიცავით ეს ერთი ადამიანი, თუ ათი ათასობით ადამიანი, რომელიც ციხეშია, მაშინ ესენი ერთ დიდ მავთულს შემოავლებენ საზოგადოებას, მავთულს მორთავენ საახალწლო ნათურებით და იქ გვამყოფებენ. მე არ გამოვდგები ასლან აბაშიძის აპოლოგეტად, მაგრამ როგორ დამავიწყდება, ასლან აბაშიძემ 5 ხეს შემოავლო ნათურები და ამაზე არ ჩერდებოდა ქართული ოპოზიცია. სააკაშვილი და სხვები, როგორ აქვს ხეები განათებული, როდესაც მთელი ქვეყანა სიბნელეშიაო. ახლა გაიარ–გამოიარონ და ნახონ ბათუმლებმა, როგორ არის აბრდღვიალებული პალმის თითოეული რტოც კი სხვადასხვა ფერად. მაშინ, როდესაც შუქი არა აქვს სოფელში მცხოვრებ მოსახლეობას. თბილისშიც ირთვება დენი იმისთვის, რომ მთავარმა გამზირმა იბრდღვიალოს. ხომ უნდა დაგვეცეს თავზე ჭაღები.

მთელი მათი პოლიტიკა არის შიშის დანერგვა, ასევე დაგარწმუნონ იმაში, რომ მათ გარეშე ვერავინ ვერ მართავს ქვეყანას კიდევ ათი წელი და ამას უნდა შევეგუოთ. რამდენსაც უნდათ, იმდენ თანხას დახარჯავენ და მერე რა, რომ ჩემს შვილიშვილებს ექნებათ გადასახდელი და არა მათ შვილიშვილებს. შევარდნაძის ორკაციანი თუ სამკაციანი გუნდი მონაგონია, რაც ამათ ქნეს. ვერ წარმოიდგენთ, რა თანხები იშოვეს. უცებ სახანოში მოვხვდით.

***— ისევ ივანიშვილის თემას რომ დავუბრუნდეთ?***

— მისი მისამართით ბრალდება იყო, რომ მკვდარი პოლიტიკოსების რეანიმირებას ახდენსო. საუბარია, ფილარმონიაში რომ გამოჩნდნენ ვაჟა ლორთქიფანიძე და სხვები.

— არავინ არ გააცოცხლა. ვაჟა ლორთქიფანიძე არ არის ივანიშვილის მრჩეველთა საბჭოში. რა ვქნათ, ყველანი დავიხოცოთ, ვინც ადრე ვცხოვრობდით? ვერ გავიგე, სად იყო ვაჟა ლორთქიფანიძე, როდესაც სააკაშვილი იყო „მოქალაქეთა კავშირის“ ფრაქციის თავმჯდომარე? „მოქალაქეთა კავშირი“ მე შევქმენი თუ მათ? შექმნა რეზო ამაშუკელმა და თბილისელმა ადამიანებმა, რომ 90–იან წლებში სრული გაპარტახებისაგან დაეცვათ ქვეყანა და საკუთარი თავი. „მოქალაქეთა კავშირის“ გენერალური მდივნები ვინ გახდნენ? მიხეილ სააკაშვილი არ იყო ფრაქციის თავმჯდომარე? მიხეილ მაჭავარიანი სად იყო? გოკა გაბაშვილი ვისთან იყო? ესენი ვისზე საუბრობენ? ვისზე საუბრობენ, გააცოცხლა ივანიშვილმაო? ვაჟა ლორთქიფანიძე დარბაზში იჯდა, არ გამოსულა, სიტყვა არ უთქვამს. სიტყვით გამოვიდნენ რატი ამაღლობელი, კახი კალაძე, გურამ ოდიშარია, ნაირა გელაშვილი და ერთი მშვენიერი ადვოკატი. ნაირა გელაშვილმა ისაუბრა იმაზე, რაც რეალურად გვემუქრება. ეს არის სრული წალეკვა. კოლხეთის დაბლობს ხელი არ ახლეს კომუნისტებმა კატასტროფას გამოიწვევს მისი დაშრობაო, ამან კი ქალაქის გაშენება მოინდომა. ოპოზიცია უსუსტესია. არასოდეს არ ჰქონდა მას რეალური გაერთიანების სურვილი. ამიტომ ახლა მე ნუ მიქნევენ ხელებს. მე არ ვამბობ, რომ ოპოზიცია უფრო გულზე მეხატება, ვიდრე ესენი, მაგრამ რამდენიმე ადამიანს და პარტიას ასე თუ ისე ვენდობი. ზოგს გამოცდილების გამო, ზოგს გაურყვნევლობის გამო. აბა, ახლა ესენი რომ შევარდნენ პარლამენტში და ხელი რომ მომიწერეს კანონზე, რომლის საფუძველზეც ქუჩაში რომ ვრჩები და ნახევარი ჩემი კოლეგები, ეს რას ნიშნავს? ამაზე რა ვთქვა?!

## ნიკა რურუა: თეატრების მმართველებმა ბიძინა ივანიშვილისგან დაფინანსების მიღებაზე უარი თქვეს



თეატრების მმართველებმა ბიძინა ივანიშვილისგან დაფინანსების მიღებაზე უარი თქვეს, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკა რურუამ განუცხადა.

მისივე განმარტებით, თეატრების მმართველებმა გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღეს და ის ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში წასვლას უკავშირდება.

„თეატრის მმართველებმა გადაწყვიტეს, რომ სწორედ იმიტომ, რომ პოლიტიკაში არ აღმოჩენილიყვნენ ჩათრეულნი და თავისი არტისტული დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინათ, უარი ეთქვათ ბატონი ივანიშვილის ფონდის დაფინანსებაზე. ტრადიციულად, ისინი ყოველი წლის დასაწყისში ფონდს წერილით მიმართავდნენ და შემდეგ ის ამ მოთხოვნის საფუძველზე გამოყოფდა კონკრეტულ თანხას. წელს თეატრების უმრავლესობა ასეთ მიმართვას აღარ გააკეთებს. ეს მათი გადაწყვეტილებაა და არავის დაუძალებია“, — განაცხადა რურუამ

მისივე განმარტებით, თუ ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებს ივანიშვილის დახმარება შეუჩერდებათ, მათ შემწეობას სახელმწიფო გააგრძელებს, როგორც ამას აქამდეც აკეთებდა.

„ბუნებრივია, მათ სახელმწიფო ეხმარება და ამ დახმარებას გააგრძელებს. ივანიშვილის ფაქტორი აქ ძალიან პატარა მომენტია. ყველა თეატრალური დასის და სახელოვნებო ინიციატივების ძირითადი დამფინანსებელი ყოველთვის სახელმწიფო იყო. ივანიშვილის ქველმოქმედების წილი ცოტა არ იყოს, გამუქებულია, შემიძლია, ეს მთელი პასუხისმგებლობით ვთქვა. რა თქმა უნდა, ადამიანი როცა ნებაყოფლობით აკეთებ ამას, მისასალმებელია, მაგრამ როცა მევახშე ითხოვს ანგარიშს და ვალში ითხოვს მთელ ქვეყანას, თუნდაც 2-3 წლით, ეს უკვე ქველმოქმედება აღარაა“, — აღნიშნა კულტურის მინისტრმა.

ამასთან, ნიკა რურუა რეჟისორ ქეთი დოლიძის განცხადებასაც გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც, თეატრის მმართველები მსახიობებს ივანიშვილის დახმარებაზე უარის თქმას აიძულებენ. მინისტრმა დოლიძის განცხადებას სიცრუე უწოდა.

„ეს ქალბატონი არ ამბობს სიმართლეს. ცალკეულ მსახიობებს შეუძლიათ ფონდის დახმარება მიიღონ, ეს მათი ნებაა და ამაში ვერავინ შეზღუდავთ. ასე რომ, ეს ინფორმაცია არ არის სიამართლე“, — განმარტა რურუამ.

კულტურის მინისტრმა ისიც განაცხადა, რომ პოლიტიკაში წასვლის გადაწყვეტილების გამო ივანიშვილის ქველმოქმედების რეალური მიზნები დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა.

„ქველმოქმედი, თუ ის მართლა ქველმოქმედია, როგორც წესი, პოლიტიკაში არ მიდის, იმიტომ, რომ როგორც კი ეს ადამიანი გამოთქვამს ძალაუფლების სურვილს, მთელ მის ქველმოქმედებას დიდი კითხვის ნიშანი აღმოუცენდება ხოლმე ცხვირწინ იმასთან დაკავშირებით, ხომ არ იყო ეს ყველაფერი მოსყიდვის, პოლიტიკური გადაბირების აქტი? ამიტომ ქველმოქმედი, როგორც ცეცხლს, ისე უფრთხის პოლიტიკაში წასვლას. რადგან ივანიშვილიმა მიიღო ასეთი გადაწყვეტილება, მისი ქველმოქმედებაც ეჭვქვეშ დგება. შეიძლება ამას უწოდო გულის მოგება, შეიძლება მოსყიდვა, ყველაფერი — გარდა ქველმოქმედებისა. როცა ქველმოქმედი მიდიხარ პოლიტიკაში, ვისაც აქამდე ეხმარებოდი ვითომცდა უანგაროდ, მას უხერხულ მდგომარეობაში აყენებ და ის თავს ვალდებულად გრძნობს, შენს გვერდით დადგეს, თუნდაც ეს სულ არ უნდოდეს. ეს უხერხულობა ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც სახეზეა“, — განაცხადა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა.

ინტერპრესნიუსი

## მომავალ წელს ბათუმში მსხვილი საკრუიზო კომპანიები შევა

2012 წელს საქართველოს სანაპირო წყლებში მსხვილი საკრუიზო კომპანიები შევა. როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ვერა ქობალიამ 2011 წლის ანგარიშისა და 2012 წლის გეგმების წარდგენისას განაცხადა, წლის განმავლობაში ბათუმში პირველად დაიწყებს საქმიანობას ისეთი მსხვილი საკრუიზო კომპანიები, რომელთა კუთვნილი გემები მხოლოდ ევროპის ზღვებში დაცურავენ.

მედიანიუსი

# ავთანდილ მარგიანი: „თბილისის ომამდე ცოტა ხნით ადრე რუსები ეროვნული გვარდიის განადგურებას აპირებდნენ“

## რატომ თქვა პარლამენტმა უარი მერაბ კოსტავას სიკვდილის მიზეზების გამოძიებაზე

თეა მარხვაიძე

**თბილისის ავადსახსენებელი ომიდან უკვე 20 წელი გავიდა. ამ წლების განმავლობაში ბევრჯერ მოითხოვეს, შექმნილიყო კომისია, რომელიც ამ მოვლენებს შეისწავლიდა. ამ მოვლენებთან დაკავშირებით უამრავი განცხადებაა გაკეთებული. უამრავი ვერსია არსებობს. ამის მიუხედავად, დღემდე გაუცემელია პასუხი კითხვაზე, ვინ დაიწყო ომი. დღემდე არ ვიცით დანამდვილებით, რომელმა მხარემ გაისროლა პირველმა. შესაძლოა, ამის გარკვევას მნიშვნელობა არც კი ჰქონდეს, რადგანაც ომში ორივე მხარე მონაწილეობდა.**

ყოფილ ვიცე-პრემიერ ავთანდილ მარგიანს ამ დაპირისპირებაში მონაწილეობა არ მიუღია. ამის მიუხედავად, კარგად იცის, რა პროცესები მიდიოდა მაშინ ქვეყანაში. კარგად ახსოვს, როგორ მიდიოდა საქმე შეიარაღებულ დაპირისპირებამდე, რომლის შეჩერება, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა.

ამბობს, რომ თავად ამისთვის ყველაფერი გააკეთა. ერთხელ გადაარჩინა კიდევაც ქვეყანა სისხლის ღვრას. ეს მაშინ მოხდა, როცა რუსულ არმიას ვიღაცამ ეროვნული გვარდიის განადგურების ბრძანება მისცა. წუხს, რომ ვერ მოახერხა ეროვნულ პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნა, რომელსაც მერაბ კოსტავასა და ზურაბ ჭავჭავაძის სიკვდილის მიზეზები უნდა შეესწავლა.

ვინ გასცა გვარდიის განადგურების განკარგულება, რატომ არ შეიქმნა საგამოძიებო კომისია, როგორ მიდიოდა საქართველო სამოქალაქო ომამდე, ამის შესახებ ავთანდილ მარგიანი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**ავთანდილ მარგიანი:**

— მრავალპარტიული არჩევნების შედეგად პირველი ეროვნული პარლამენტი ავირჩიეთ, რომელზეც ხალხი დიდ იმედებს ამყარებდა. ყველა სასიკეთო ცვლილებების მოლოდინში ვიყავით. მოლოდინმა არ გაამართლა და ეროვნულმა პარლამენტმა ძალიან ბევრი ცუდი გადაწყვეტილება მიიღო, რომელმაც ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირების გზით წაიყვანა.

***— რა გადაწყვეტილებებზე საუბრობთ?***

— ბევრი მაგალითის მოყვანა შემიძლია. ყველაზე დიდ შეცდომად კი ის გადაწყვეტილება მიმაჩნია, რომელიც დეპუტატების ერთი ნაწილისთვის უფლებამოსილების შეწყვეტას ისახავდა მიზნად.

***— თქვენ მხედველობაში კომუნისტური სიით გასული დეპუტატებისთვის უფლებამოსილების შეწყვეტაზე საუბრობთ?***

— მაგაზე მოგახსენებთ. მაგრამ რომელი იყო კომუნისტი? ისინი იყვნენ ამ ქვეყნის ღირსეული შვილები. მათ გვერდში ჯდომაც კი დიდი პატივი უნდა ყოფილიყო ყველასთვის. როცა ეს ამბავი გავიგე, თავზარი დამეცა.

***— როდის გაიგეთ ეს ამბავი?***

— ზუსტი თარიღი არ მახსოვს. შევედი ერთხელაც პარლამენტში და გავიგე, რომ მომზადებულია დადგენილების პროექტი, რომლის მიხედვითაც საქართველოს პარლამენტიდან მთელი რიგი დეპუტატები უნდა დაეთხოვათ. მათ რიგებში მარტო 7 აკადემიკოსი იყო. ეს პროექტი რომ წავიკითხე, გადავირიე.

***— თქვენ არ იყავით დასათხოვი დეპუტატების სიაში?***

— მე არ ვიყავი პარტიული სიით გასული. მე ვიყავი მაჟორიტარი. ამ პროექტმა გადამრია და ბატონ ზვიად გამსახურდიასთან ავედი. ის უკვე პრეზიდენტი იყო. მე მას ვუთხარი, ახლა იწყება თქვენ წინააღმდეგ ყველაზე ვერაგული ბრძოლა-მეთქი. ვუთხარი, ეგენი პარლამენტში რომ არ იყვნენ, ჩვენ უნდა მოვიწვიოთ-მეთქი. ისიც ავუხსენი, რომ ეს ადამიანები არანაირი კომუნისტები არ ყოფილან. პიკასოც კომპარტიის წევრი იყო, მაგრამ რა, ვერ შეძრა თავისი ნიჭით მთელი მსოფლიო.

***— რა გიპასუხათ პრეზიდენტმა?***

— მითხრა, ეს ჩემი საქმე არ არის, ეს საკითხი პარლამენტის გადასაწყვეტია და მე ჩარევას არ ვაპირებო. რა უნდა მექნა. წამოვედი უკან და უკვე პარლამენტს მივმართე. მათ საკითხის განხილვაზე უარი არ თქვეს. მაშინ ვუთხარი: ბავშვობიდან იმაზე ვოცნებობდი, ასეთი ხალხის გვერდით მოვხვედრილიყავი. ასეთ ბედნიერებას ვეღირსე და, თუ მათთან ყოფნა არ გინდათ, მაშინ მშვიდობაში მოგახმაროთ ღმერთმა დომუხოვსკი-მეთქი. ამის შემდეგ პროტესტის ნიშნად დავტოვე პარლამენტი. ჩემთან ერთად დატოვა პარლამენტი გერმანე ფაცაციამ. ჩვენთან ერთად წამოვიდა იქიდან მამა როსტომ ლორთქიფანიძე, რომელიც პატარა სამების წინამძღვარია.



***— პარლამენტის დატოვების გამო მოღალატედ არ გამოგაცხადეს?***

— ღიად არ გამოვუცხადებივარ მოღალატედ, გულში კი, ალბათ, გამომაცხადებდნენ. არადა, მანამდე რამდენიმე მაღალი თანამდებობის დაკავება შემომთავაზეს.

***— რატომ არ დათანხმდით, შეთავაზება არ მოგეწონათ?***

— იმიტომ არ დავთანხმდი, რომ იმ გუნდში არ შეიძლებოდა მუშაობა. მუშაობა რომ დამეწყო, იქ თავმოყრილი ხალხი სამსახურებიდან სულ უნდა გამეთავისუფლებინა. ისე მოხდა, რომ გამსახურდიას გარშემო ბევრმა უცოდინარმა ადამიანმა მოიყარა თავი. უცოდინრობა კი იმას ებრძვის, რასაც უნდა ეხმარებოდეს. არასდროს მითქვამს ეს, მაგრამ ახლა ვიტყვი. ზვიადის და იმ პარლამენტის ყველაზე დიდი დანაშაული ის იყო, რომ უარი თქვეს საგამოძიებო კომისიის შექმნაზე.

***— რა კომისიის შექმნაზე საუბრობთ?***

— 1989 წელს გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპნენ ეროვნული მოძრაობის ლიდერები მერაბ კოსტავა და ზურაბ ჭავჭავაძე. ეს ტრაგედია დღემდე გამოუძიებელია. წესით, ეს საქმე მაშინვე უნდა შეგვესწავლა, როგორც კი ხელისუფლებაში მოვედით.

***— დადგა კომისიის შექმნის საკითხი დღის წესრიგში?***

— როგორ არა, მაგრამ რატომღაც არავინ მოისურვა ამ საქმის შესწავლა.

***— რატომ არ მოინდომეს?***

— ვერ გეტყვით. მე, პირადად, ძალიან მინდოდა, რომ ეს საქმე გამოძიებულიყო. ეს კომისია რომ არ შეიქმნა, ესეც მაფიქრებინებს, რომ გამსახურდიას გარშემო ბევრი საეჭვო ადამიანი იყო თავმოყრილი. მას ბევრი მოღალატე ჰყავდა გვერდით, მანანას გარდა, თითქმის არავინ უერთგულა.

***— რომელი მანანასი, ჯანდაცვის მინისტრი რომ იყო, მანანა ძოძუაშვილი?***

— გამსახურდიას მხოლოდ მეუღლემ, მანანა არჩვაძემ უერთგულა ბოლომდე. დანარჩენებმა მიატოვეს. ვერ ვიტყვი, რომ ყველამ უღალატა, მაგრამ ფაქტია, რომ ის მიატოვეს. კარგად მახსოვს ის საუბარი, რომელიც ჩვენ შორის შედგა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მე პარლამენტი დავტოვე. ტელევიზიის შენობის წინ საპროტესტო აქციები იმართებოდა. თბილისში აშკარად ტრიალებდა დენთის სუნი. ბატონ ზვიადს ვუთხარი, ერთი თვით გადით შვებულებაში და ამ ხალხს დავაწყნარებთ-მეთქი. მან ამაზე უარი თქვა.

***— გამსახურდიას ყველაზე მწვავედ მისივე თანაგუნდელები დაუპირისპირდნენ. რატომ მოხდა მათ შორის ასეთი რაღაცა?***

— აბა, მე რა გითხრათ. ეგენი იყვნენ ერთი გუნდი. ცხონებულმა ზვიადმა გარემოცვა სათანადოდ ვერ შეარჩია. მის გარშემო, როგორც უკვე გითხარით, საეჭვო ტიპებმა მოიყარეს თავი. მათ შორის დიდი შეუთანხმებლობა მოხდა და კიტოვანიც გაიქცა თავისი გვარდიით თბილისის ზღვაზე. ზღვამდე ცოტა ხნით რკონში იყო ასული. ვითარება მას შემდეგ გამწვავდა, რაც გვარდია თბილისის ზღვაზე დაბანაკდა. დაპირისპირებულ მხარეებს შორის ბევრი აწარმოებდა მოლაპარაკებას. ხალხი ცდილობდა მათ შერიგებას, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ერთხელ იქამდე მივიდა საქმე, რომ ზღვიდან გვარდია უნდა წასულიყო და საქართველო-თურქეთის საზღვარზე დაბანაკებულიყო.

***— იქ რატომ მიდიოდნენ?***

— თავის საშველად. მათ მიიღეს ინფორმაცია, რომ რუსული ჯარი აპირებდა გვარდიის ბანაკზე იერიშის მიტანას. მე ამაზე ერთხელაც გავაკეთე განცხადება „ახალ თაობასთან“ და ახლა კიდევ ერთხელ გავიმეორებ. ერთ საღამოს მოვიდა ჩემთან რუსი გენერალი, რომელმაც საგანგაშო ინფორმაცია მომიტანა.

***— ვინ იყო ეს გენერალი?***

— ეს გახლდათ გენერალი პატაპოვი. მან მითხრა, ბრძანება მაქვს მოსკოვიდან მიღებული და თბილისის ზღვაზე დაბანაკებული გვარდია უნდა გავანადგუროთო. მე გადავირიე, სასწრაფოდ დავუკავშირდი ვაჟა ხაჭაპურიძეს. მოვიყვანეთ ცხონებული გურამ მამულიაც. სასწრაფოდ გავაგზავნეთ ხალხი კიტოვანთან და სიგუასთან. ისინი ჩამოვიდნენ და ჩვენი შეხვედრაც შედგა.

***— სად შეხვდით ერთმანეთს?***

— დივიზიაში. ეს დივიზია მაშინ ნავთლუღში იყო განთავსებული. იქ გავარკვიეთ, რომ გვარდიის განადგურების ბრძანება გენერალ პატრიკეევს გაუცია, რომელიც მაშინ საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრი იყო. მასთან დაკავშირება ვცადეთ, მაგრამ არ გამოვიდა. გავარკვიეთ, რომ ის სოხუმში იყო წასული. ვითარება ძალიან კრიტიკული იყო. ამასობაში გავიგეთ, რომ მერვე პოლკიც მოუსყიდავთ.

***— ეს მერვე პოლკი ვის დაქვემდებარებაში იყო?***

— რუსების დაქვემდებარებაში. მერვე პოლკში რუსები მსახურობდნენ. მათაც უნდა მიეღოთ მონაწილეობა გვარდიის განადგურებაში.

***— ამბობთ, მოისყიდესო და იქნებ გვითხრათ, ვინ მოისყიდა?***

— იმათ, ვისაც გვარდიის განადგურება უნდოდა. პატაპოვმა მითხრა, რამე იღონე, მე ბრძანება მაქვს მიღებული, გვარდიაზე იერიში დილის 8 საათზე უნდა მივიტანოო. მოსკოვში ერთ ჩემს მეგობარს დავურეკე, რომელსაც ახლაც დიდი თანამდებობა უკავია. სასწრაფოდ გავაგზავნეთ მოსკოვში გურამ მამულია. მოხდა საჭირო ხალხთან დალაპარაკება და რუსულმა არმიამ უარი თქვა ამ ოპერაციის ჩატარებაზე. მაშინ საქართველო დიდ სისხლის ღვრას გადაურჩა. ამის შემდეგ კიდევ დაიწყო მოლაპარაკებები. სამწუხაროდ, ამ პროცესებში ბოროტი ხალხი ჩაერთო, რომლებიც მხარეებს კი არ არიგებდნენ, არამედ აქეზებდნენ და ვითარებას კიდევ უფრო ძაბავდნენ.

***— თქვენ არ მონაწილეობდით ამ მოლაპარაკებებში?***

— რამდენჯერმე ვცადე, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მე არცერთ მხარეს არ ვიყავი. მე მინდოდა, სისხლი რომ არ დაღვრილიყო. სამწუხაროდ, ეს ვერ მოვახერხე.

***— დღემდე მიდის კამათი, თუ ვინ დაიწყო სამოქალაქო ომი. თქვენი ინფორმაციით, ვინ დაიწყო ომი?***

— ომი დაიწყო ხელისუფლებამ. რუსთაველზე მდგარმა შინაგანმა ჯარმა დაიწყო სროლა.

***— იქნებ არ იყო ეს ხელისუფლების ბრალი? იქნება ვინმე პროვოკატორმა გააკეთა ეს?***

— ხელისუფლების ბრძანება თუ არ იყო, მაშინ ეს ხალხი იქიდან უნდა მოეხსნათ. თავიდან ამ უბედურების შეჩერება შესაძლებელი იყო. სამოქალაქო ომის შემდეგ საქართველოში ახალი არჩევნები ჩატარდა. როცა ხელისუფლებაში მოვედით, რამდენიმე კაცი მოვითხოვდით, შექმნილიყო კომისია, რომელიც ამ ომის გამომწვევ მიზეზებს შეისწავლიდა. სამწუხაროდ, არავინ თანახმა არ იყო. არავის აინტერესებდა ეს ამბავი.

***— რატომ არ აინტერესებდათ?***

— ეგ მე არ ვიცი. მე ვიცი ის, რომ ამის გამოძიება არცერთ მხარეს არ აინტერესებდა. არცერთ მხარეს არ უნდოდა შერიგება. ამ მხრივ ერთადერთი გამონაკლისი ედუარდ შევარდნაძე იყო.

***— შევარდნაძე რას ითხოვდა?***

— ის ითხოვდა, რომ გამსახურდია საქართველოში დაბრუნებულიყო. ის მზად იყო, საქართველოში ხელახალი არჩევნები დაენიშნა, ამბობდა, რომ ზვიადს გაეროში გაუშვებდა.

***— თუკი ასეთ დათმობებზე მიდიოდა შევარდნაძე, რატომ ვერ მოხდა მორიგება და შერიგება?***

— იმიტომ, რომ არეულობა ორივე მხარეს აწყობდა,

***— მოდით, ისევ სამოქალაქო ომს დავუბრუნდეთ. ეს ომი, ფაქტობრივად, ერთ ქუჩაზე მიდიოდა. მასში ძალიან ცოტა ხალხი მონაწილეობდა. რატომ არ ეყო ხალხს იმის ძალა, რომ ეს დაპირისპირება შეეჩერებინა?***

— ვის უნდა შეეჩერებინა? ხალხმა წესიერად ვერც კი გაიგო, რა ხდებოდა მაშინ რუსთაველზე, ერთმანეთს ერთი გუნდის წევრები დაერივნენ. ხალხი კი მოუწოდებდა, შეჩერდითო, მაგრამ, როცა ტყვია გავარდება, იქ შეჩერება უკვე ძალიან ძნელია. ეს უბედურება 6 იანვრამდე გაგრძელდა. 6 იანვარს გამსახურდიამ თბილისი დატოვა და იქაც დიდი გაუგებრობა მოხდა.

***— რა გაუგებრობა?***

— გადაწყვეტილი იყო, რომ გამსახურდია აზერბაიჯანში წავიდოდა, მაგრამ რატომღაც სომხეთში წავიდა, სადაც მას სათანადო პატივითაც კი არ დახვდნენ. სათანადო დახვედრას ვინ ჩივის, საჭმელსაც ესენი ყიდულობდნენ თავად. წარმოგიდგენიათ, საჭმელიც კი არ აჭამეს. მასთან შესახვედრად არც კი მისულან ხელისუფლების წევრები. როგორც მითხრეს, გამსახურდია და მისი მომხრეები ერთადერთხელ მოინახულა სომხეთის პრეზიდენტის მეუღლემ. ეს იყო და ეს.

***— ამბობდით, აზერბაიჯანში აპირებდა წასვლასო და რატომ გადაიფიქრა?***

— ზუსტი მიზეზი არ ვიცი. რატომღაც მგონია, რომ ამაშიც მისმა გარემოცვამ შეუშალა ხელი. არადა, ჯობდა, აზერბაიჯანში წასულიყო.

***— რა უპირატესობა ჰქონდა აზერბაიჯანს?***

= ძალიან დიდი უპირატესობა ჰქონდა. აზერბაიჯანი, ჯერ ერთი, კარგად მიიღებდა გამსახურდიას. მეორეც, ბაქო აქტიურად ჩაერეოდა მოლაპარაკებებში და გამსახურდიას დაპირისპირებულ მხარესთან შეარიგებდა. სომხებმა ეს თავის თავზე ვერ აიღეს. სომხეთში წასვლა დიდი შეცდომა იყო.

***— თქვენ ზემოთ აღნიშნეთ, რომ გვარდია რუსებს უნდა გაენადგურებინა. როგორც ამბობენ, სამოქალაქო ომში ჩეჩნებიც მონაწილეობდნენ. მართლა იყო ასეთი რაღაც?***

— არა, ჩეჩნები ამ ომში არ მახსოვს. ყოველ შემთხვევაში, მე, პირადად, არავინ მინახავს. აი, ინგუშებმა კი გამსახურდიას შეცდომა დააშვებინეს.

***— რა შეცდომა?***

— იყო ვიღაც ინგუში ძამოევი, კოჭლი კაცი. ერთხელაც ჩამოვიდა თბილისში. ეს ის პერიოდია, ცხინვალში სიტუაცია რომ დაიძაბა. ამ ძამოევმა გამსახურდიას უთხრა, შენ ცხინვალში შედი და ჩვენ ჩრდილოეთ ოსეთს დავარტყამთო. თავად არაფერი გააკეთეს, გამსახურდიას კი ცხინვალში პოლიცია შეაყვანინეს. ეს ძალიან დიდი შეცდომა იყო. ამ შეცდომას ომი და სისხლის ღვრა მოჰყვა. არადა, ეს არაფერში გვჭირდებოდა. ჩვენ ამ პრობლემის მოგვარებას ვაპირებდით. გორში, სტალინის ძეგლთან, მე, ვაჟა ხაჭაპურიძემ და ნოდარ ნათაძემ აქციაც გავმართეთ, ცხინვალში ვაპირებდით წასვლას. ამ დროს ვიღაც მოვიდა, რომელმაც გვითხრა, დილარ ხაბულიანთან შეთანხმების გარეშე ნაბიჯი არ გადადგათო.

***— ხაბულიანმა არ მოგცათ იქ წასვლის უფლება?***

— არა, დილარი იყო შს მინისტრი და ქვეყნის მეთაურის დავალებას ასრულებდა. სხვათა შორის, ის ბოლომდე ზვიადის ერთგული დარჩა. მაგაზე ტყუილად ამბობენ, რომ თბილისის ომის დროს ზვიადი მიატოვა. ის კინაღამ მოკლეს ორთაჭალაში. მერე კიევში წავიდა. იქაც პროვოკაცია მოუწყვეს და თბილისში დაბრუნდა. ვიღაცებს მასთან ანგარიშსწორება უნდოდათ, მაგრამ ჩვენ ჩავერიეთ საქმეში. ჯაბა იოსელიანს მასზე პირადად მე ველაპარაკე. საწყალ ზვიადს ერთგული ხალხი ბლომად რომ ჰყოლოდა, საქმე აქამდე არ მივიდოდა. გარემოცვაზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული. ყველა, ვინც ხელისუფლების სათავეში იქნება, უნდა ეცადოს, რომ გარშემო ერთგული და განათლებული ხალხი შემოიკრიბოს. მლიქვნელები და უცოდინრები ყველას დაღუპავენ. სწორედ ასეთი კატეგორიის ხალხმა შეიწირა ზვიად გამსახურდია.

# ბიძინა ივანიშვილმა 4 პარტია დააფინანსა

## არის თუ არა ეს გაზპრომისა და „ეფ-ეს-ბე“ს ფული

თეა მარხვაიძე

გუშინ პარლამენტში დიდი ჟრიამული იყო. რიგგარეშე სესიაზე შეკრებილი კანონმდებლები საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებს 23 დეკემბერს მეორე მოსმენით განიხილავდნენ.

საარჩევნო კოდექსზე მეტად პოზიციასაც და ოპოზიციასაც სხვა რამე აინტერესებდათ. რამდენიმე დღის წინ დეპუტატმა გია ცაგარეიშვილმა ქვეყნის შს მინისტრსა და მთავარ პროკურორს მიმართა.

ეს 20 დეკემბერს მოხდა. იმ დღეს დეპუტატმა გია თორთლაძემ განაცხადა, რომ ბიძინა ივანიშვილი რუსული ფულით ოპოზიციას ყიდულობს და საქართველოში არეულობას გეგმავს. რუსული ფულით ნაყიდთა შორის ცაგარეიშვილის პარტიაც იყო მოხსენიებული. გია ცაგარეიშვილი ირაკლი ალასანიას თანაპარტიელია.

სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტა ცაგარეიშვილმა, სადეპუტატო კითხვა გაეგზავნა შესაბამის ორგანოებში. შესაბამისი ინფორმაცია პარლამენტს მთავარმა პროკურორმა მურთაზ ზოდელავამ მიაწოდა. ვანო მერაბიშვილისგან კი ჯერჯერობით პასუხი არ ისმის.



### პროკურორის პასუხი

მურთაზ ზოდელავას მიერ მოწოდებულ დოკუმენტში ჩამოთვლილია, რა დაფინანსება მიიღეს მიმდინარე წლის ნოემბერ-დეკემბერში ბიძინა ივანიშვილის გუნდში შემავალმა პარტიებმა.

ქვეყნის მთავარი პროკურორის პასუხი ჟურნალისტებს თავად გია ცაგარეიშვილმა გააცნო. ამ ჩამონათვალს უცვლელად გთავაზობთ:

პოლიტიკური გაერთიანება „ხალხის პარტიას“ დაფინანსება მიღებული აქვს შემდეგი კომპანიებიდან:

**სს „ბანკი ქართუ“ ............ 100 000 ლარი;**
**შპს „ფინსერვის“-21 ............ 100 000 ლარი;**
**შპს „ფინსერვისი“ ............ 100 000 ლარი;**
**შპს „ელიტა ბურჯი“ ............ 100 000 ლარი;**
**შპს „ქართუ ჯგუფი“ ............ 100 000 ლარი;**
**შსპ „ქართუ მენეჯმენტი“ ............ 100 000 ლარი;**
**შპს „ინტერკონსალტინგი პლუსი“ ............ 100 000 ლარი;**
**შპს „კალა კაპიტალი“ ............ 100 000 ლარი,**
**შპს „კოლხეთი“ ............ 100 000 ლარი;**

„კონსერვატიული პარტია“:

**შპს „კომპლექს-სერვისი“ ............ 100 000 ლარი;**
**სს ბანკი „ქართუ“ ............ 100 000 ლარი;**
**შპს „ბურჯი“ ............ 100 000 ლარი;**
**სს „ქართუ ჯგუფი“ ............ 100 000 ლარი;**
**შპს „ფინსერვისი“ ............ 100 000 ლარი;**
**შპს „ინტერკონსალტინგი პლუსი“ ............ 100 000 ლარი;**
**შპს „ქართუ მენეჯმენტი“ ............ 100 000 ლარი;**
**შპს „ელიტა ბურჯი“ ............ 100 000 ლარი;**
**შპს „ფინსერვისი-21“ ............ 100 000 ლარი;**
**შპს „კოლხეთი“ ............ 100 000 ლარი;**
**შპს „კალა კაპიტალი“ ............ 100 000 ლარი.**

„კონსერვატიულმა პარტიამ“ აღნიშნული დაფინანსება მიმდინარე წლის დეკემბერში მიიღო.

„საქართველოს რესპუბლიკურ პარტიასთან“ დაკავშირებით კი ჩამონათვალი ასეთია: მათ მიმდინარე წლის ნოემბერში მიიღეს

**სს „ბანკი ქართუდან“ ............ 100 000 ლარი;**
**შპს „ბურჯი“ ............ 100 000 ლარი;**
**შპს „კომპლექსერვისი“ ............ 100 000 ლარი;**
**სს „ქართუ ჯგუფი“ ............ 100 000 ლარი;**
**შპს „ბურჯი“ ............ 100 000 ლარი;**
**შპს „ფინსერვისი“ ............ 100 000 ლარი;**
**შპს „ინტერკონსტალტინგი პლუსი“ ............ 100 000 ლარი;**
**შპს „ელიტა ბურჯი“ ............ 100 000 ლარი;**
**შპს „ქართუ მენეჯმენტი“ ............ 100 000 ლარი;**
**შპს „ქართული ჰოლდინგი“ ............ 100 000 ლარი.**

რაც შეეხება „რესპუბლიკური პარტიის“ მიერ დეკემბერში მიღებულ დაფინანსებას; მათ მიმდინარე წლის დეკემბრში შპს „კალა კაპიტალისგან“ და შპს „კოლხეთისგან“ 100 000-100 000 ლარი მიიღეს.

პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი დემოკრატების“ დაფინანსება კი ასეთია:

**ბანკი „ქართუ“ ............ 100 000 ლარი.**
**სს „ქართუ ჯგუფი“ ............ 100 000 ლარი.**
**შპს „ფინსერვისი“ ............ 100 000 ლარი.**
**შპს „ინტერკონსტალტინგი პლუსი“ ............ 100 000 ლარი.**
**შპს „ელიტა ბურჯი“ ............ 100 000 ლარი.**
**შპს „ქართული მენეჯმენტი“ ............ 100 000 ლარი.**
**შპს „ქართული ჰოლდინგი“ ............ 100 000 ლარი.**
**შპს „კალა კაპიტალი“ ............ 100 000 ლარი.**
**შპს „კოლხეთი“ ............ 100 000 ლარი.**

### რუსული ფული ქართულ პოლიტიკაში

მურთაზ ზოდელავას მიერ მოწოდებული საინტერესო ინფორმაცია, ბუნებრივია, ნაციონალებმაც წაიკითხეს. ნაციონალებს არც საპარლამენტო ოპოზიციის წევრები ჩამორჩენიან. განსაკუთრებული ინტერესით ამ ცნობას გია თორთლაძე ჩაუჯდა. ეს არც არის გასაკვირი. ზოდელავასგან პასუხი ხომ მისი ხათრით მოვიდა.

ამ პასუხით აღფრთოვანებულმა გია თორთლაძემ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა, სადაც საზეიმოდ განაცხადა, რომ ოპოზიციის რუსული ფულით დაფინანსება დამტკიცებულია და მას წყალი არ გაუვა.

როგორც თორთლაძემ 23 დეკემბერს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, მთავარი პროკურატურის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში, რომელშიც ჩამოთვლილია „თავისუფალი დემოკრატების“, „რესპუბლიკელების“, „კონსერვატორებისა“ და „ხალხის პარტიის“ დამფინანსებელი ორგანიზაციები, დასახელებულია 9 კომპანია, რომლის მფლობელიც ერთი ადამიანი – ბიძინა ივანიშვილია, ორი კი საქართველოს ფეხბურთის ნაკრების ყოფილ კაპიტან კახი კალაძეს ეკუთვნის.

– 20 დეკემბერს გამართულ პარლამენტის სხდომაზე სწორედ ამაზე ვსაუბრობდი, რომ აღნიშნული პარტიები რუსი ოლიგარქისგან ფინანსდება და ეს არის ფე-ეს-ბე-ს ფული, – აცხადებს გია თორთლაძე.

ამასთან, დეპუტატისთვის „გაუგებარი“ იყო ჟურნალისტების კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არის გასაკვირი ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის მიერ მისივე თანაგუნდელების დაფინანსება და რა არის ამ ფაქტში კანონდარღვევა ან უცნაური.

თორთლაძის თქმით, ბიძინა ივანიშვილი რუსი ოლიგარქია, რადგან მან ფული რუსეთის ფედერაციაში იშოვა და ახლაც რუსეთის მოქალაქეა, უცხო ქვეყნის მოქალაქეს კი ქართული პარტიების დაფინანსების უფლება არა აქვს.

თუმცა, თორთლაძე უკანონობას ვერ ხედავს იმ გარემოებაში, რომ თავის დროზე „რუსი ოლიგარქის“ მიერ „რუსული ფულით“ მინისტრები, კულტურის სფეროს წარმომადგენლები და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა პროექტი ფინანსდებოდა.

ამასთან, თორთლაძე არ აკონკრეტებს, რატომ არ დაინტერესდა აქამდე „ნაციონალური მოძრაობის“ დაფინანსებით, რომლის დამფინანსებელთა სიაში, როგორც გიორგი ცაგარეიშვილმა აღნიშნა, არიან ისეთი იურიდიული პირები, რომელთა დამფუძნებლებიც რუსეთის ფედერაციასა და ოფშორულ ზონებში რეგისტრირებული პირები არიან.

მისი თქმით, ამ ყველაფერში თუ რაიმე კანონდარღვევაა, ეს სამართალდამცველებმა უნდა გაარკვიონ, თუმცა, თორთლაძე არ აპირებს, შეუერთდეს დეპუტატ გიორგი ცაგარეიშვილის სადეპუტატო მიმართვას პროკურატურისადმი, სადაც ის „ნაციონალური მოძრაობის“ დაფინანსების შესახებ ინფორმაციას ითხოვს.

– ცაგარეიშვილს მე არაფერში არ შევუერთდები! – განაცხადა დეპუტატმა თორთლაძემ.

მან ჟურნალისტებს სთხოვა, არ დაესვათ კითხვები „ნაციონალური მოძრაობის“ რუსეთის ფედერაციაში რეგისტრირებული პირების მიერ დაფინანსების საკითხზე.

– ამ კითხვებზე პასუხს არ გავცემ, რადგან ჩემი ბრიფინგის თემას რუსი ოლიგარქის, ბიძინა ივანიშვილის მიერ ქართული პარტიების დაფინანასება წარმოადგენს, – აცხადებს ფრაქცია „ძლიერი საქართველოს“ ლიდერი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მურთაზ ზოდელავას პასუხს აქტიურად გამოეხმაურა ნაციონალური მოძრაობა.

კომენტარის გაკეთება არც უმრავლესობის ლედერმა პეტრე ცისკარიშვილმა დაიზარა. მოწოდების სიმაღლეზე იყო საქართველოს მთავარი ბიძინოლოგი ნუგზარ წიკლაურიც.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი პეტრე ცისკარიშვილი მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილის მიმართ პოლიტიკური მიზიდულობა მხოლოდ მისი ფინანსებია, რომელსაც მოწყალების სახით არიგებს.

მისივე თქმით, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური ხედვების შესახებ საზოგადოებამ არაფერი იცის და დიდი ალბათობით არაფერი იციან არც იმ პოლიტიკურმა პარტიებმა, რომლებიც მის გვერდით არიან.

– ბიძინა ივანიშვილი თავიდანვე ამბობდა, რომელ პარტიასა და ტელევიზიას იყიდის, – აღნიშნა ცისკარიშვილმა.

რაც შეეხება კითხვას, არის თუ არა სამართლებრივი დარღვევა იმაში, რომ ივანიშვილის მფლობელობაში არსებული იურიდიული პირები აფინანსებენ ბიძინა ივანიშვილის გუნდში მყოფ პოლიტიკურ პარტიებს, ცისკარიშვილი პასუხობს, რომ ამ სამართლებრივ დავაში შესვლას არ აპირებს, თუმცა, „თუ სკრუპულოზურად და დეტალურად შევისწავლით საკითხს, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ სინამდვილეში ერთი წყაროდან გაგზავნილი ფული იყო გადანაწილებული სხვადასხვა კომპანიის სახით“.

– ჩვენ ამ დავაში არ შევდივართ. ბიძინა ივანიშვილს ვინც უნდა, ის დააფინანსოს. ივანიშვილს თუ უნდა, დააფინანსოს სატელიტი პოლიტიკური პარტიები. უბრალოდ, ეს ადამიანი ემსახურება თავის ხელისუფლებას. მას დაუსახეს ამოცანა, რომ რადგან რუსეთში იშოვა მილიარდები, მილიონები მოახმაროს რუსეთის ინტერესებს საქართველოში. რუსეთს რისი გაკეთება უნდა საქართველოში, ჩვენ კარგად ვიცით, – აღნიშნა ცისკარიშვილმა.

ასევე კითხვაზე, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ 2010 წლის ფინანსურ ანგარიშებში ფიგურირებენ როგორც რუსული წარმომავლობის კომპანია, ასევე ფიზიკური პირი, ფრიდონ ქათამაძე, რომლის გასწვრივაც ცესკო-ს დოკუმენტებში წერია რუსეთის ფედერაცია და რომელმაც 40 ათასი ლარის შემოწირულობა გაიღო 2010 წელს „ნაციონალური მოძრაობისთვის“, ცისკარიშვილი პასუხობს, რომ ფრიდონ ქათამაძის სახელი და გვარი მეტყველებს იმაზე, რომ ეს ადამიანი ქართველია.

– ბიძინა ივანიშვილიც ქართველია, მაგრამ მან მილიარდები იშოვა იმ ქვეყანაში, რომელიც მტრულად არის განწყობილი საქართველოს მიმართ. საზოგადოება ამ ადამიანთან დაკავშირებით მიიღებს გადაწყვეტილებას არჩევნებზე. ამაზეა საუბარი, თუმცა, ივანიშვილის ციხეში ჩასმას არავინ აპირებს, – აღნიშნა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრ ნუგზარ წიკლაურის შეფასებით, ბიძინა ივანიშვილის თანაგუნდელი პარტიების დაფინანსების დეტალები ნათელს ხდის, თუ რატომ იცვლიან რადიკალურად პოლიტიკურ შეხედულებებს პარტიები.

როგორც წიკლაურმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, ამ გადარიცხვების შემდეგ კიდევ ერთხელ გახდა ცხადი, რომ არანაირი იდეოლოგიური თანხვედრა არ არსებობს ივანიშვილის გარშემო თავმოყრილ პარტიებს შორის და მათ მხოლოდ დაფინანსების შესაძლებლობა აერთიანებთ.

მისივე თქმით, ქართველი საზოგადოება ორიენტირებული უნდა იყოს არა ასეთ პოლიტიკურ ძალებზე, არამედ იმათზე, რომელთაც მყარი პლატფორმა აქვთ როგორც ქვეყნის შიდა, ისე საგარეო პოლიტიკასთან მიმართებით.

პარლამენტში ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციასაც განიხილავდნენ. დეპუტატებმა ვერც ამ თემაზე საუბრისას აუარეს გვერდი ბიძინა ივანიშვილს. ამ მხრივ თავი ედეპეს წარმომადგენელმა გურამ ჩახვაძემ გამოიჩინა.

მან კონცეფციის განხილვისას განაცხადა, რომ ორჯონიკიძეების თემა ქართულ პოლიტიკაში, სამწუხაროდ, დახურული არ არის და რუსეთი ყოველთვის ეცდება, თუ სამხედრო ძალით ვერა, თავისი მიზნის მიღწევას მეხუთე კოლონით შეეცადოს.

– ორჯონიკიძეების თემა ქართულ პოლიტიკაში, სამწუხაროდ, დახურული არ არის. ქალბატონი ბურჯანაძის, ბატონი ნოღაიდელისა და სხვათა გვარებს კიდევ ერთი გვარი – ივანიშვილი მიემატა. შეიძლება განაცხადო, რომ ომი საქართველომ დაიწყო, რომ პუტინი რუსი ხალხის არჩევანია და გქონდეს სიმპათია ამ ჯალათის მიმართ, გემოვნებისა და მორალის საკითხია, მაგრამ უფლება არ გაქვს, ყველაფერი ეს შენი ქვეყნის ინტერესების ხარჯზე გააკეთო, მით უმეტეს, როცა ქვეყნის მართვაზე პრეტენზიას აცხადებ. პირველ რიგში, ეს ქართველმა საზოგადოებამ უნდა გაიცნობიეროს, – ამბობს ჩახვაძე.

მისი თქმით, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ ვალია, ეს თქვას და ყოველთვის შეეწინააღმდეგოს ასეთ ძალებს.

– ბუნებრივია და საჭიროცაა, ოპოზიცია იყოს ხელისუფლების მოწინააღმდეგე, მაგრამ იგივე დამოკიდებულება შენი ქვეყნის მიმართ უკვე სამშობლოს ღალატია, – დასძინა დეპუტატმა.

### დიდი გაუგებრობა საარჩევნო კოდექსის გარშემო

ივანიშვილის ფულებით აჟიტირებულ პარლამენტში გუშინ



ერთი კურიოზი, უფრო სწორად, გაუგებრობა მოხდა. პარლამენტის სხდომამდე იურიდიული კომიტეტის სხდომა გაიმართა, სადაც დიდი შეთანხმებისთვის უნდა მიეღწიათ. სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ ცნობით, იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის 23 დეკემბერს გამართულ სხდომაზე „გრანდიოზული შეთანხმება ჩაიშალა“.

შეთანხმების „ჩაშლა“ მას შემდეგ გაირკვა, რაც აღმოჩნდა, რომ კომიტეტის სხდომაზე ოპოზიციასა და უმრავლესობას საარჩევნო კოდექსის პროექტის სხვადასხვა ვარიანტი ჰქონდათ დარიგებული.

ოპოზიციის ვარიანტში, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციებსაც აღმოაჩნდათ, მითითებული იყო საარჩევნო კოდექსის ძველი ნორმა, რომლის მიხედვითაც, გამგებლებსა და გუბერნატორებს საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა კვლავ აკრძალული აქვთ. თუმცა, აღნიშნული დებულება საარჩევნო კოდექსის პროექტში უკვე გაუქმებულია.

„ქრისტიან-დემოკრატმა“ ლევან ვეფხვაძემ კი მიიჩნია, რომ ხელისუფლებამ ოპოზიციისა და არასამთავრობოების მოთხოვნა გაითვალისწინა და აკრძალვების ნაწილში გუბერნატორი და გამგებელი დააბრუნა. ასევე მიიჩნიეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა, თუმცა, მანამ, სანამ მიკროფონთან მადლობის სათქმელად მომზადებული ოპოზიცია და არასამთავრობოები ხელისუფლებას გაუქმებული ნორმის დაბრუნებისთვის მადლობას გადაუხდიდნენ, იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილმა გაარკვია, რომ ოპოზიციასა და უმრავლესობას კომიტეტის სხდომაზე პროექტის სხვადასხვა ვარიანტი ჰქონდათ დარიგებული.

შესაბამისად, ოპოზიციას, იმის თაობაზე, რომ მათ ერთ-ერთ სერიოზულ სადავო საკითხზე ხელისუფლებასთან შეთანხმებას მიაღწიეს, „იმედი გაუცრუვდა“.

– პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ დღეს კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებით დიპლომატების მხრიდან გამოთქმული რეკომენდაციები [illegible] – განაცხადა კუბლაშვილმა.

# გაყალბებულმა არჩევნებმა რუსეთიდან ჩრდილო კავკასიაშიც შეაღწია

თამარ ნინიძე

**ქართველ ექსპერტთა კლუბის ინფორმაციით, 4 დეკემბერს რუსეთის საპარლამენტო არჩევნების გაყალბების გამო მოსკოვის, პეტერბურგისა და რუსეთის სხვა ქალაქებს ვლადივოსტოკიდან კალინინგრადამდე საპროტესტო მიტინგების ძლიერმა ტალღამ გადაუარა, რასაც კრემლმა მკაცრი რეპრესიებით უპასუხა. დაკავებული და ნაცემია ათასობით აქტივისტი და მიტინგების ორგანიზატორი.**

„თუ გვერდით სადარბაზოში მცხოვრებმა თქვენმა მეზობელმა, რომელიც საარჩევნო კომისიის წევრია, სიყალბე ჩაიდინა, ეს მედვედევისა და პუტინის პრობლემა არ არის“, – ასე ამართლებს რუსეთის ხელისუფლების ქმედებებს რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი მმართველი ალექსანდრ ვოლოშინი.

ნიშანდობლივი იყო რუსეთის პატრიარქ კირილის შეგონება ქუჩაში გასული მრევლისადმი, 1905–1917წ.წ. რევოლუციებს ქვეყნისთვის კარგი არაფერი მოუტანია და სადავო საკითხები მშვიდობიანი მოლაპარაკებებით უნდა გადაიჭრასო. ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკების ლიდერებმა სასულიერო პირებს პირდაპირ დაავალეს, ლოცვის დაწყების წინ, ყოველ პარასკევს მოეწოდებინათ მრევლისთვის არჩევნებში მონაწილეობის მიღების აუცილებლობა და ის, რომ ხმა „ედინაია როსიასთვის“ მიეცათ. ამის შედეგად უზომოდ გაბერილი ციფრები 90%–ით იწყება და ლამის 99,48%–მდე აღწევს.

ექსპერტთა კლუბი იუწყება, რომ ათეული წელია დაღესტანში ომი მიმდინარეობს, შედეგად ათასობით ადამიანია დაღუპული და უგზოუკვლოდ დაკარგული, მიმდინარეობს ანტიპუტინისტური მიტინგები და ამ ფონზე ქვეყნდება მონაცემები, რომ დაღესტანში ამომრჩეველთა 82%-მა ხმა მისცა „ედინაია როსიას“. ერთმილიონიან ჩეჩნეთში კრემლმა ერის გენოციდი მოაწყო და 300 ათასი ადამიანი მოკლული და უკვალოდ დაკარგულია, ამ დროს კი, როცა ყველა ნორმალური ჩეჩენი თანამემამულეების ამოწყვეტის გამო ჯიხადს აცხადებს და გლოვობს, რამზან კადიროვმა, ჩეჩნეთის მოქმედმა პრეზიდენტმა, კრემლის გულის მოსაგებად 99,48%–ის მონაცემი დადო.



ყაბარდო–ბალყარეთის ლიდერი არსენ კანუკოვი მხარში უდგას რუსეთის რწმუნებულს ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ ოლქში ალექსანდრ ხლოპონინს და ეხმარება მას გენერალური გეგმის განხორციელებაში, რომლის თანახმადაც ადგილობრივი მოსახლეობა რეგიონიდან რუსეთის ცენტრალურ ოლქში უნდა გადაასახლონ და ნაცვლად კი ყაბარდო–ბალყარეთში კაზაკები ჩაასახლონ.

საპარლამენტო არჩევნების გაყალბება მასშტაბურად არა მარტო რუსეთის ცენტრში განხორციელდა, არამედ ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკებში, ის, რომ რუსეთი ამ ყალბი შედეგების ფონზე სამოქალაქო დაპირისპირების წინაშე დგას, აშკარაა; გარდა ამისა, ჟირინოვსკის აგრესიული განცხადება, რომ ჩრდილო კავკასიას შეუწყდეს ფედერალური დაფინანსება, პუტინისაგან არ იქნა მოწონებული, მეტიც, პუტინს კარგად ესმის, რომ რუსეთის დაშლა ჩრდილო კავკასიიდან დაიწყება. ამით აიხსნება მისი განცხადება, რომ ჩრდილო კავკასიის რეგიონებისთვის ინვესტირების შეზღუდვა ფედერალურ ოლქში და მთლიანად ქვეყანაში სიტუაციას ომამდე გაამწვავებს.

„რესპუბლიკების განვითარებაში ფულის ჩადება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა საჭირო არ არის? მაშინ ახალგაზრდები ჩრდილო კავკასიიდან კიდევ უფრო დიდი რაოდენობით დაიწყებენ გადინებას მსხვილ ქალაქებში. მაშინ რა გავაკეთოთ? სად წავიყვანოთ? ისინი ბანდფორმირებებს შეავსებენ და ძმათა მკვლელი ომი გაგრძელდება“, – ასე აფასებს შექმნილ მწარე რეალობას პუტინი.

მოქმედი პრემიერ–მინისტრი და საპრეზიდენტო კანდიდატი ვლადიმედ პუტინი რუსეთის დაშლას არ გამორიცხავს იმ შემთხვევაში, თუ დაიწყება ინტენსიური ქმედებები ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკების გამოყოფისა რუსეთის ფედერაციიდან, პუტინი აცხადებს, რომ ეს „ველური წინადადებაა“.

ევროპა პუტინის კაციჭამია პოლიტიკის წინააღმდეგ დიდი ხანია გამოდის, კერძოდ, საქმე ეხება ჩრდილო კავკასიაში ერების გენოციდს და უმოწყალო ხოცვა–ჟლეტას, მათ შორის მოხუცებისა და ბავშვების. ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლომ რუსეთი „ნორდ–ოსტის“ ტრაგედის დროს დაზარალებულთა სასარგებლოდ დააჯარიმა. „დუბროვკის“ თეატრალურ ცენტრში შეჭრის დროს დაშვებული დარღვევები ევროსასამართლომ განიხილა და ჯარიმა 64 დაზარალებულთაგან თითოეულზე 9–დან 66 ათას ევრომდე ოდენობით დააკისრა რუსეთის ხელისუფლებას.

# ბურჯანაძისა და ივანიშვილის შეხვედრას აზრი არა აქვს

თამარ ნინიძე





სახალხო კრება ბიძინა ივანიშვილმა ახლოს არ გაიკარა, ივანიშვილმა თავის არც პირველ და არც მეორე წერილში ბურჯანაძე არ ახსენა. სახალხო კრება მოლოდინის რეჟიმზე გადაერთო, რაც ნაწილობრივ რეპრესიებით აიხსნება, მეორე მხრივ კი იმით, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს ივანიშვილი ბურჯანაძისა და მისი ორი პოლიტსუბიექტის – დემოკრატიული მოძრაობისა და სახალხო კრების მიმართ.

ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ ივანიშვილის ერთი პატარა მესიჯი ბურჯანაძისადმი, რომ არ გამორიცხავს მასთან თანამშრომლობას, თუმცა რა ფორმის და შინაარსის იქნება ეს თანამშრომლობა, უცნობია.

ქართველი ესპერტების ნაწილი ვარაუდობს, რომ ბურჯანაძეს პოლიტიკაში კიდევ ერთი კონკურენტის გამოჩენა არ ესიამოვნა, თანაც, კონკურენტსაც გააჩნია. ბურჯანაძეს რომ არ დაესიზმრება, იმდენი ფული აქვს ივანიშვლს. ამიტომაც ცდილობს ის ფრთხილად, მაგრამ მაინც დააფიქსიროს, რომ მისი გზა ყველაზე მართებულია, ანუ საარჩევნო მარათონში ჩაბმა ივანიშვილის მხრიდან უფრო შეცდომაა, ვიდრე გონივრული გადაწყვეტილება. კიდევ ერთხელ არის საჭირო აცნობო საზოგადოებას, რომ არჩევნების გზა სააკაშვილის მოსაშორებლად არასწორია და ეს ხელისუფლება ხერხემალში სწორედ არჩევნებამდე უნდა გადატეხო, თანაც ამის გაკეთება სახალხო კრების პრიორიტეტული ამოცანაა. თორემ სხვა შემთხვევაში, როგორც თავად ქალბატონი ბურჯანაძე ამბობს, კონკურენტულ გარემოზე საუბარი მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ეს „დამნაშავე რეჟიმი დასრულდება“. დემოკრატიული მოძრაობისა და სახალხო კრების იდეური ლიდერი ნინო ბურჯანაძე თვლის, რომ როცა პოლიტიკურ არენაზე ასეთი ცვლილება ხდება და ახალი ძლიერი მოთამაშე შემოდის, კარტბლანშის დრო დგება, ბურჯანაძე ამიტომაც არ აქტიურობს, რომ მისცეს მას პოლიტიკურ ველზე დამკვიდრების საშუალება.

ბურჯანაძე ივანიშვილს საინტერესო მესიჯებს უგზავნის. მაგალითად, ხელისუფლების ჩანაცვლება კი არა, შეცვლა უნდა მოხდეს. ასეთი შეტყობინებები იმაზე მიანიშნებს, რომ ბურჯანაძე ან არ ენდობა ივანიშვილს და მას სააკაშვილის პროექტად თვლის, ან ახალგამოჩეკილი პოლიტიკოსივით ექცევა და ჭკუას არიგებს. ბურჯანაძე დღემდე არ აღიარებს შეცდომებს, რომელიც მაისის აქციებთან არის დაკავშირებული, მაგალითად, ის, რომ სახალხო კრების აქტივი ძირითადად პოლიტიკოსებისგან კი არ შედგებოდა, არამედ ხელოვანი და სპორტსმენი საზოგადოებისგან და ისინი ვერ მართავდნენ ვითარებას აქციებზე. მაისის აქციებზე ოპოზიციური ლიდერების აშკარა დეფიციტი იყო, ბურჯანაძე გაღიზიანებას არ მალავდა იმის გამო, რომ სხვა ლიდერები მის მიტინგზე არ გამოჩნდნენ, განსაკუთრებული თავდასხმის ობიექტი ეროვნული ფორუმი გახდა, მაგრამ იმ დროს ფორუმი და სხვა პარტიები ხელისუფლებასთან საქმეს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით არჩევდნენ. ბურჯანაძე რომ მათთვის არასასურველი პარტნიორი იყო, სწორედ მაშინ გამოჩნდა, ბურჯანაძემ მათთან წყალგამყოფი ხაზი გაავლო და ახლაც იმავეს იმეორებს, რომ ქვეყნის გადარჩენაზე როცაა ლაპარაკი, ოპოზიციამ ხალხის მასების მობილიზაცია უნდა მოახდინოს, საქართველო მარტო ჩვენია? - კითხულობს ბურჯანაძე. რა თქმა უნდა, მარტო ბურჯანაძის და ბიწაძის არ არის და ეს კარგია, თუმცა სხვა, ვინც გადატრიალებასა და რევოლუციებზე არ ფიქრობს, არ უნდა აიძულო, რომ ამაზე იფიქროს. შევარდნაძეს ჰქონდა თავის დროზე ეს თემა სასაცილოდ აგდებული, ვისაც გადატრიალება გინდათ, საკუთარ ლოგინში გადატრიალდითო, ურჩევდა.

მაისში არც ეროვნულ ფორუმს და არც სხვა პარტიებს რევოლუციებისთვის არ სცხელოდათ, ისინი „რვიანის“ ფორმატში ცდილობდნენ საარჩევნო კოდექსის დახვეწას. ადგილობრივი არჩევნები და მასში მონაწილეობა ბურჯანაძემ ყველაზე დიდ შეცდომად ჩათვალა და ალლოს დეფიციტი დაუწუნა ოპოზიციონერ კოლეგებს. სამაგიეროდ, განაცხადა, რომ პოლიტიკური ალლო აქვთ ჯაველიძეს, გაფრინდაშვილსა და ესაძეს. ბურჯანაძემ ახალგაზრდა თაობა გააკრიტიკა იმის გამო, რომ მის „ბელა ჩაო“ აქციაზე არ მივიდნენ და თავები არ დაიხეთქეს ხელკეტებით, ოპოზიციურმა სპექტრმა ფაქტობრივად ისევე გარიყა ბურჯანაძე, როგორც ნოღაიდელი და ოქრუაშვილი. ოქრუაშვილს და ბურჯანაძეს ახლაც აქვთ იმის ამბიცია, რომ ოპოზიციური სპექტრის ლოკომოტივობა გასწიონ, მაგრამ პოლიტიკური რეალობა ამის საშუალებას არც მანამდე აძლევდათ და არც ახლა ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ.

ამბიციას და არა რეალობის სწორად აღქმას უნდა მივაწეროთ ბურჯანაძის განცხადება, რომ ნაციონალებს სახალხო კრების დიდი შიში აქვთ და ამიტომაც ცდილობენ იგნორირება მოახდინონ ამ პოლიტიკური სუბიექტის. ხელისუფლება თურმე პანიკაში იყო, ბევრი ხალხის გამოსვლას ელოდა.

ახლა კი ხელისუფლება იმაზე ღელავს, მოხდება თუ არა ივანიშვილისა და ბურჯანაძის შეხვედრა. დანამდვილებით ვერ ვიტყვით, რა დოზით ღელავს სააკაშვილი ამ შეხვედრის გამო, მაგრამ ერთი რამ ფაქტია, ივანიშვილი ბურჯანაძესთან რაიმე ფორმით კონტაქტზე გამოსვლას არ ჩქარობს. ბურჯანაძე ამას გრძნობს და კარგადაც იცის, რა არის ამის მიზეზი. ბურჯანაძესთან კონტაქტს, როგორც ჩანს, რესპუბლიკელები და ალასანია არ ურჩევენ ივანიშვილს, ან კი რა მიზნით უნდა შედგეს ეს შეხვედრა? ნინო რევოლუციის მომხრეა, ბიძინა – არჩევნების, გამკაცრებული კანონის გამო კი ბიძინა, ძალიანაც რომ უნდოდეს, ნინოს ვერ დააფინანსებს.

# თელავი კულტურის სახლის გარეშე დარჩა

ქეთი ხომერიკი

„თავისუფალი საქართველოს“ კახეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი მოსიაშვილი ირწმუნება, რომ ქვეყანაში ელიტური კორუფცია მძვინვარებს. მისი თქმით, ხელისუფლებამ ჯერ გაყიდა, შემდეგ კი იყიდა თელავის ძველი თეატრის შენობა და, თუ რამდენ ლარად გაყიდა, გააცხადა, მაგრამ, რამდენად იყიდა უკან, ამას საგულდაგულოდ მალავს. მოსიაშვილის მტკიცებით, ამით წააგო მხოლოდ თელავის მოსახლეობამ და მოიგო ვიღაცამ. თუ ვინ დგას ამ „ვიღაცის“ უკან, გასაიდუმლოებულია. მოსიაშვილი „ახალ თაობასთან“ ყვება, თუ როგორ მოხდა ფულის გათეთრება „კახურად“ და თუ როგორ დარჩა თელავი კულტურის სახლის გარეშე.

„არსებული ხელისუფლების მხრიდან ხშირად გაისმის საქართველოში ჯერ არნახული და არგაგონილი აღმშენებლობის მიმდინარეობის შესახებ, რასაც ნაციონალური ტელევიზიები კიდევ მრავალ არნახულ ფანტაზიას ამატებენ, რაც, საბოლოო ჯამში, იღებს ისეთ სახეს, თითქოს საქართველო მართლაც წარმატებული და კორუფციისგან უკვე შორს მდგარი ქვეყანა იყოს. ეს, რა თქმა უნდა, ერთი შეხედვითაა ასე, რეალობა კი სულ სხვაა. სულ ცოტა ხნის წინ საქართველოს ხელისუფლების მაღალი ეშელონებიდან გაცხადებულ იქნა, რომ თელავის ცენტრში აშენდება იუსტიციის „მაღალი“ და გამჭვირვალე შენობა, რომ მას „ბადალი“ არ ექნება ლამის მთელ აღმოსავლეთ ევროპაში და რომ ეს ის მცირედია, რასაც კიდევ გეგმავენ „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ კახეთის სატახტო ქალაქში. ეს, ერთი შეხედვით, კარგი და მხოლოდ მისასალმებელი ამბავია, მაგრამ ხელისუფლებამ არ გააცხადა ის ამბავი, თუ რის სანაცვლოდ „ააგებდა“ გამჭვირვალე შენობას. ეს კი, არც მეტი, არც ნაკლები, თელაველებისთვის საყვარელი შენობა „ძველი თეატრია“, რომელიც დანგრევამდე კულტურის სახლის ფუნქციას ასრულებდა, სადაც უამრავი ბავშვი დადიოდა სხვადასხვა სახელოვნებო წრეზე, რომელთა უმრავლესობაც დღეს შენობის ძებნაშია და მათთვის შეთავაზებულ „ახალ“ კულტურის სახლში, შენობის მასშტაბიდან გამომდინარე, საქმიანობის გაგრძელება შეუძლებელია, – აცხადებს მოსიაშვილი. მისი თქმით, ყოველივე ამის მიუხედავად, არის კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი, რასაც კორუფცია ჰქვია.

„აღნიშნული შენობა 2008 წლის იანვრამდე ირიცხებოდა თელავის მუნიციპალიტეტის ბალანსზე, მანამ, სანამ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ არ მიიღო დავალება „მაღლიდან“ შენობის გაყიდვის შესახებ, რის შემდეგაც ლამაზად შეფუთული სიტყვებით გვაუწყეს, რომ ძველი თეატრის შენობა იყიდება კეთილშობილური მიზნისათვის, რასაც მაშინ „თელავი სითი“ პროექტი დაარქვეს, რომლის მიზანიც, მათი გადმოცემით, ქალაქის იერსახის შეცვლა, გალამაზება იყო. შენობა გაიტანეს ტენდერზე, საიდანაც მოხდა გასხვისება 100 000 დოლარის ეკვივალენტად ლარებში, რომლის რეალური საბაზრო ფასი იყო გაცილებით მაღალი, მინიმუმ სამჯერ მაინც, – აღნიშნავს მოსიაშვილი. მას ფასების ლოგიკურ მაგალითად თელავში ერეკლე II-ის გამზირზე, 7 ნომერში მდებარე არასაცხოვრებელი ფართი (ყოფილი წიგნის მაღაზია) მოჰყავს, რომელიც გაიყიდა უფრო ადრე, 2007 წელს და უფრო ძვირად, 210 000 დოლარის ეკვივალენტად ლარებში, ეს მაშინ, როცა მისი, როგორც შენობის მასშტაბები სამჯერ მცირეა. „ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ საქმე გვაქვს კორუფციასთან, სადაც კონკრეტული ინტერესი სახეზეა – შენობის ხელში ჩაგდება მცირე ფასად, მაგრამ ეს კორუფციული ჯაჭვი ყიდვით არ მთავრდება, – დასძენს მოსიაშვილი. მისივე თქმით, ორი წლის გასვლის შემდეგ უკვე ცენტრალური ხელისუფლება იღებს გადაწყვეტილებას, გამოისყიდოს უკან ადრე გაყიდული შენობა-ნაგებობა და მის ადგილზე „ალმართოს“ კანონიერების გამომხატველი ერთ-ერთი შენობა – იუსტიციის სახლი. ამ შემთხვევაშიც „თავისუფალი საქართველო“ დაინტერესდა, თუ რა თანხის საფასურად მოხდა გამოსყიდვა და საჯარო ინფორმაციის სახით გამოვითხოვეთ ინფორმაცია ჯერ იუსტიციის სამინისტროდან, ხოლო ინფორმაციის არგაცემის შემდეგ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან, საიდანაც ასევე ვერ მივიღეთ პასუხი. ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებლობა აღნიშნულ განცხადებაზე დაკისრებული აქვს „მდგრადი“ განვითარების სამინისტროს თანამშრომელს, ვინმე ნინო თუთბერიძეს. მიუხედავად მრავალი მცდელობისა, მიგველო გამოთხოვილი ინფორმაცია, ამ დრომდე ვერ მოვახერხეთ, მეტიც, ქალბატონი თუთბერიძე სატელეფონო საუბარში ჯერ არაგონივრულ ვადას, რამდენიმე თვეს ითხოვდა, ხოლო სულ ბოლოს პირდაპირ უარი განგვიცხადა ინფორმაციის გაცემაზე, – აცხადებს მოსიაშვილი.

„ყოველივე ზემოთ მოყვანილი მკაფიო და მყარი არგუმენტების საფუძველზე თავისუფალი საქართველო თვლის, რომ შენობის გაყიდვა, ხოლო შემდეგ უკან გამოსყიდვა ემსახურება მხოლოდ ცალკეული პიროვნებების ფინანსურ ინტერესებს და არის ნათელი მაგალითი ქვეყანაში მოქმედი ელიტური კორუფციისა, სადაც ჩართული არიან ქვეყნის მაღალი თანამდებობის პირები, რომელთა ამოცანას წარმოადგენს არა ქვეყნის განვითარება, არამედ საკუთარი ფინანსური აქტივების ზრდა მოსახლეობის კუთვნილი ქონების ხარჯზე, – განაცხადა მოსიაშვილმა ჩვენთან საუბრისას.

## ტაქსის მძღოლმა და მგზავრმა ერთმანეთი დაჭრეს

თბილისში, საბჭოს მოედანზე, 38 წლის ირაკლი ბიწაძე დანით დაჭრეს. ინციდენტი, სავარაუდოდ, ტაქსის მძღოლსა და კლიენტს შორის მოხდა. ჩხუბის დროს დამნაშავეც მსუბუქად დაიჭრა. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ ის პირველ კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანა, პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შემდეგ კი ის სამართალდამცველებმა დააკავეს. რაც შეეხება ირაკლი ბიწაძეს, მას წმინდა მიხეილის სახელობის საავადმყოფოში სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს.

## გურიაში თოფით ბავშვი მოკლეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 24 წლის სოსო პატარაია დააკავეს. მას გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის ბრალდება წაუყენეს. სამართალდამცავთა მონაცემებით, პატარაიამ სოფელ ჩიბათში არარეგისტრირებული სანადირო იარაღიდან შემთხვევითი გასროლით კეფის არეში 14 წლის თორნიკე კალანდარიშვილი დაჭრა. ბავშვი შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა.

დაკავებულმა აღიარა ჩადენილი დანაშაული. საქმეს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველო იძიებს.

## თვითმკვლელობა საავადმყოფოში

თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს მერვე სართულიდან 50 წლამდე ასაკის ქალი გადმოხტა.

საავადმყოფოს მედპერსონალის თქმით, ქალბატონი რამდენიმე საათის განმავლობაში მეუღლის, ზურაბ კოხორაშვილის პალატაში იმყოფებოდა, რომელიც გულზე პრობლემების გამო აღნიშნულ კლინიკაში გადიოდა მკურნალობას, შემდეგ პალატა დატოვა და დერეფნის ფანჯრიდან გადახტა.

ქალბატონი ადგილზევე გარდაიცვალა. ის საკუთარმა შვილმა იპოვა, რომელიც შემთხვევის დროს კლინიკის შესასვლელთან იმყოფებოდა.

## რატომ დააკავეს პროკურორი და ადვოკატი



ადამიანის უფლებათა ცენტრის ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა აჭარის პროკურატურის ანტიკორუფციული საგამოძიებო ნაწილის უფროსი გამომძიებელი გელა მახარაძე და მისი სიმამრი, ადვოკატი არჩილ კალანდაძე დააკავეს.

დაკავებულებს ბრალად ედებათ თაღლითობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

საქართველოს მთავარი პროკურატურის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, გელა მახარაძემ და მისმა სიმამრმა, არჩილ კალანდაძემ, პატიმრობაში მყოფი ზურაბ მახარაძის ოჯახის წევრები დაარწმუნეს, თითქოს პროკურატურაში ქრთამის მიცემის გზით ზურაბ მახარაძის ბრალდების საქმის მათთვის სასურველი პირობებით მოგვარებას შეძლებდნენ, სანაცვლოდ კი ამ ოჯახის წევრებისაგან ფული მიიღეს, მთლიანობაში – 17 000 აშშ დოლარი. საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულია თანხის ნაწილი – 12 000 აშშ დოლარი.

პოლიციის ინფორმაციით, ორივე ბრალდებული სრულად აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. აღკვეთის ღონისძიების სახით მათ მიმართ წინასწარი პატიმრობაა გამოყენებული.

## „ბათუმელების“ ჟურნალისტის საქმის გამომძიებელი დაიჭირეს

გაზეთ „ბათუმელების“ ცნობით, ჟურნალისტ თედო ჯორბენაძის საქმის გამომძიებელი გელა მახარაძე დაკავებულია. მას ბრალად ედება თაღლითობით სხვისი ქონების მითვისება.

„ბათუმელების“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 2009 წლის 25 ნოემბერს ბათუმში, შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში, თედო ჯორბენაძეს უცნობი პირი შანტაჟის გზით აიძულებდა, სპეცსამსახურებთან ეთანამშრომლა. სწორედ მახარაძეს ევალებოდა ამ პირის დადგენა, რომელსაც 2011 წლის 20 ნოემბერს თავად „ბათუმელებმა“ მიაკვლია. ის დავით დევნოზაშვილი აღმოჩნდა.

– გამოცემამ დევნოზაშვილის პოვნის ამბავი პირველად სწორედ გელა მახარაძეს აცნობა და დაუყოვნებელი რეაგირება სთხოვა, რასაც გამომძიებელს კანონიც ავალდებულებდა. ამ შეტყობინებაზე გელა მახარაძეს შემდეგი რეაქცია ჰქონდა – „ხვალ წერილობით მომმართეთ, – აცხადებენ ჟურნალისტები.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში ყოფილ გამომძიებელს 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.



## კახეთში სამი ახალგაზრდა ნაჯახით აჩეხეს

რამდენიმე დღის წინ დედოფლისწყაროში სამი ახალგაზრდა, მათ შორის ერთი გოგონა ნაჯახით დაჭრეს. ამ ფაქტის შესახებ ინფორმაცია ინტერნეტგაზეთმა „ქიზიყმა“ გაავრცელა.

გამოცემის ინფორმაციით, დედოფლისწყაროში, მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალის ტერიტორიაზე, გვიან ღამით ახალგაზრდებს შორის დაწყებული კამათი სამი ადამიანის დაჭრით დასრულდა. მათ შორის სხეულის დაზიანებები აღენიშნება სოფელ ხორნაბუჯში მცხოვრებ 28 წლის მარინა ნიპომნიშევს.

„ქიზიყის“ ინფორმაციით, განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში დედოფლისწყაროს სახანძრო-სამაშველო სამსახურის მაშველი, 21 წლის შოთა ქადაგიძე იმყოფებოდა, 21 წლის გიორგი ცისკარაულს კი კისერში ჰქონდა ნაკვეთი ჭრილობა მიღებული.

– გოგონას ნაკვეთი ჭრილობა მარცხენა იღლიის ფოსოს არეში აღენიშნება. დაჭრილების სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, ისინი სტაციონარში განაგრძობენ მკურნალობას, – უთხრეს ჟურნალისტებს დედოფლისწყაროს საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში.

დედოფლისწყაროს სახანძრო-სამაშველო სამსახურის უფროსმა ლევან გოზალიშვილმა თანამშრომლის დაჭრის ფაქტი დაადასტურა, თუმცა, განვმარტავ, რომ ქადაგიძე არასამუშაო საათებში დაჭრეს:

– დაჭრილი საავადმყოფოში მოვინახულეთ. ეს ფაქტი მისი მორიგეობის დროს არ მომხდარა და სამსახურთან კავშირი არ აქვს, – აღნიშნა გოზალიშვილმა.

წინასწარი ინფორმაციით, ახალგაზრდებს შორის სისხლიანი გარჩევა გოგონას გამო დაიწყო.

როგორც დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველოში „ქიზიყს“ განუცხადეს, ეჭვმიტანილის ვინაობა ცნობილი ჯერ არ არის. მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება. გამოძიების მტკიცებით, თვითმხილველთა დიდი ნაწილი უკვე დაკითხულია.

## 20 წლის ბიჭს 16-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს

თბილისის საქალაქო სასამართლომ კიდევ ერთი სისხლის სამართლის საქმის განხილვა დაასრულა. საუბარია ფაქტის შესახებ, რომლის დროსაც ახალგაზრდებს შორის დაწყებული ურთიერთშელაპარაკება განზრახ მკვლელობის მცდელობაში გადაიზარდა. 20 წლის გიორგი ბაიდოშვილს გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანეს. მას ბრალი ხულიგნური ქვენაგრძნობით ორი ან მეტი პირის მიმართ განზრახ მკვლელობის მცდელობაში წარედგინა.

საქმის მასალების მიხედვით, წელს, 2 მარტს, დაახლოებით 13:00 საათზე, გიორგი ბაიდოშვილი მეგობრებთან ერთად თბილისში, ყაზბეგის გამზირზე იმყოფებოდა. ახალგაზრდებს მათთვის უცნობ პირებთან კონფლიქტი მოუვიდათ, რაც მალევე სიტყვიერ და ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

საქალაქო სასამართლოში აცხადებენ, რომ ჩხუბის დროს გიორგი ბაიდოშვილმა დანით გულმკერდისა და მუცლის არეში სხეულის მრავლობითი დაზიანება გიორგი ჩ.-ს და ოლეგ მ.-ს მიაყენა.

– მომხდარი ინციდენტით შეწუხებული მოქალაქეები დროულად დაუკავშირდნენ საპატრულო პოლიციას. გიორგი ბაიდოშვილმა და მისმა თანხმლებმა პირებმა საპატრულო ბრიგადების მოსვლამდე მოახერხეს დანაშაულის ადგილიდან მიმალვა. სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების შედეგად ექიმებმა გიორგი ჩ.-ს და ოლეგ მ.-ს სიცოცხლე შეუნარჩუნეს.

ღია სასამართლო სხდომაზე გიორგი ბაიდოშვილმა კანონით მინიჭებული დუმილის უფლებით ისარგებლა. მსჯავრდებულის მიმართ წარდგენილი ბრალება დადასტურდა საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით, – აცხადებენ საქალაქო სასამართლოში.

სასამართლომ გიორგი ბაიდოშვილი დამნაშავედ ცნო და მას სასჯელის სახედ და ზომად 16 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

## ბინის ქურდ არასრულწლოვანს 30-წლიანი სასჯელი ემუქრება



მართალია, ხელისუფლება გვიმტკიცებს, რომ საქართველოში აღარც ბინებს ძარცვავენ და არც მანქანებს ტეხენ, თუმცა, ასეთი ფაქტები მაინც მრავლად ხდება და ასეთ დანაშაულებში ეჭვმიტანილებსაც აკავებენ. მაგალითად, ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს რუსთავის პოლიციის თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად ბინების ქურდობის ბრალდებით დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები დააკავეს. შსს-ს ინფორმაციით, დაკავებული არიან 20 წლის დავით გოცირიძე და მისი 17 წლის მეგობარი, რომლის ვინაობასაც, მისი არასრულწლოვანების გამო, არ ასახელებენ.

პოლიციის ინფორმაციით, დაკავებული ახალგაზრდები თბილისსა და რუსთავში ე.წ. ატმიჩკების გამოყენებით საცხოვრებელ სახლებში შედიოდნენ და ოქროულობას თუ ფულს იპარავდნენ.

– გამოძიების მსვლელობისას დადგენილია, რომ დაკავებულების მიერ 2011 წლის განმავლობაში ჩადენილია ათზე მეტი ბინის ქურდობის ფაქტი. პოლიციის მიერ ამოღებულია ნაქურდალი ნივთების ნაწილი. ორივე დაკავებული აღიარებს მათ მიერ ჩადენილ დანაშაულს, – აცხადებენ შსს-ში.

მომხდარზე გამოძიებას შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველო აწარმოებს. ჩადენილი დანაშაული 30 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## რა დანაშაულები ჩაიდინეს სამართალდამცავებმა



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ადამიანის უფლებებისადმი მიძღვნილ ღონისძიებათა სერია 26 მაისის აქციის დაშლასთან დაკავშირებული ანგარიშის პრეზენტაციით დაასრულა.

„ანგარიში 26 მაისი – აქციის დაშლის დროს და მასთან კავშირში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების ანალიზი“ მოიცავს 26 მაისს აქციის დაშლის დროს და შემდგომ დაკავებული აქციის მონაწილეების მიმართ უფლებათა დარღვევის ფაქტების, ასევე 26 მაისამდე მიმდინარე აქციებთან კავშირში მყოფი პირების მასობრივი დაკავებების პრაქტიკის ანალიზს. მათ შორის, ანგარიშში შეფასებულია შემდეგი საკითხები: აქციის დაშლის დროს პოლიციის მიერ ძალის გადამეტება; აქციის დაშლის მოვლენებთან კავშირში დაფიქსირებული სიცოცხლის ხელყოფის ფაქტები; აქციის დაშლის დროს ჟურნალისტური საქმიანობისთვის ხელის შეშლა; დაკავებული აქციის მონაწილეების მიმართ არასათანადო მოპყრობა.

ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე სადავოა გამოძიების ეფექტურობისა და დამოუკიდებლობის საკითხი.

გამოვლენილი დარღვევების ხარისხისა და მასშტაბის გათვალისწინებით, ანგარიშში აღნიშნულია, რომ სახელმწიფომ არასათანადო და არაეფექტური რეაგირება მოახდინა სამართალდამცავი პირების მიერ ჩადენილ დარღვევებზე.

საია მოუწოდებს ხელისუფლებას, ჩაატაროს ეფექტური გამოძიება ანგარიშში წარმოდგენილ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე და შესაბამისი სამართლებრივი პასუხისმგებლობა დააკისროს იმ თანამდებობის პირებს, რომლებმაც დაგეგმეს აქციის დაშლის ოპერაცია და ხელმძღვანელობდნენ მის განხორციელებას.

## ჩინოვნიკებმა დანაშაული აღიარეს

თბილისის საქალაქო სასამართლომ გიორგი ტაკიძე და მერაბ კურდღელაშვილი გაასამართლა. გიორგი ტაკიძეს ბრალად დიდი ოდენობით ქრთამის აღება ედებოდა, ასევე დადანაშაულებული იყო ქრთამის აღების მეორე ეპიზოდშიც. რაც შეეხება მერაბ კურდღელაშვილს, მას ბრალად ედებოდა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დიდი ოდენობით სხვისი ქონების მითვისება, ყალბი საანგარიშსწორებო დოკუმენტის დამზადება და გამოყენება.

საქმის მასალების მიხედვით: შარშან, 4 იანვარს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ „ოზურგეთის დასუფთავების სამსახური“ დააფუძნა, რომლის საქმიანობის საგანს ოზურგეთის, მისი რამდენიმე სოფლისა და დაბა ურეკის ქუჩების დაგვა-დასუფთავება, ასევე ნაგავსაყრელზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა წარმოადგენდა.

2010-2011 წლებში ამ მომსახურების შესყიდვაზე ოზურგეთის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგეობას ხელშეკრულებები გაფორმებული ჰქონდა „ოზურგეთის დასუფთავების სამსახურთან“, რისთვისაც ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო შესაბამისი სახსრები.



– გიორგი ტაკიძემ, იყო რა ოზურგეთის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგებელი, 2010 წლის ივნისში თავის სამუშაო კაბინეტში დაიბარა „ოზურგეთის დასუფთავების სამსახურის“ უფროსი მერაბ კურდღელაშვილი, რომელსაც თანამდებობის შენარჩუნების, მისი კეთილგანწყობის მოპოვებისა და მომავალში ახალი ხელშეკრულების გაფორმების სანაცვლოდ, ქრთამის სახით ყოველთვიურად 1000 ლარის გადახდა მოსთხოვა. აღნიშნულ მოთხოვნას მერაბ კურდღელაშვილი დათანხმდა და ის 2010 წლის ივნისიდან ამავე წლის დეკემბრის ჩათვლით, გიორგი ტაკიძეს ყოველთვიურად ქრთამის სახით 1000 ლარს უხდიდა. გარდა აღნიშნულისა, 2011 წლის იანვარში გიორგი ტაკიძემ კვლავ დაიბარა მერაბ კურდღელაშვილი და მას კვლავ მოსთხოვა ქრთამი, რომლის ოდენობაც 1000 ლარიდან 1500 ლარამდე გაიზარდა. ამრიგად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი ტაკიძემ, „ოზურგეთის დასუფთავების სამსახურის“ უფროს მერაბ კურდღელაშვილს 2010 წლის ივნისიდან 2011 წლის ივნისამდე პერიოდში ქრთამის სახით ჯამში 16000 ლარი გამოსძალა.

2010-2011 წლებში მერაბ კურდღელაშვილმა, იყო რა „ოზურგეთის დასუფთავების სამსახურის“ დირექტორი, ამავე სამსახურის მექანიკოსს დაავალა დაემზადებინა და ხელმოწერით დაემოწმებინა საწვავის გაცემის ყალბი უწყისები, რომლის გამოყენებით ხსენებულ პერიოდში ფიქტიურად გაიწერა 54221 ლარის ღირებულების 29350 ლიტრი დიზელის საწვავის ტალონი, რაც მის მიერ რეალიზებულ იქნა გამოძიებით დაუდგენელ პირებზე, ხოლო მიღებული შემოსავალი მან მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისა.

ბრალდებულთა მიერ ზემოაღნიშნული ქმედების ჩადენა დადასტურებულ იქნა მოწმეთა ჩვენებებით, საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტორების მიერ 2011 წლის 11 ივლისს შედგენილი დასკვნით და „ოზურგეთის დასუფთავების სამსახურიდან“ ამოღებული საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტაციით, ასევე საქმეში არსებულ სხვა უტყუარ მასალათა ერთობლიობით, – აცხადებენ საქალაქო სასამართლოში.

ბრალდებულებმა ტაკიძემ და კურდღელაშვილმა განცხადებით მიმართეს საქართველოს მთავარ პროკურატურას და ბრალზე შეთანხმების თაობაზე თანხმობა განაცხადეს. ისინი დაეთანხმნენ პროკურორის მიერ შეთავაზებულ სასჯელის სახესა და ზომას და წარდგენილ ბრალდებაში თავი სრულად ცნეს დამნაშავედ. აქედან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლომ გიორგი ტაკიძეს დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოოდ 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და დამატებით სასჯელად 25000 ლარის ოდენობით ჯარიმა შეუფარდა, ხოლო მერაბ კურდღელაშვილს თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით განუსაზღვრა და მასვე დამატებითი სასჯელის სახით 5000 ლარის ოდენობით ჯარიმა დაეკისრა.

შალვა ჯოხაძე

შალვა ჯოხაძე

**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მობილური ტელეფონის ელექტრომაგნიტური გამოსხივების ადამიანზე ზეგავლენის შესახებ საინტერესო დასკვნა დადო. ამ დასკვნიდან შეიტყობთ, რა არის ე.წ. სარ–ი, როგორ უნდა ვისაუბროთ ტელეფონით ისე, რომ ნაკლები ზიანი მიადგეს ჩვენს ჯანმრთელობას და ა.შ.**

# ბავშვებისთვის მობილურ ტელეფონზე საუბარი საშიშია!



## რა საგანგაშო დასკვნები დადო კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ

– კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მობილური ტელეფონის ელექტრომაგნიტური გამოსხივების ზეგავლენა შეისწავლა. კვლევის მიზანს წარმოადგენდა მობილური ტელეფონის გამოსხივებული ელექტრომაგნიტური ენერგიის მავნე გავლენის და დასაშვები ნორმების შესახებ საზოგადოებისთვის რჩევების მიცემა და ასევე, ელექტრომაგნიტური გამოსხივებისაგან თავდაცვის ღონისძიებების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება. დღეს, როდესაც მობილური ტელეფონი ჩვენი ცხოვრების პრაქტიკულად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, გთავაზობთ, ვიცხოვროთ მობილურ ტელეფონთან ერთად ისე, რომ მან არ დააზიანოს და საფრთხე არ შეუქმნას თქვენს ჯანმრთელობას, – აცხადებენ კომისიაში.

კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში აცხადებენ, რომ აუცილებელია, მობილურებთან დაკავშირებით რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტის შესახებ ვიცოდეთ. თავდაპირველად, გეტყვით, რას წარმოადგენს ე.წ. სარ-ი (ენერგიის შთანთქმის ფარდობითი კოეფიციენტი) და როგორია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დადგენილი სარ-ის ნორმა?

– 2005 წელს საერთაშორისო ელექტროტექნიკურმა კომისიამ მობილური ტელეფონის ენერგიის შთანთქმის ფარდობითი კოეფიციენტის (სარ–ის) გაზომვის სტანდარტი – იეც 62209-1 შეიმუშავა. მისი გაზომვის ერთეულია ვტ/კგ – ანუ სხეულის გარკვეულ მასაზე მოსული სიმძლავრე. ამ სტანდარტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ: ელექტროტექნიკური სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტი და აშშ-ს ელექტროტექნიკოსებისა და ელექტრონიკის ინჟინრების ინსტიტუტი. ახალი სტანდარტი განეკუთვნება მობილური ტელეფონების გამოსხივების ენერგიის შთანთქმის ფარდობითი კოეფიციენტის დონის გაზომვას 300 მგჰც – 3 გჰც დიაპაზონში. ის ეხება მხოლოდ გაზომვის მეთოდიკას და არა თვით გამოსხივების დასაშვებ შთანთქმულ სიმძლავრეს.

მობილური ტელეფონების გამოსხივების დასაშვები დონეები ევროპისათვის დადგენილია არამაიონიზებელი გამოსხივების საერთაშორისო კომისიის მიერ, ხოლო აშშ-ში ელექტროტექნიკოსთა და ელექტრონიკის ინჟინრების ინსტიტუტის მიერ. ეს ნორმები ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციამ მოიწონა.

სარ-ის დასაშვები ნორმებია: ევროპაში – 0,08 ვტ/კგ (მთელი სხეულისათვის) და 2 ვტ/კგ-ზე (გამოსხივების დოზიდან გამომდინარე, რომელსაც შთანთქავს სხეულის 10 გრამი ქსოვილი). აშშ-ს კომუნიკაციების ფედერალური კომისიის მიერ სარ-ის ნორმები გამკაცრებულია, შესაბამისად, 0,08 ვტ/კგ და 1,6 ვტ/კგ (გამოსხივების დოზიდან გამომდინარე, რომელსაც შთანთქავს სხეულის 1 გრამი ქსოვილი). ევროპის მიერ არსებობს დაშვება სარ-ის მნიშვნელობის გაზრდაზე 4 ვტ/კგ – მდე სხეულის ზოგიერთი ნაწილისათვის, მაგალითად, ხელებისათვის. ევროპული ნორმატივი გამოიყენება ევროპაში, იაპონიაში, კორეაში, რუსეთში და სხვა ქვეყნებში. აშშ-ს ნორმები - აშშ-ში, კანადაში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში და სხვა ქვეყნებში, – აცხადებენ კომისიაში.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, ხსენებული კვლევების შესაბამისად, იმისთვის, რომ რაც შეიძლება ნაკლები ელექტრომაგნიტური დასხივება მივიღოთ, მობილური ტელეფონის მოხმარების და შერჩევის სარეკომენდაციო ხასიათის რჩევებს გვთავაზობს. უწყების ინფორმაციით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ თავი მოუყარა 2 700-მდე მობილური ტელეფონის სარ-ის მონაცემებს და შექმნა ონლაინ მობილური ინფორმერი, რომელიც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე და კომისიის „ფეისბუქის" ფანგვერდზე იქნება განთავსებული. მობილური ტელეფონების პოტენციურ მყიდველებს შესაძლებლობა ექნებათ მობილური ტელეფონის აპარატის შერჩევისას მიიღონ ინფორმაცია სარ-ის მონაცემების შესახებ (შენიშვნა: ტესტები სარ-ის გაზომვაზე ტარდება მობილური ტელეფონის სტანდარტულ მუშა მდგომარეობაში, ამასთან, ტელეფონი უნდა მუშაობდეს გამოსხივების მაქსიმალურ სიმძლავრეზე და ყველა სერტიფიცირებულ დიაპაზონში).

რაც შეეხება მობილური ტელეფონის მოხმარების წესებს, რათა მან არ დააზიანოს და საფრთხე არ შეუქმნას ჩვენს ჯანმრთელობას, კომისიაში ამ საკითხზე რამდენიმე შეკითხვას პასუხობენ:

***– რაზეა დამოკიდებული მობილური ტელეფონის სარ-ის სიდიდე?***

– სარ-ის მნიშვნელობა განისაზღვრება მობილური ტელეფონის ტექნიკური მახასიათებლებით (გამოსხივებული სიმძლავრე, ეკრანირება და სხვა). ამავე დროს, სარ-ის სიდიდე დამოკიდებულია ადამიანის თავთან მობილური აპარატის ძირითადი გამომსხივებელი ანტენის სიახლოვეზე. ანტენის კონსტრუქციაზე, ანუ ტელეფონით საუბრისას მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ანტენის განთავსების ადგილი მობილური ტელეფონის კორპუსში.

***– როგორ შევარჩიოთ ნაკლები გამოსხივების დონის მობილური ტელეფონი?***

– იმათთვის, ვისაც სურს აირჩიოს ტელეფონი გამოსხივების ნაკლები დონით, რეკომენდაცია ეძლევათ იხელმძღვანელონ შემდეგი მარტივი წესებით: დაინტერესდით რამდენია ამ ტელეფონის სარი; ეს შესაძლებელია გააკეთოთ წინასწარ, ინტერნეტის საშუალებით; აირჩიეთ მოდელი სარ-ის მცირე მნიშვნელობით; გაარკვიეთ მობილური ტელეფონის კორპუსში ანტენის განთავსების ზუსტი ადგილი (ძირითადად ის განთავსებულია ტელეფონის კორპუსის ზედა ნაწილში), მათ, ვისაც სურთ მთლიანად აიცილონ ზემაღალი სიხშირის ზემოქმედება, რეკომენდაცია ეძლევათ გამოიყენონ სხვადასხვა მოწყობილობებს შორის ინფორმაციის უსადენო გაცვლის ტექნოლოგია (უსადენო ყურსასმენები) – ბლუთუზი.

***– შეუძლია თუ არა ჩართულ ტელეფონს ლოდინის რეჟიმში ზიანი მიაყენოს ადამიანს? რომელ რეჟიმშია მობილური ტელეფონის გამოსხივება ყველაზე საშიში?***

– თუ ტელეფონი იმოფება ლოდინის რეჟიმში, მაშინ გამოსხივება უმნიშვნელოა, ვინაიდან საბაზო სადგურთან მონაცემების გაცვლა წამის მეათედებში მიმდინარეობს. ამდენად, ამ შემთხვევაში ტელეფონი შეიძლება გქონდეთ იქ, სადაც მოხერხებულია თქვენთვის. ლაპარაკის დროს კი შეეცადეთ ტელეფონი გეჭიროთ გარკვეულ მანძილზე თავიდან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სარგებლობთ გარნიტურით. აქვე აუცილებელია განვმარტოთ, რომ თავად ტელეფონით საუბარი იყოფა ორ ნაწილად: სხვა აბონენტის გამოძახება და საუბარი. გამოძახების დროს თქვენი ტელეფონი საბაზო სადგურის მეშვეობით უკავშირდება სხვა აბონენტს. ამასთან, რაც უფრო ახლოს არის საბაზო სადგური, მით უფრო ნაკლები სიმძლავრით ერთვება თქვენი ტელეფონი, ვინაიდან ხდება საბაზო სადგურთან მობილური ტელეფონის სიმძლავრის ადაპტაცია. შემდეგ ხდება ჩართვა. სწორედ ჩართვის პროცესში ვითარდება ელექტრომაგნიტური სიმძლავრის ნაკადის მაქსიმალური სიმკვრივე. კერძოდ, ჯი-ეს-ემ სისტემებისათვის დაახლოებით 18 მვტ/სმ2, მაშინ, როდესაც საუბრისას სიმძლავრის ნაკადის მაქსიმალური სიმკვრივე შეადგენს მხოლოდ 2 მვტ/სმ2, ე.ი. 9-ჯერ ნაკლებს. ამდენად, მობილურ ტელეფონს ყველაზე მეტი გამოსხივება აქვს კავშირის დამყარების მომენტში და არა მაშინ, როდესაც თქვენ საუბრობთ.

რკინაბეტონის კონსტრუქციის შენობებში (გარდა მსხვილი სავაჭრო ცენტრების, სადგურების და სხვა ასეთი ტიპის შენობებისა, სადაც მობილური ტელეფონების ოპერატორებს შეიძლება განთავსებული ჰქონდეთ ლოკალური საბაზო სადგურები) შესაძლებლობისდაგვარად, უნდა მიხვიდეთ ფანჯარასთან, ან კიბეებს შორის. ცუდი მიღების შემთხვევში მობილური ტელეფონით ზარის განხორციელების დროს ელექტრომაგნიტური გამოსხივება მკვეთრად იზრდება. თუ იმყოფებით ცუდი მიღების ზონაში (ტელეფონის დისპლეიზე ჩანს მიღების დონის შკალის ნახევარი), საუბრის ხანგრძლივობა მინიმუმამდე უნდა დაიყვანოთ, ან, შეძლებისდაგვარად, ხმოვანი შეტყობინებიდან გადახვიდეთ სმს შეტყობინებაზე.

***– როგორ უნდა გვეჭიროს მობილური ტელეფონი?***

– საუბრისას ტელეფონი უნდა გვეჭიროს ისე, რომ ანტენა ხელით არ დავფაროთ. ხელით არ უნდა დავფაროთ კორპუსის (განსაკუთრებით ზედა, იშვიათად, ქვედა) მესამედზე მეტი.

შეერთების დამყარების მომენტში ჯი-ეს-ემ ტელეფონები ჩვეულებრივ მუშაობენ დიდ სიმძლავრეზე (როგორც ზემოთ ვნახეთ, 9-ჯერ მეტ სიმძლავრეზე, ვიდრე ჩვეულებრივ რეჟიმში საუბრის დროს), ამიტომ თქვენი ტელეფონიდან გამომავალი ზარის შემთხვევაში, ყურმილი ყურთან უნდა მიიტანოთ ნომრის აკრეფიდან რამდენიმე წამის შემდეგ (კავშირის დამყარების მომენტი ტელეფონების უმეტესობაზე შეიძლება დაადგინოთ დისპლეის ინდიკაციის მიხედვით).

ხანგრძლივი საუბრისას რეკომენდებულია მოიხსნათ მეტალისჩარჩოიანი სათვალე, ვინაიდან ასეთმა ჩარჩომ შეიძლება შეასრულოს მეორადი გამოსხივების როლი და გამოიწვიოს გამოსხივების სიმძლავრის გავლენის გაზრდა. სასურველია არ ვისაუბროთ მობილური ტელეფონით 4-5 წუთზე მეტი.

სიმძლავრის შესამცირებლად რეკომენდებულია გამოიყენოთ აქსესუარი: უსადენო გარნიტურა – ბლუთუზი.

***– რომელი ადგილია ყველაზე უსაფრთხო ტელეფონის სატარებლად?***

– ყველაზე უსაფრთხოა მობილური ტელეფონი ვატაროთ ბარძაყის გარე მხარეზე, მუხლსზემოთ.

***– როდის უფრო მეტია მობილური ტელეფონის მიერ გამოსხივებული სიმძლავრე - საუბრის დროს თუ მონაცემების გადაცემისას (სმს)?***

– ჯი-ეს-ემ ტექნოლოგიით სარგებლობისას მონაცემების გადაცემის მოკლე ტექსტური შეტყობინების (სმს) რეჟიმში ზემაღალი სიხშირის გამოსხივების ინტენსივობა იზრდება. თუმცა, სმს-ის გაგზავნის შემთხვევაში, როგორც წესი, გადაცემის ხანგრძლივობის სიმცირიდან გამომდინარე ზეგავლენაც მცირეა.

არ არის მიზანშეწონილი ლაპარაკი მანქანის სალონიდან, ვინაიდან მანქანიდან საუბრისას მანქანის კორპუსი მნიშვნელოვნად ამცირებს საბაზო სადგურიდან მოსულ ელექტრომაგნიტურ სიმძლავრეს, რაც ზრდის მობილური ტელეფონის მიერ გამოსხივების სიმძლავრეს.

***– მობილური ტელეფონი და ბავშვები – რა უნდა ვიცოდეთ ამ თემასთან დაკავშირებით?***

– განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს 8 წლამდე ბავშვების მიერ მობილური ტელეფონით სარგებლობას და მაქსიმალურად უნდა შევზღუდოთ საუბრის ხანგრძლივობა. ამ შემთხვევაში ლაპარაკის ხანგრძლივობა უნდა შევზღუდოთ 1-2 წუთით. ამასთან ერთად, დარეკონ მხოლოდ განსაკუთრებული აუცილებლობის შემთხვევაში. ასწავლეთ მათ, როგორ უნდა ეჭიროთ მობილური ტელეფონი.

# ვერა ქობალია მიხეილ სააკაშვილის ინიციატივას იწუნებს

შალვა ჯოხაძე

**საუბარია ქობულეთის ტურისტული ზონის შესახებ, რომელიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ვერა ქობალიას განცხადებით, სათანადოდ წარმატებული არ გამოვიდა. ყველას კარგად გახსოვთ, რომ საქართველოს მთავრობამ, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, თავისუფალი ტურისტული ზონის შექმნის შესახებ გააკეთა განცხადება. ეს სააკაშვილის ინიციატივა იყო, რომლის თანახმადაც, შავი ზღვის სანაპირო ზოლში, კერძოდ, ქობულეთში სასტუმროების კომპლექსი უნდა აშენდეს.**

პროექტით დაინტერესებულ პირებს მთავრობა საგადასახადო შეღავათებს დაჰპირდა.

პროექტის თანახმად, თუ დაინტერესებული პირი მინიმუმ 1 მილიონ ლარს ჩადებს სასტუმროს ასაშენებლად, მაშინ მას მიწის ნაკვეთი სიმბოლურ ფასად – 1 ლარად გადაეცემა. ამის გარდა, სასტუმროს მესაკუთრე მოგებისა და ქონების გადასახადისგან 15 წლის განმავლობაში გათავისუფლდება. თავის მხრივ, ხელისუფლება იღებს ვალდებულებას, „ქობულეთის თავისუფალი ტურისტული ზონის" ინფრასტრუქტურა, მათ შორის, გზები და მიწისქვეშა კომუნიკაციები მოაწყოს.



თავის დროზე სამთავრობო კომოსიამ 8 ინვესტორი გამოავლინა, რომლებსაც 15 სასტუმრო კომპლექსი უნდა აეშენებინათ, მაგრამ მოგვიანებით, ინვესტორთა ნაწილმა უკან დაიხია. ამ დროისათვის ქობულეთის ტურისტულ ზონაში 3 სასტუმროს ორი კომპანია აშენებს.

ქობულეთში „თავისუფალი ტურისტული ზონის" განვითარების მიზნით, ე.წ. ფიჭვნარის ტერიტორიზე, ზღვიდან 140 მეტრის დაშორებით, ახალი სასტუმროების მშენებლობისთვის მთავრობამ პოტენციურ ინვესტორებს განსხვავებული შეღავათები შესთავაზა. პროექტის თანახმად, ფიჭვნარის ტერიტორიზე გამოყოფილია მიწის 3 ნაკვეთი (საერთო ფართით 11,3 ჰა), რომლებზედაც დაგეგმილია 30 სასტუმრო კორპუსის მშენებლობა. განსაზღვრულია სასტუმრო კორპუსების 3 ტიპი. მშენებლობის მსურველს შეუძლია არჩევანი გააკეთოს. ასევე, განსაზღვრულია, სასტუმრო კორპუსების სართულიანობაც: 5, 6 ან 7 სართული (42, 52 ან 60 ნომერი).

დღეს ირკვევა, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ქობულეთის ტურისტულ ზონას სათანადოდ წარმატებულად არ მიიჩნევს. ამის შესახებ ქობალიამ „ჯი-ეიჩ-ენთან" საუბრისას განაცხადა. როგორც ვერა ქობალიამ თქვა, ქობულეთის ტურისტული ზონა ანაკლიის ტურისტული ზონის მსგავსად წარმატებული არ არის.

– ქობულეთის ტურისტული ზონა არ არის ისეთი წარმატებული, როგორც ანაკლიის ტურისტული ზონა. ინვესტორების მხრიდან უფრო მეტი დაინტერესება ანაკლიის ტურისტული ზონის მიმართ იქნება გამოხატული. თუმცა ქობულეთშიც მიმდინარეობს მშენებლობები და სამუშაოების დასრულების შემდეგ ქობულეთის ტურისტულ ზონაში ძირითადად ქობულეთის მცხოვრებლები დასაქმდებიან. ჩვენ არ ვაპირებთ ამ პროექტის გაჩერებას. აჭარის მთავრობა და საინვესტიციო სააგენტო მუშაობს იმაზე, რომ გაცილებით მეტი ინვესტორის შემოყვანა მოხდეს, – აღნიშნა ვერა ქობალიამ.

# ნინო ჯანგირაშვილი: „გამაცანით ისეთი პოლიტიკოსი, რომელიც უანგაროდ დააფინანსებს ჩემს ტელევიზიას“

შალვა ჯოხაძე



ბოლო პერიოდში, ქართულ მედიაში ძალიან ბევრი საინტერესო მოვლენა ხდება. მოხშირდა სკანდალები, იქმნება ახალი მედიაგაერთიანებები, მუშაობა მიდის პრესის გავრცელების ახალ ფორმებზე. ამ საკითხებთან დაკავშირებით „ახალი თაობა“ ტელეკომპანია „კავკასიის“ ერთ-ერთ ხელმძღვანელს, ნინო ჯანგირაშვილს გაესაუბრა, რომელსაც მიმდინარე მოვლენებზე საინტერესო მოსაზრებები აქვს. ჯანგირაშვილთან საუბარი იმ ახალი მედიაგაერთიანების თემით დავიწყეთ, რომლის დასახელებაც კი არ არის ჯერ ცნობილი, თუმცა გარკვეულია, რომ ის „მაესტროს“ ინიციატივით იქმნება.

**ნინო ჯანგირაშვილი:**

— ჯერჯერობით, დეტალები არ ვიცი და არც მაინტერესებს. ასეთი ტიპის ორგანიზაციებში არ ვწევრიანდები, თუ არ მაქვს დეტალური ინფორმაცია და თუ არ ვენდობი იმ ხალხს, ვინც მასშია შეკრებილი. ზოგადად კი, მე კოლექტივიზაციის წინააღმდეგი ვარ. რაც აქ მოვისმინე და წავიკითხე, ის იყო, რომ რაღაც ნატოს პრინციპით აპირებენ გაერთიანებას. ნატოს პრინციპი საჭიროებისას ერთმანეთის დაცვას გულისხმობს, შესაბამისად, მსოფლმხედველობრივი ერთობა უნდა მქონდეს იმ ხალხთან, რომლებთანაც ვერთიანდები. ამას გარდა, ასეთ ვითარებაში ასეთი ინიციატივა სრულიად არაადეკვატურად მეჩვენება. რთულდება თუ არა სიტუაცია, მე ყოველთვის ჩემი კოლეგების გვერდით ვარ, როდესაც მიმაჩნია, რომ ისინი იჩაგრებიან. ყოველთვის ვცდილობ, მათ გვერდით ვიყო. შესაბამისად, ასეთი გაერთიანების წევრობა არ მჭირდება.

***— მომავალი ორგანიზაცია იმით გამოირჩევა, რომ აქ არის როგორც ტელე, ასევე ბეჭდური მედია და ინტერნეტპრესა, გაერთიანების ინიციატორი მამუკა ღლონტია, მის წესდებაზე მომუშავე ჯგუფის ხელმძღვანელი ლაშა ტუღუში...***

— ადამიანურად, ძალიან მიყვარს ტუღუში, ამ შემადგენლობაში მისი დანახვა გამიკვირდა. მე საკმაოდ გულწრფელი ვარ ხოლმე ჩემს განცხადებებში და ახლაც ვიქნები. მაგალითად, ჯაბა ხუბუამ როგორ უნდა დამიცვას, როცა უხსენებელს მეძახის. ეს არ არის კრიტიკა, ის „კავკასიის“ წყავლა-კრულვით არის დაკავებული. იმავეს ვიტყოდი ამ გაერთიანების ზოგიერთ სხვა წარმომადგენლებზეც. მოკლედ, პერსონებზე ლაპარაკს არ მოვყვები...

***— ბეჭდურ მედიასთან დაკავშირებით რა მოსაზრებები გაქვთ. ცნობილი ხდება, რომ მისი გავრცელების შეზღუდვას ქალაქში სპეციალური ურიკების გამოჩენით გადაწყვეტენ.***

— მე ყველაფერს მივესალმები, რაც ხელს შეუწყობს ამ ბაზარზე კონკურენციის გაზრდას და იმას, რომ გაზეთები გაიყიდოს. შიდა დინებები, სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, დეტალებზე ვერ ვისაუბრებ. იმედი მაქვს, რომ ეს შიდა დინებები გარეგნული ფორმით არ გამოვლინდება და საბოლოოდ, ერთი კონკრეტული მიზნის გარშემო ბეჭდური მედია გაერთიანდება, იმისათვის, რომ გაყიდოს გაზეთები ნორმალურ კონკურენტულ ვითარებაში. ურიკები თუ გამოჩნდება, ძალიან კარგი, რაც უფრო მეტი სტელაჟი იქნება, გამიხარდება, უბრალოდ, სკეპტიციზმს იწვევს ფორმა, თავად ფინანსების წყარო. არ მინდა, რომ ამ დახმარების სანაცვლოდ, ვინმემ რამე გავლენა მოახდინოს მედიაზე.

***— თუმცა, ცნობილია, რომ ეს ყველაფერი გრანტის ხარჯზე კეთდება...***

— ძალიან კარგი, თუ გრანტის სახითაა, თუ ბიძინა ივანიშვილს მიაჩნია, რომ ადამიანების გასტრონომიული პრობლემების მოგვარებას ჯობს, რაღაც ინსტიტუტები გააძლიეროს. როგორც ვხვდები, ის არ ეხმარება ერთ კონკრეტულ გაზეთს, არამედ — მთლიანად, ბეჭდურ მედიას. თუ ეს ასე გამოვა, მე ძალიან გამიხარდება. თუ ამას კიდევ რამე მოჰყვება, ეს კი აღარ მომეწონება.

***— „მაესტროს“ შესახებაც გკითხავთ. ცნობილია, რომ ამ თემაზე მკვეთრი პოზიციები გაქვთ. თითქოს, ვნებათაღელვა მიწყნარდა და მხარეები სასამართლოზე ალაპარაკდნენ. არის ინფორმაცია, რომ ასე ვთქვათ, ღლონტის „მაესტრო“ შეიძლება გაითიშოს და კიწმარიშვილისა ჩაირთოს.***

— მე თუ რამე მესმის სამართლის სფეროში, ეს არ მოხდება. როცა ვსაუბრობდი კოლეგებზე და მაგალითად, ჯაბა ხუბუაზე, არ ვახსენე მამუკა ღლონტი, თუმცა მასზეც დაახლოებით იგივე შემიძლია ვთქვა. მამუკა ღლონტი და „მაესტრო“, ჩემდა სამწუხაროდ, ამ ძნელბედობის ჟამსაც კი იცლის იმისთვის, რომ „კავკასიის“ წინააღმდეგ კამპანია აწარმოოს. რად სჭირდებათ ეს, არ ვიცი. მათ თავისი პრობლემები არ ჰყოფნით და ახლა იმით ინტერესდებიან, მე რატომ არ ვიღებ ვიღაცისგან ფულს. რატომ ვარსებობ ასეთი ფორმით, ვერ გავიგე, რა უნდათ.

თავად „მაესტროს“ რაც შეეხება, ვფიქრობ, რომ მთავარი კრიზისი დაძლეულია. რა თქმა უნდა, თუ თავად დამფუძნებლების მხარე არ გადადგამს ისეთ ნაბიჯებს, რომ ის გააღრმავოს. რაც მთავარია, „მაესტრო“ ეთერშია. საბოლოოდ, კიწმარიშვილი ვერ მიაღწევს ვერაფერს. მან შეიძლება უბრალოდ, ითხოვოს და მიიღოს კომპენსაცია. ამის საფუძველი მას აქვს და რამდენადაც ვიცი, დამფუძნებლებიც არ უარყოფენ, რომ კომპენსაციაზე საუბარი შეიძლება.

თუმცა ის, რომ „მაესტროს“ მუშაობას კიწმარიშვილმა ხელი შეუშალოს, ეს გამორიცხულია. თუმცა, მე არ ვიცი, სამართლებრივად რა ნაბიჯებს დგამენ დამფუძნებლები, რამდენად სწორად მოქმედებენ ისინი და რამდენად თანმიმდევრულად მიყვებიან ამ დავას. ეს იქნება საკმაოდ გრძელი დავა, კიწმარიშვილი ადვილად მოსაშორებელი ფიგურა არაა, რთული და მძიმე შემთხვევაა. სწორად ვთქვი თავიდან, რომ კიწმარიშვილი ღლონტს „მაესტროში“ არ უნდა შეეყვანა. ეს ნიშნის მოგებად და ქირქილად ჩამითვალა მამუკა ღლონტმა. ეს არ იყო ქირქილი, იმის კიდევ ერთხელ აღნიშვნა იყო, რომ ეს კაცი არის პრობლემა. კიწმარიშვილი არ ფიქრობს თავის რეპუტაციაზე, თავის იმიჯზე და ამას პირდაპირაც ამბობს, არც კეკლუცობს, არც იპრანჭება და აკეთებს იმას, რაც სურს. სამართვლებრივი ბრძოლის პარალელურად, იქნება ნერვების ომიც, ფინანსური პრობლემების დაძლევის პერიოდიც. მე ვფიქრობ, რომ დამფუძნებლებმა, რომლებიც პატარა ბავშვები არიან და საკმაო გამოცდილებაც აქვთ, ძალიან დიდი შრომა უნდა გაწიონ, ბევრი სირთულის დაძლევა მოუხდებათ, მაგრამ აქვთ შანსები, რომ არხი გადაარჩინონ. ისინი უნდა იყვნენ ეთერში. მამუკა ოფისიდან გამოსვლის შემდეგ ამბობდა, რომ უკვე აქვთ ოფისი, შესაძლოა ვინმემ ჩემი გულწრფელობა არც დაიჯეროს, მაგრამ ეს გამიხარდა. მათ უნდა იქირავონ ნორმალური ოფისი, მოაწყონ სტუდიები და იმაუწყებლონ. როგორც კი ეროსი კიწმარიშვილი რამენაირად მაუწყებლობას დაიწყებს, მას უნდა უჩივლონ მარეგულირებელ კომისიაშიც და პროკურატურაშიც.

მე ვერ ვხვდები, რატომ დგანან და ეხვეწებიან ხელისუფლებას, მოგვეხმარეო. ძალიან მკაცრად და სამართლებრივად უნდა მიუდგნენ ამ საკითხებს. ხელისუფლება, როცა ჩემნაირი და მაესტროსნაირი ტელევიზია ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდება, რომელიც არ არის მათი, ბუნებრივია, არ დაეხმარება. ჩვენ იმის იმედი არ უნდა გვქონდეს, რომ ის რამეში დაგვეხმარება. მაგრამ არის ისეთი სამართლებრივი მომენტები, როცა ხელისუფლება, უნდა თუ არ უნდა, ვალდებული იქნება, რომ რაღაც ნაბიჯები გადადგას. ახლა ითხოვენ, შენობაში დაგვაბრუნეთო, თავი დაანებონ, რადგან ეს იქნება კიდევ ერთი ბასტი-ბუბუ. მე გამიხარდა, როცა მაესტროელები შენობიდან წამოვიდნენ, სწორ სვლად ჩავთვალე, როცა ღლონტმა თანამშრომლები გამოიყვანა და მათ სხვა ოფისიდან დაიწყეს მაუწყებლობა. იმ ეტაპზე ჩავთვალე, რომ ეს იყო სწორი გამოსავალი. ამ გზას უნდა მიჰყვნენ და ეს გზა გააგრძელონ, ანუ მათ უნდა იმაუწყებლონ ისე, თითქოს კიწმარიშვილი საერთოდ არ არსებობს. კიწმარიშვილმა კი აწარმოოს ის სამართვლებრივი დავა, კი ბატონო, ჰქონდეს ის შენობა. „მაესტროსთვის“ დანაკარგია, რაც იმ შენობაში აპარატურაა, ამ ეტაპზე ეს დაკარგეს, მაგრამ სასამართლო დავის დასრულების შემდეგ, დარწმუნებული ვარ, ამას დაიბრუნებენ. მაგრამ ჯერჯერობით, ამ დავას ტელევიზია არ უნდა გადაჰყვეს, მე ასე ვხედავ ამ სიტუაციას. მესმის, რომ ფინანსურად რთულია, მაგრამ ღლონტი ამბობს, რომ მათ ჰყავთ ძლიერი დამფუძნებელი მაკა ასათიანის სახით. იმუშაონ, მათ ადგილზე, გავძლიერდებოდი, მოვიპოვებდი ფინანსებს, რეკლამას, ვიქირავებდი ოფისს და კიწმარიშვილი სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. დღეს, მე როგორც ვხედავ, სიტუაცია შემოატრიალეს და კიწმარიშვილს თავადვე სძენენ წონას, ხელისუფლებას ეუბნებიან, სამართლიანობა აღადგინეო. არ აღადგენს! მაგრამ კოზირი ამ ეტაპზე მაინც „მაესტროს“ მხარესაა, თავად არიან ლეგალური მაუწყებლები. როგორც ვიცი, რეესტრში დირექტორად დაფიქსირებულია ბაჩო კიკაბიძე, როცა ადამიანი რეესტრშია დაფიქსირებული, მას აქვს უფლებამოსილება, რომ აწარმოოს გადარიცხვები, ხელშეკრულებებზე ხელი მოაწეროს და ა.შ. მართალია, არხს პრობლემები ექნება, მაგრამ პრობლემების გარეშე არავინ ვართ. რაღაც დრამატულად ამ სიტუაციას არ ვუყურებ, მით უმეტეს, როცა ძალიან იყოჩაღეს ჩვენმა კოლეგებმა, ჟურნალისტებმა.

თავიდან, როცა ლაპარაკი ყოფილა, ვინაა გმირი ან ანტიგმირი ამ სიტუაციაში, ვთქვი, რომ ღლონტიცა და კიწმარიშვილიც ერთნაირი ანტიგმირები არიან ჩემთვის, მაგრამ გმირები არიან თანამშრომლები, რომლებიც ასეთი დაძაბული სიტუაციის მიუხედავად ახერხებენ, მოამზადონ რეპორტაჟები, გააკეთონ გადაცემები. მთავარი ისაა, რომ ამ ბავშვებმა მუშაობა გააგრძელეს და ახლა უკვე, დამფუძნებლების მარიფათზეა, რომ მათ შეუქმნან სამუშაო პირობები. ღლონტის ადგილას, მე არ მოვცდებოდი რაღაც აბსტრაქტული გაერთიანებების შექმნით, რადგან ჩვენც გვქონია სიტუაცია, როდესაც გამოგვაგდეს ოფისიდან, ქუჩაში ვეყარეთ, ზედამხედველობის სამსახურმა აპარატურა გადაყარა და საერთოდ ნულზე ვიყავით — არც ფული, არც აპარატურა, არც მხარდაჭერა, არც ფინანსები. ჩვეულებრივად მივიღეთ ეს სიტუაცია, რა თქმა უნდა, ბევრი ვინერვიულეთ, მაგრამ ფაქტობრივად, მე დამლაგებლად ვმუშაობდი, დათო მღებავად, რემონტი გავაკეთეთ და გავაგრძელეთ მუშაობა. მე მათ ადგილზე, ამას ტრაგედიად არ ვაქცევდი.

***— ფაქტია, „კავკასია“ სტაბილურობას ინარჩუნებს, ამ დროს ახსენეთ თქვენ წინააღმდეგ მიმართული ერთგვარი კამპანიები...***

— იმდენს მეძახიან, შენ ხარ ყველაზე სტაბილურიო, თვალი არ მეცეს, მეშინია. იცით რა, როცა ვთქვი, რომ „მაესტრო“ ჩვენს წინააღმდეგ კამპანიას აგორებს, ვიგულისხმე შემდეგი — რატომღაც, შალვა რამიშვილი და მისი კოლეგა ნათია მიქიაშვილი თავს იმის უფლებას აძლევენ, რომ დგანან და განიხილავენ ჩემი არხის განვითარება-განუვითარებლობის საკითხებს. ისეთ საკითხებს, როგორიცაა — რატომ არ ვიღებ პოლიტიკურ ფულს, ამის გამო, თითქოს, ვაზარალებ არხს, რომ არ ვეკარები პოლიტიკურ ბინძურ სიტუაციებს და არ მინდა, რომ არხი ჩავაგდოთ ისეთ ორმოში, საიდანაც ვეღარ ამოვიყვან ვერავითარ შემთხვევაში. რატომღაც, ძალიან წუხან ამ საკითხზე. მე გამოვთქვი მზადყოფნა, რომ მივსულიყავი მათ გადაცემაში და მეპასუხა ყველა შეკითხვაზე, მაგრამ მათ აღარ მომიწვიეს.

თქვენ გეტყვით, რაც მათთვის უნდა მეთქვა: არასოდეს ვაძლევ თავს უფლებას, რომ ადამიანები, რომლებსაც მეტ-ნაკლებად პატივს ვცემ და რაღაც დადებითი განწყობა მაქვს, განვიკითხო რაიმე თვალსაზრისით. იგივე, შალვა რამიშვილი ავიღოთ, მან თავად აირჩია თავისი ცხოვრების გზა, მას ჰქონდა შეცდომები და შალვასთან კამათის, დებატების დროს არასოდეს მიმიმართავს რაღაცის წამოძახებისთვის, არც ახლა ვაპირებ. სხვა რამე მინდა ვთქვა და სხვა ტონით, იმედია, ყველა სწორად გამიგებს. შალვამ თავისი შეცდომით არა მხოლოდ თავის თავს გაუკეთა ცუდი, არამედ თავისი ტელევიზია დააყენა უდიდესი დარტყმის ქვეშ. „202“, რომელიც არსებობდა შალვას დაჭერამდე, ამის შემდეგ, უბრალოდ, დაიხურა. მამუკა ღლონტმა, რომელიც ჩვენ ახლა „გვეკაიფება“, წმინდანები ხართ თუ რატომ გველაპარაკებით ასე ზევიდანო, თავად გადადგა ნაბიჯი, რისი შედეგიც დღეს სახეზეა. მე არ ვაძლევ საკუთარ თავს იმის უფლებას, რომ მათ ვასწავლო, როგორ იცხოვრონ, ისინი ისე ცხოვრობენ, როგორც სწორად მიაჩნიათ და შესაძლოა მოსწონთ ის, რაც აქვთ. არანაირი ნიშნის მოგებით ამას არ ვამბობ. მოდი, მომცენ უფლება, ისე ვიცხოვრო, როგორც სწორად მიმაჩნია. მე არანაირი წმინდანი არ ვარ და არც ვაპირებ, რომ წმინდანის პოზაში ვიდგე. იქნებ, მე უფრო პრაგმატული აღმოვჩნდი, ვიდრე თავის დროზე შალვა, ან მამუკა. მე დავიცავი ჩემი ტელევიზია, როგორც შევძელი. მე არ მინდა, რომ ერთი დიდი ფინანსური გარიგება შემდგომ ტელევიზიის ამოყირავების ფასად დამიჯდეს. თუ ამას გავაკეთებ, მერე ხელისუფლება ძალიან დიდი სიამოვნებით მომაყოლებს წიხლს, როგორც ამას „მაესტროს“ შემთხვევაში აკეთებს. ყველამ თავის ჭკუით იცხოვროს და ვისაც როგორ გამოუვა, მერე ვნახოთ.

განვითარებას რაც შეეხება, ჩემზე მეტად არავის უნდა, რომ „კავკასია“ განვითარდეს, ნამდვილად არ ვაპირებ, ამ ტელევიზიისთვის რაიმე შანსები გავუშვა, თუმცა დღემდე ძალიან უკვირთ, რატომ არ ვიღებ ფულს პოლიტიკოსებისაგან. ამ თემაზე გეტყვით, გამაცანით ისეთი პოლიტიკოსი, რომელიც მართლაც უანგაროდ დააფინანსებს ჩემს ტელევიზიას, დააფინანსებს კანონის ფარგლებში, ლეგალურად და გამჭვირვალედ და ავიღებ. მე ასეთ პოლიტიკოსს, ჯერჯერობით, არ ვიცნობ, მათ შორის არც ბიძინა ივანიშვილს. მას ჯერჯერობით უანგაროდ ჩვენი ტელევიზიისთვის არაფერი გაუკეთებია და არ ვიცი, „მაესტროსთან“ დაკავშირებით რას აკეთებს, რამდენად უანგაროდ. ყველას უნდა, აქედან სარგებელი მიიღოს, მე არ მინდა, რომ ჩემი ტელევიზია პოლიტიკოსების გარჩევებისა და თავ-პირის მტვრევის პოლიგონად იქცეს და ჩემს ჟურნალისტებს რომელიმე პოლიტიკოსმა თითი უქნიოს, ეძახოს, მე გიხდი ხელფასსო. ეს არ მინდა. იმედი მაქვს, რომ ამ ქვეყანაში როგორღაც, სიტუაცია ისე შეიცვლება, რომ ტელევიზია ბიზნესი გახდეს. ასეთ შემთხვევაში ვიცი, როგორ მოვიზიდო ინვესტიციები და გავაკეთებ ამ ყველაფერს. ყველაფერს თავისი დრო აქვს და თუ შევხედე, 80 წლის გავხდი, ამ ქვეყანაში კი ასეთი რამ არ გამოდის, ტელევიზიას გავყიდი და პენსიას მშვიდად გავატარებ.

თამარ ნინიძე

# გოგი გაჩეჩილაძე: „რატომ გამოდის დიდსულოვანი ქველმოქმედი ივანიშვილი მიშას დამსჯელის როლში?“

## „ასე აშენებული ქართული ოცნება სასაფლაოს მაგონებს“



### ინტერვიუ პოლიტოლოგ გოგი გაჩეჩილაძესთან

***– როგორ აფასებთ ბიძინა ივანიშვილს, როგორც პიროვნებას?***

– ვიდრე ბიძინა ივანიშვილი ქართველ ხალხს პოლიტიკოსის როლში წარუდგებოდა, ის ქართველების წარმოდგენაში იყო მითოლოგიზირებული პიროვნება თავისი ქველმოქმედებით აყვანილი მესიისა და სანტა კლაუსის როლში. როგორც კი მან გადადგა ნაბიჯი პოლიტიკისაკენ, ამ იმიჯს თავადვე მიაყენა ჩრდილი. არ ვიცი, რამდენად აქვს მას გაცნობიერებული სიკეთე, ქველმოქმედება რომ  უანგარობაა, როგორც კი მოითხოვა პოლიტიკური ძალაუფლება, უცებ გენიალური უანგარობა აქცია ანგარების ფორმად. მან მოითხოვა ქართველი ხალხისაგან გაღებული უანგარობის სასყიდელი. ეს უკვე მძიმე მდგომარეობაში აყენებს მას. პირადად მე მივეკუთვნები იმ ადამიანების რიცხვს, რომლებიც აღტაცებული იყვნენ მისი ქველმოქმედების მასშტაბებით. ამჯერად გულდაწყვეტილი ვარ მისი პოლიტიკური გადაწყვეტილებითა და არაკომპეტენტურობით.

***– რაც შეეხება მის პოლიტიკურ ნაბიჯებს ქართულ პოლიტიკურ სივრცეში გამოსვლისთანავე, ამის შესახებ რას იტყოდით?***

– სიტყვა არაკომპეტენტური იმიტომ ვახსენე, რომ ამ ნაბიჯებმა გამახსენა ცნობილი სენტენცია – გენიალურიდან სასაცილომდე ერთი ნაბიჯია. მის მიერ გადადგმული პოლიტიკური ნაბიჯი ხორციელდება გარკვეულ დროში, გარკვეულ ისტორიულ სიტუაციაში, გარკვეულ კონტექსტში. ეს არის ტექსტს მიღმა არსებული რეალობა. ტექსტი არის ინტერპრეტაცია იმისა, რისი გააზრებაც შეიძლება, მაგრამ ადამიანი ვერ მოიცავს მთელ ამ რეალობას, ამიტომ ამ ტექსტის მიღმა რა რეალობაც არის, ეს არის კონტექსტი. განსხვავებით ბიზნესსა და ქველმოქმედებაში მიღწეული წარმატებებისა, მან, ჩემდა სამწუხაროდ და ქართველთა სამწუხაროდ, არ დატოვა კომპეტენტური სპეციალისტის, პროფესიონალის შთაბეჭდილება.

***– საინტერესოა, რატომ?***

– თუ ვთანხმდებით იმაზე, რომ ტექსტს მიღმა არსებული რეალობა ჩვენთვის ცნობილია, ამ რეალობისადმი ივანიშვილის დამოკიდებულება აღმოჩნდა არაადეკვატური. ვისაც ოდნავი დილეტანტური წარმოდგენა აქვს პოლიტიკაზე, მისთვის დიდი მიამიტობაა ივანიშვილის მიერ შემოთავაზებული ისეთი ფორმები, როგორიცაა, რომ არ მოსთხოვს ნატოს, დასავლეთს, ამერიკას იღვაწონ რუსეთის ჯარების საქართველოდან გაყვანის თაობაზე, ის არ მოსთხოვს რუსეთს, საქართველოდან გაიყვანოს ჯარი. ის შეეცდება, ნახოს საერთო ინტერესები რუსეთთან. ის შეეცდება, ააშენოს საოცნებო საქართველო, რომლისკენაც დაიძვრებიან აფხაზები და ოსები. ასე არ კეთდება პოლიტიკა. ასე აშენებული ქართული ოცნება ძალიან მაგონებს სასაფლაოს. ეს ქართული ოცნების აშენების კი არა, ქართული ოცნების დასამარების პროექტია. პოლიტიკა არის სივრცის ორგანიზაცია ძალისმიერი მეთოდებით. ძალა ჩვენ არ გაგვაჩნია. ჩვენ გაგვაჩნია ორიენტაცია, ჩვენი ძალაა დემოკრატია, ევროპა ამერიკა, ნატო. მის გარეშე ხომ არ შეგვიძლია, ფიზიკურად გავუმკლავდეთ რუსეთს. სამი საუკუნეა, საქართველომ ვერ გადაწყვიტა რუსეთთან ურთიერთობის პრობლემა. ახლა უცებ ჯადოსნური ჯოხი იპოვა ივანიშვილმა? მას საშუალო დონეზე მოაზროვნე ქართველი საზოგადოება არ დაიჯერებს. ამ შემთხვევაში არჩევნების წინ ივანიშვილი აღმოჩნდება ძალიან მძიმე მდგომარეობაში, რაც სულ არ არის გასახარელი. ქართული სახელმწიფოსა და საზოგადოების მიზანი ეროვნული თანხმობაა. ამ სიტუაციაში ასეთი ლოზუნგით, ასეთი კრიტერიუმებით მოსვლა არის დისონანსის შეტანა საქართველოს პრობლემებში.

***– ივანიშვილმა წყალგამყოფი ხაზები გაავლო, პოლიტიკური პარტიების ნაწილი სააკაშვილის სატელიტებად მოიხსენია, ნაწილთან გადაწყვიტა თანამშრომლობა. რამდენად სწორი იყო ეს ნაბიჯი მისი მხრიდან?***

– მისი მთავარი შეცდომა არის ის, რომ ქართულ პოლიტიკაში შემოვიდა არა როგორც ქართული სახელმწიფოებრიობის მაშენებელი, არა როგორც ქველმოქმედი და საზოგადოების მაკონსოლიდირებელი ადამიანი, არამედ, როგორც სრულიად საპირისპირო კრედოს მქონე ადამიანი, რომელიც არაფრით განსხვავდება სამარცხვინოდ დამთავრებული ქართული ე.წ. ოპოზიციის ლოზუნგისაგან - „მიშა, წადი, მოვდივარ“. ასეთი კრიტერიუმი მიუღებელია ნორმალური ფსიქიკის მქონე და ზნეობრივი ადამიანისათვის. ის, რაც გააკეთა სააკაშვილმა, წარმოუდგენელია. მე მხედველობაში მაქვს პოლიტიკა და არა ის, როგორ იწმენდს ცხვირს სააკაშვილი. ეს არავის აინტერესებს. საქმემან შენმან წარმოგაჩინოს შენ – ეს არის მისი საქმიანობის კრიტერიუმი. თუ ეს კრიტერიუმი არ უძლვის წინ ადამიანის საქმიანობის შეფასებას, ყველა დანარჩენი კრიტერიუმი მცდარია. სააკაშვილმა ჩაიბარა საქართველო 300-მილიონიანი ბიუჯეტით, ორი წლის გაუსტუმრებელი ხელფასებით და რვალარიანი პენსიებით, ჩამქრალი, ჩაბნელებული, ნამხედრიონალი, ტერიტორიებდაკარგული ქვეყანა, ეკონომიკურად გაჩანაგებული. დღეს საქართველოს ბიუჯეტი რვა მილიარდ ლარამდეა, პენსია ასი ლარია. ადრე არავის ახსოვდა საქართველო, ახლა მთელი მსოფლიო საქართველოზე ლაპარაკობს. მსოფლიო პოლიტიკის საკვანძო ფიგურანტად აქცია ქვეყანა. როგორ შეიძლება, ეს თუნდაც საშუალო ინტელექტის ადამიანმა არაფრად ჩააგდოს და თქვას, მიშა, მოვდივარ. სიკეთე დასჯადია, იმიტომ რომ უმადურობა არსებობს და ეს არის ადამიანისთვის დამახასიათებელი თვისება. ასეთი უმადურობისთვის ერები და ადამიანები ისჯებიან. გულდასაწყვეტია, რომ ასეთი ქველმოქმედი, ასეთი დიდსულოვანი, სანტა კლაუსად აღქმული ადამიანი უცებ გამოდის სხვისი დამსჯელის როლში. კავკასიის ქედზე ამირანი ზევსმა კი არ მიაჯაჭვა პრომეთესავით, არამედ მჭედლებმა. ამაშია ამირანისა და პრომეთეს მითებს შორის სხვაობა. მჭედლები განეკუთვნებიან პრივილეგირებულ ოლიგარქიულ ფენას. მათი ბიზნესი დაკავშირებულია ლითონდამუშავების ტექნოლოგიასთან. ბიძინა ივანიშვილი ახლა არ გამიცვნია, ბევრი საერთო ნაცნობი გვყავს, ბევრი რამ შემიტყვია მისი ქველმოქმედების უანგარობაზე, მსმენია მისი ინტერესის შესახებ ქართული სიმღერებისა და მითებისადმი. ტელევიზიაში ინტერვიუს დროს მან დატოვა ჩემზე შთაბეჭდილება, როგორც აზროვნების მექანიზმით დაინტერესებულმა ადამიანმა. არა მგონია, ასეთ კაცს უხდებოდეს ქართულ ცნობიერებაში დარჩენა მჭედლის როლში. საქართველოს უსაფრთხოების გრძელვადიანი პროექტი სააკაშვილმა მიიყვანა საკითხის გადაწყვეტის ზღვრამდე. ევროკავშირის, ნატოს, ამერიკის ერთობლივი პოზიციის შემდეგ ეს საკითხი მიყვანილია გადაწყვეტის ზღვრამდე. საქართველოს არა აქვს ამ პროექტის ჩაშლის ექსპერიმენტის ფუფუნება. მე მეჩვენება, რომ ივანიშვილი ხელფეხშეკრულია და თავისი სუბიექტური განწყობის საპირისპიროდ მოქმედებს და იძულებით მიდის ამ ნაბიჯზე. თუ ევროპასა და ამერიკას ამ პრობლემის გადაჭრაში დახმარებას არ სთხოვ, ეს დრო დაკარგულად ჩაითვლება და ქართული სახელმწიფო არ შედგება.

***– თქვენ აღნიშნეთ, რომ ივანიშვილი ხელფეხშეკრულია და იძულებულია, ასე იმოქმედოს. ვინ აიძულებს?***

– არ მინდოდა ამის თქმა, მაგრამ ამის მაიძულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი პოლიტიკური სუბიექტი – რუსეთი.

***– თავის დროზე ამბობდნენ, რომ პატარკაციშვილსაც რუსეთი აიძულებდა ამ როლის შესრულებას. რა ასხვავებს და რა აკავშირებს ამ ორ ადამიანს?***

– მათ შორის დიდი მსგავსებაა, განსხვავება არის ის, რომ ივანიშვილს დამკვეთმა განუსაზღვრა ის სცენარი, რომ არ დაუშვას ის შეცდომები, რაც დაუშვა პატარკაციშვილმა და იყოს უფრო გამცემი, გასცეს მეტი თანხა ელექტორატის მოსასყიდად. ეს არ არის ქართველი საზოგადოების დაკვეთა. გოეთეს აქვს ერთი გენიალური შენიშვნა, რომელიც ზედგამოჭრილია ქართველი საზოგადოების თარგზე. გოეთე ამბობს, გადამრევს ეს გერმანელი ხალხი, ლუდხანებში სხედან და ერთმანეთს ცხვირ-პირს ამტვრევენ, გოეთე სჯობია თუ შილერიო, იმის მაგივრად, რომ ეს კათხები ერთმანეთს მიუჭახუნონ, ეს რა კარგი  ორი ბიჭი გაგვიზრდიაო. აკაკი წერეთელი სჯობია თუ ილია ჭავჭავაძე, მარჯანიშვილი სჯობია თუ სანდრო ახმეტელი, მესხი სჯობს თუ მეტრეველი. როგორ შეიძლება ეს? ერთსა და იმავე შეცდომას უშვებს სულელი. არ არის საქართველო მთლად სულელებით დასახლებული ქვეყანა. შეცდომების უფლება არავის აქვს, მით უმეტეს, ისეთი მორალური საწყისი კაპიტალის მქონე პიროვნებას, როგორიც ბიძინა ივანიშვილია.

***– როგორ შეაფასებთ ნაციონალური მოძრაობის ტაქტიკას ივანიშვილის მიმართ?***

– ჩემი აზრით, ვირტუოზულად ჩაატარა ეს ტაქტიკა, მისცა თვითლუსტრაციის დრო. ამ მოკლე პერიოდში გამოჩნდნენ მედროვეები. ეს არის საზოგადოება, რომელსაც არა აქვს სარკისებური მე, ანუ საკუთარი თავის სხვისი თვალით დანახვის უნარი. ასეთი კატეგორიის ხალხის დადებითად შეფასება შეუძლებელია.

***– რა შედეგს მიიღებს საპარლამენტო არჩევნებში ივანიშვილის გუნდი?***

– ჩემი აზრით, დროთა განმავლობაში კიდევ უფრო მეტი ხარვეზი გამოჩნდება ამ გუნდში და მოლოდინი, რომ უმრავლესობით გავა, სრული უტოპიაა. მაქსიმუმი, რასაც შეიძლება ამ გუნდმა მიაღწიოს, არის 10%.

სააკაშვილმა საქართველო მიიყვანა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კონდიციამდე და ახლა ექსპერიმენტების უფლება არა აქვს. ამას ჰქვია პრობლემის დეტერიტორიზაცია. ეს ნიშნავს შენი საბრძოლო სცენის გადატანას შენი ტერიტორიიდან გლობალურ ტერიტორიაზე. 2008 წლის აგვისტოს ომი საქართველოს ტერიტორიიდან ამ პრობლებით გადაიტანა სტრასბურგში, პარიზში, ჟენევაში, ვაშინგტონსა და ლონდონში. ეს პროექტი საქართველოში ჩამოაყალიბეს ნიკოლოზ ბარათაშვილმა და ილია ჭავჭავაძემ. ილიამ თქვა, რომ მსოფლიოს მეთაური იქნება ამერიკა და საქართველო ამერიკაზე უნდა იყოს ორიენტირებული.

---

## წელს საქართველოში 1267 ობიექტი გაიყიდა

2011 წელს საქართველოში 1267 სახელმწიფო ობიექტის პრივატიზება მოხდა. როგორც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვიტრების მინისტრმა ვერა ქობალიამ 2011 წლის ანგარიშისა და 2012 წლის სამოქმედო გეგმის წარდგენისას განაცხადა, ეს 2010 წელს გაყიდული ობიექტების რაოდენობას 381,7 პროცენტით აღემატება. კერძოდ, გასულ წელს მხოლოდ 263 ობიექტი გაიყიდა. მისი ინფორმაციით, სამინისტრო მიმდინარე წლისათვის 170 მილიონი ლარის ობიექტების პრივატიზებას აპირებდა. მაგრამ 2011 წლის გეგმა 20 მილიონი ლარის გადაჭარბებით შესრულდა და სახელმწიფო ბიუჯეტში 190 მილიონი ლარი შევიდა.

ნედიანიუსი

## ოზურგეთში ხანძრის შედეგად ქათმის ფერმა დაიწვა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სიაურში ხანძრის შედეგად ქათმის ფერმა დაიწვა. არსებული ინფორმაციით, ხანძარი ელექტროსადენებიდან გაჩნდა. ცეცხლი ისე სწრაფად გავრცელდა, რომ ფერმის თანამშრომლებმა ფრინველების გადარჩენა ვერ მოახერხეს.

ხანძრი შედეგად დაიწვა შენობის ძირითადი ნაწილი. ზარალი კი დაახლოებით 50 ათას ლარს შეადგენს.

მედიანიუსი

## ზაზა გოროზია: ჩინური ტრაქტორი რომელია, ზედ კაცი რომ ზის და უკან რომ გუთანი აბია?

სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა გოროზია და კახეთის გუბერნატორი გიორგი ღვინიაშვილი გურჯაანის გამგეობის შენობის დარბაზში კახეთის რაიონების და სოფლების გამგებლებს შეხვდნენ, – იუწყება კახეთის საინფორმაციო ცენტრი.

ამავე წყაროს ცნობით,მინისტრმა მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს სასოფლო – სამეურნეო სამუშაოებისთვის განკუთვნილი 30 ლარიანი ვაუჩერის დარიგებისა და მოხმარების წესები გააცნო.

გოროზიამ აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო უახლოეს პერიოდში გეგმავს ძველი ტრაქტორების მფლობელებისთვის ამნისტიის გამოცხადებას. მისი თქმით, კოლმეურნეობებიდან დარჩენილ ტრაქტორებს ადამიანები დღემდე ვერ ირეგისტრირებენ, რაშიც სამინისტრო მათ დახმარებას გაუწევს.

სოფელ კალაურის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის ნიკოლოზ დოხნაძის კითხვაზე, ამნისტია ჩინურ ტრაქტორებსაც ხომ არ შეეხება, გოროზიამ იკითხა: „ჩინური ტრაქტორი რომელია, ზედ კაცი რომ ზის და უკან რომ გუთანი აბია?“

„ტრაქტორების ამნისტიასთან“ დაკავშირებით, შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდენ, რომ სოფლებში სასწრაფოდ ჩატარდება აღწერა, სად რამდენი ტრაქტორია, ვის აქვს, რა მდგომარეობაშია და 10 იანვრამდე სრული ინფორმაცია თავს გუბერნატორის ადმინისტრაციაში მოიყრის.

შეხვედრის მეორე ნაწილი დახურული იყო. შესაბამისად, ჯერ უცნობია, მინისტრმა, გუბერნატორმა და გამგებლებმა რაზე ისაუბრეს.

შეხვედრის დასრულების შემდეგ მინისტრმა სოფელ გურჯაანში მცხოვრებ ერთ-ერთ გლეხს 30 ლარიანი ვაუჩერი გადასცა.

მედიანიუსი

## „თავისუფალი დემოკრატები“: საკრებულოს სხდომაზე ნაციონალები არამიზნობრივ ხარჯებს გაათეთრებენ

„თავისუფალი დემოკრატები“ წლის მიწურულს თბილისის 2011 წლის ბიუჯეტის 9,5 მილიონი ლარით გაზრდას საეჭვოდ მიიჩნევენ. ამის შესახებ პარტიის წევრებმა, თბილისის საკრებულოს დეპუტატებმა ვიქტორ დოლიძემ და ზურაბ აბაშიძემ განაცხადეს.

აბაშიძის თქმით, საბიუჯეტო ცვლილებების შესახებ მხოლოდ ახლა, წლის დასრულებამდე 8 დღით ადრე გახდა ცნობილი, მაშინ როდესაც საკრებულომ 2011 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები 25 ნოემბერს უკვე დაამტკიცა. გარდა ამისა საეჭვოდ, 25,9 მილიონი ლარით იზრდება ავარიული შენობებისა და სხვა ნაგებობების გამაგრების, მშნებლობის, რეკონსტრუქციი და სარემონტო სამუშაოების დაფინანსება.

„ეს თანხა გამოთავისუფლდა სხვადასხვა რაიონის ასიგნენებიდან. ჩვენი აზრით, ნაწილი გახარჯულია, ხოლო ნაწილი გადავა მომავალი წლის ბიუჯეტში. დღეს მოხდება ნაციონალური მოძრაობის მხრიდან ბიუჯეტის არამიზნობრივი ხარჯების გათეთრება“, – განაცხადა აბაშიძემ. „თავისუფალი დემოკრატებს“ აინტერესებთ როგორ აპირებს თბილისის მერია წლის ბოლომდე დარჩენილ ერთ კვირაში 25,9 მილიონი ლარის დახარჯვას.

მედიანიუსი

## გივი თარგამაძე: პუტინი, რომელსაც საკუთარ ქვეყანაში ძაღლად აღარავინ აგდებს, ივანიშვილისთვის დემოკრატიის მაგალითია

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძეს ბიძინა ივანიშვილის რუსეთის „ფე-ეს-ბე“-სთან კავშირზე კონკრეტული ინფორმაცია არ აქვს, თუმცა მისი ფულის რუსულ წარმომავლობაში დარწმუნებულია. როგორც თარგამაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი უშიშროების სამინისტრო არ არის, რომ ასეთ ინფორმაციაზე იმუშაოს. ზოგადად კი, თარგამაძე ფიქრობს, რომ ის პერიპეტიები, რაც დღეს თუნდაც პარლამენტში ვითარდება, „ყველაფერზე მეტყველებს“. ამ პერიპეტიებში კი თარგამაძემ პროკურატურასთან მიმართებაში დეპუტატ გიორგი ცაგარეიშვილის კითხვა და მასზე პასუხი დაასახელა.

გივი თარგამაძის თქმით, დასტურდება, რომ უზარმაზარი თანხებია იმ პოლიტიკოსებზე გაცემული, „რომელთა არც ქმედება უნახავს არავის და ეს პოლიტიკოსებიც არავის უნახავს დიდი ხანია“. „ბუნებრივია არის ეჭვი, რომ ეს ფული უბრალოდ სახლში მიაქვთ“ – განაცხადა თარგამაძემ. მისი თქმით, ერთადერთი, რაც ივანიშვილმა, ასე თუ ისე გასაგებად ჩამოაყალიბა, რუსეთისადმი და პუტინისადმი მისი დამოკიდებულებაა.

„პუტინი, რომელსაც საკუთარ ქვეყანაში ძაღლად აღარავინ აგდებს, ივანიშვილისთვის დემოკრატიის მაგალითია“, – დასძინა გივი თარგამაძემ.

ინტერპრესნიუსი

# დიალოგი ყველა პარტიასთან უნდა გავმართოთ

შორენა კოწოწაშვილი

სამოქალაქო მოძრაობა „ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახლის“ ხელმძღვანელმა ნესტან კირთაძემ შვეიცარიის საელჩოს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, ჟენევის მოლაპარაკებებში რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელის გრიგორი კარასინისთვის განკუთვნილი წერილები გადასცა.

როგორც ორგანიზაციაში აცხადებენ, შვეიცარიის ელჩი კირთაძის სპეციალურ წერილს რუსეთის ფედერაციის ინტერესთა სექციას ადრესატებისადმი გადასაცემად წარუდგენს.

– ბატონო მინისტრო, ჩვენ უკვე თბილისში შევხვდით და გავიცანით ერთმანეთი. ქართველების და აფხაზების, ქართველების და ოსების მშვიდობიანი თანაარსებობა და თანაცხოვრება გარდაუვალი რეალობაა. ჩვენ ერთად შევქმნით ამ რეალობას ორმხრივი და მუდმივი დიალოგის ჩვენ შორის ნდობის აღდგენის ჰუმანური ურთიერთობების დაწყების და მრავალმხრივი თანამშრომლობის საფუძველზე. ახლა მთავარია საერთაშორისო თანამეგობრობამ, ევროკავშირმა, დემოკრატიულმა დასავლეთმა და რუსეთის ფედერაციამ ხელი შეუწყოს ამ სამშვიდობო ინიციატივას და ამ ინსტიტუციას, როგორც პირდაპირი ორმხრივი დიალოგის დაწყებას ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის, – წერს ნესტან კირთაძე ლავროვისადმი გაგზავნილ წერილში.



როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ახლად დაფუძნებული ორგანიზაციის სახელით პროფესორმა ნესტან კირთაძემ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მცხოვრებთ – აფხაზ და ოს ხალხს, სამშვიდობო ინიციატივით მიმართა და ორმხრივი და მრავალმხრივი დიალოგის ფორმატში ურთიერთობების აღდგენა შესთავაზა. ორგანიზაციის ხელმძღვანელი დარწმუნებულია, რომ ამ მნიშვნელოვან ინიციატივას, რომელიც შეიძლება დაგვიანებულიც კი არის, აფახაზი და ოსი ხალხის მხრიდან შესაბამისი გამოხმაურება მოჰყვება.

– 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ საქართველოში ეს არის პირველი სამშვიდობო ინიციატივა და ინსტიტუცია, პირველი სამშვიდობი კერა და ცენტრი, რომელიც იწყებს სამოქალაქო მოძრაობას სამშვიდობო თანაარსებობისა და თანაცხოვრებისათვის საფუძვლების მოსამზადებლად. „ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახლი“ არის მშვიდობის სახლი, რომელიც იწყებს სამოქალაქო მოძრაობას სამშვიდობო სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელებისათვის. ეს სახლი იქნება მშვიდობის სახლი, რომელიც ხელს უწვდის აფხაზებს და ოსებს მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანაცხოვრებისათვის საფუძვლების მოსამზადებლად. ჩვენი სამშვიდობო ურთიერთობები გარდაუვალი რეალობაა. ჩვენ ერთად გადავდგამთ პირველ ნაბიჯებს ამ რეალობის შესაქმნელად, – აღნიშნა ნესტან კირთაძემ.

აღსანიშნავია ისიც, რომ „ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახლი“, როგორც სამოქალაქო ორგანიზაცია და მოძრაობა, წინასწარ შემუშავებულ კონცეფციას და პროექტს ეყრდნობა, რომლის მიზანია ურთიერთობის დაახლოება თავისუფალი გადაადგილების უფლებისა და სატრანსპორტო კომუნიკაციების აღდგენისათვის, სავაჭრო ურთიერთობების განვითარებისათვის, ისტორიულ და კულტურულ მემკვიდრეობაზე ერთობლივად ზრუნვისათვის და ა.შ.

ორგანიზაცია აფზახებთან და ოსებთან დაახლოების გზაზე მთავარ პარტნიორად განიხილავს ევროკავშირს, დემოკრატიულ დასავლეთს.

„ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახლის“ თავმჯდომარის ნესტან კირთაძის განცხადებით, უმნიშვნელოვანესია რუსეთის ფედერაციის როლი ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ორმხრივი დიალოგის დაწყების ხელშეწყობისა და განვითარებისთვის.

აღსანიშნავია, რომ კირთაძე 2012 წლის ადრე გაზაფხულზე ცხინვალსა და სოხუმში ჩასვლას გეგმავს. ის დარწმუნებულია, იქეთა მხრიდან ადეკვატური რეაქცია იქნება და ორმხრივი ურთიერთობები აღდგება.

– ქართველმა ხალხმა უნდა გამოძებნოს შინაგანი ძალა, გამოკვეთოს ნება და უთხრას შერეული ოჯახების შვილებს, რომ ისტორიული შეცდომა, რომელიც ჩვენ შორს მოხდა, უნდა შეიცვალოს ჩვენი პირდაპირი დიალოგით, სამშვიდობო ნაბიჯებით. ეს, რა თქმა უნდა, ძნელია. იმიტომ, რომ ჯერ კიდევ ცოცხალია ჭრილობები. მაგრამ ხალხებს შორის ურთიერთობების აღდგენა უნდა დაიწყოს. ადამიანებმა უარი უნდა უთხრან ომს და მშვიდობიანი კონტაქტები ეძებონ. თაობები იზრდებიან და მათ არ იციან არც ერთიანი საქართველოს, არც ნგრევის, არც ამ ურთიერთობების შესახებ. ისინი ხედავენ ამ მოცემულობას, რომელიც დღეს არის. ისინი ხედავენ, რომ ამ მოცემულობაში არის რამდენიმე მტრული ბანაკი და ჩვენ სწორედ ამ მტრული ბანაკების მოშლისაკენ უნდა წავიდეთ, – განაცხადა ნესტან კირთაძემ. მისი თქმით, „ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახლი“, რომელიც არის მშვიდობის სახლი, მზად არის მუდმივი დიალოგის რეჟიმში იყოს აფხაზებთან და ოსებთან.

– დიალოგის რეჟიმში ვიქნებით ქვეყნის შიგნით ყველა პარტნიორთან, ყველა ფიზიკურ პირთან და ორგანიზაციასთან, ვინც მზად არის მონაწილეობა მიიღოს ამ სამშვიდობო ინიციატივის განხორციელებაში. ის, ვინც თავს დაესხმება სამშვიდობო ინიციატივას, რომლის მთავარი მიზანი და მაგისტრალური ხაზი არის მოამზადოს აფხაზებთან და ოსებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების საფუძვლები, მან ზუსტად უნდა იცოდეს, რომ ის არის საქართველოში მშვიდობის წინააღმდეგი, – აცხადებს ნესტან კირთაძე და ამ მდგომარეობაში ჩადგომას არავის ურჩევს.

# ნოდარ ხადური: „თბილისისა და ქვეყნის ბიუჯეტს აშკარად ეტყობა, რომ საქართველოში საარჩევნო ციკლი დაწყებულია“



2011 წლის ეკონომიკურ შედეგებსა და 2012 წლის ეკონომიკურ პერსპექტივებზე „ინტერპრესნიუსი“ ექსპერტს ეკონომიკურ საკითხებში, თსუ-ს პროფესორს, ნოდარ ხადურს ესაუბრა.

***– ბატონო ნოდარ, როგორ შეაფასებდით ეკონომიკური თვალსაზრისით 2011 წლის შედეგებს და რა მოვლენას მიიჩნევდით ყველაზე უმნიშვნელოვანესად?***

– 2011 წელი კრიზისის შემდგომი პერიოდია და ჯერჯერობით არ არის დაძლეული კრიზისის ყველა გამოვლინება. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ მსოფლიოს ძალიან ბევრ ქვეყანაში, მათ შორის ევროსივრცეში და აშშ-იც, არ დასრულებულა პროცესები, რომლებიც ეკონომიკურ პროცესებს ართულებს. ცხადია, რომ ამ ფონზე დიდი ოპტიმიზმი იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა აღმავლობის გზაზე დადგებოდა და ყველა პრობლემას გადაწყვეტდა, არ უნდა გვქონოდა.

მაინც უნდა აღინიშნოს, რომ წლის მეორე ნახევარში მოხერხდა ინფლაციის მოთოკვა, როგორც ჩანს ეკონომიკური ზრდა არის, თუმცა – არა ორნიშნა, რომლის სურვილიც გვაქვს. ჩვენ ალბათ შევძლებთ, 2007 წლის დონეს ავცდეთ. 2007 წელს ეკონომიკური ზრდა 12%-იანი იყო. კრიზისის დაწყებამდე პერიოდში საქართველოში ცხოვრების დონე და იმედები იმისა რომ უკეთესობა იქნებოდა, არსებობდა. როგორც ჩანს, წელს 2008 და 2009 წლებში ეკონომიკური ზრდის ჩამორჩენის დაძლევა დასრულდება და თუ ყველაფერი კარგად იქნა, ჩვენ შევძლებთ ქვეყნის ეკონომიკაში საინტერესო პროცესების დაწყების მომსწრენი გავხდეთ. ეს კი, ბევრ ფაქტორებზეა დამოკიდებული.

წლის პირველ ნახევარში ძალიან პრობლემატური იყო ინფლაციის თითქმის 15%-იანი დონე. სამწუხაროა, რომ ამ პერიოდში ძალიან გაძვირდა სურსათი, ტრანსპორტი. ადამიანები, რომელთა შემოსავალი არც თუ ისე მაღალია, ძალიან რთულ მდგომარეობაში აღმოჩდნენ და შესაბამისად, ქვეყანაში სოციალური პრობლემების წინა პლანზე წამოწევა მოხდა. ინფლაციის დონე ყველაზე მაღალი მაისში იყო, შემდეგ დაიწყო შემცირების პროცესი, მაგრამ თუ ჩვენ ფასებს არა 2010 წლის, არამედ შარშანწინდელს შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ საქართველოში სურსათზე ფასები უკანასკნელი ორი წლის მანძილზე დაახლოებით 25-30%-ით არის გაძვირებული. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ახლა ინფლაცია 1,9%-ია. ეს საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. რაც იმას ნიშნავს, რომ წელს ნოემბერში შარშანდელ ნოემბერთან შედარებით, ფასები სურსათზე მხოლოდ 1,9%-ით არის გაზრდილი.

ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველომ წელს ვერ დაიბრუნა საინვესტიციო მიმზიდველობა. 2007 წელს უცხოური ინვესტიციები დაახლოებით 2 მილიარდი აშშ დოლარი იყო. 2010 წელს უცხოური ინვესტიციების ოდენობა თითქმის 800 მილიონი აშშ დოლარი იყო, წელლს სამი კვარტლის მაჩვენებლებით 643 მილიონი დოლარია. მათ შორისაა ნიდერლანდების, დანიის, კვიპროსისა და რუსეთის ინვესტიციები. რუსულმა ბიზნესმა წელს საქართველოში სამ კვარტალში დაახლოებით 40 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელა.

სამწუხაროდ, წლევანდელი წელი ეკონომიკური თვალსაზრისით არ არის ამოვარდნილი იმ დინებიდან, რომელიც წინა რამოდენიმე წელს ჩამოყალიბდა. ვერ ვიტყვით, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით წლევანდელი წელი წინა პერიოდისაგან განსხვავებული წელი იყო. 2010 წელთან შედარებით ეკონომიკაში თვისობრივი ცვლილებები არ მომხდარა. იმავე თვითდინებით მიდის ქვეყნის ეკონომიკა, რაც წინა წელს იყო. ხელისუფლებას ჰქონდა გარკვეული სურვილები, თუმცა ამ სურვილების აღსრულების მექანიზმები არ ჩანს.

***– ეკონომიკის განვითარებისთვის ხელისუფლების რომელი გადაწყვეტილება შეიძლება მივიჩნიოთ წარმატებულად და რომელი – შეცდომად?***

– ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ხელისუფლებამ დაიწყო საუბარი და გადაწყვეტილებაც მიიღო საგადასახადო ადმინისტრირების გამარტივებაზე მცირე და საშუალო ბიზნესისათვის. საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებულია ძალიან ბევრი ადამიანი, თუმცა მათი წილი ქვეყნის ეკონომიკაში არ არის მნიშვნელოვანი. მცირე და საშუალო ბიზნესს უნდა ვუყუროთ არა როგორც ფისკალურ, ანუ შემომტან სფეროს, არამედ უნდა ვუყუროთ როგორც იმის შესაძლებლობას, რომ ამ ბიზნესებში რაც შეიძლება მეტი ადამიანი დასაქმდეს, რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა შეძლოს საკუთარი თავის დაკმაყოფილება. ეს გაანთავისუფლებს ხელისუფლებას მათზე სოციალური ხარჯების გაწევის აუცილებლობისაგან.

ამავე დროს, მიღებული იყო ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ამოვარდნილი იყო საერთო სიტუაციიდან. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის განვითარება, მაგრამ იგივე სიმინდის პროგრამა, რომელიც ხელისუფლებამ დაიწყო, აბსოლუტურად მოუმზადებლად განხორციელდა, რამაც ბევრი ადამიანი აზარალა. სიმინდის პროგრამამ ზოგადად არ გაამართლა, თუმცა ზოგან კარგი შედეგი იქნა მიღებული, მაგრამ საერთო ჯამში ამ პროგრამით ძალიან ბევრმა ადამიანმა იზარალა. გარდა ამისა, ჩემი აზრით ძალიან ცუდია, როცა ხელისუფლება ბიზნესთან დაკავშირებით პოლიტიკურად მოტივირებულ გადაწყვეტილებებს იღებს. იგივე ბანკ „ქართუს“ პრობლემა მას შემდეგ გაჩნდა, რაც ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მონაწილეობა გადაწყვიტა. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი გადაწყვეტილებებით ხელი ეშლება ბიზნესის განვითარებისათვის გარემოს შექმნას.

ჩემი აზრით, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის ბიუჯეტიდან სამწუხაროდ კვლავ გრძელდება ხარჯების იმ მიმართულებით გაღება, რომლისგანაც დადებითი შედეგი არ მიღება. არის პროექტები, რომლებსაც რეალური შედეგები არ მოუტანია. ამის კარგი მაგალითია თავისუფალი ეკონომიკური ზონების ფუნქციონირება ფოთსა და ქუთაისში. ქუთაისში კიდევ რაღაცა სუნთქავს, მაგრამ ფოთთან მიმართებაში არანაირი რეალური ძვრები არ არის. სჯობია, რომ ხელისუფლებამ უფრო მეტი ყურადღება გამოიჩინოს დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს შორის ურთიერთობაში. ქუთაისში ხელისუფლებამ ცალსახად დაიჭირა დამსაქმებლების პოზიცია და ძალაც კი გამოიყენა იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომლებიც აბსოლუტურად სამართლიან პროტესტს გამოთქვამდნენ მუშაობის პირობებთან დაკავშირებით. რეალურად გვაქვს მთელი კომპლექსი პრობლემებისა, რომელთა გადაწყვეტაზე დიდად არის დამოკიდებული ის, რომ საქართველო ბოლოს და ბოლოს გახდეს მიმზიდველი ქვეყანა ინვესტორებისათვის, ინვესტიციებმა ქვეყანაში შეძლონ ისეთი დიდი პრობლემების მოგვარება, როგორიც უმუშევრობაა.

***– ხელისუფლება ბიზნესის წარმოებისთვის ლიბერალური გარემოს შექმნით შინ და გარეთ თავს კი იწონებს, მაგრამ ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა არ უმჯობესდება და არც უმუშევრობის რაოდენობა არ იკლებს, თქვენი აზრით, რატომ?***

– ერთია შესაძლებლობები და მეორე – რეალობა. ბოლო წლებში მართლაც გვაქვს წინსვლა ბიზნესის დარეგისტრირებაში, მაგრამ მეორეა რეალობა, რომელიც ხშირ შემთხვევაში სცილდება ქაღალდზე დაწერილ ფაქტებს. პრობლემად რჩება ის, რომ მოხსნილი არ არის საგარეო საფრთხეები. ამ შემთხვევაში რუსეთის ფაქტორს ვგულისხმობ, რაც თავისთავად ცხადია, რომ ინვესტორებს აფრთხობს. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ იმისათვის რათა ქვეყანა გახდეს მიმზიდველი ინვესტორებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია თუ სად წაიღებენ და გაყიდიან ისინი მათ მიერვე წარმოებულ პროდუქციას. მოგეხსენებათ, ჩვენი ბაზარი საკმაოდ პატარაა. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი რუსული ბაზარი პოლიტიკური მიზეზებით ჩვენთვის ჯერჯერობით დაკეტილია. პატარა ღრეჭოა დარჩენილი ევროკავშირის ბაზარზე შესასვლელად. ანუ, რეალურად გამოდის, რომ მსოფლიოს უდიდეს ბაზრებზე ჩვენ ჯერჯერობით ვერ შევდივართ. ამ პრობლემების გადაჭრა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ საქართველო ინვესტორებისათვის მიმზიდველი ქვეყანა გახდეს. ამ შემთხვევაში მხოლოდ უცხოელ ინვესტორებზე არ ვსაუბრობ. საუბარია როგორც უცხოელ, ისე ადგილობრივ ინვესტორებზე, ანუ გასაღების ბაზრები არის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი ეკონომიკის განვითარებისათვის.

***– რას შეიძლება ნიშნავდეს საქართველოში რუსული ინვესტიციების სიმრავლე და რატომ არ მოდიან საქართველოში იგივე ამერიკელი ინვესტორები?***

– კერძო ინვესტიციას ეროვნება არ უნდა მივაბათ. არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, თუ რომელი ქვეყნიდან მოხდა ინვესტიციის განხორციელება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში ძალიან მაღალია რუსული სახელმწიფო კაპიტალის ან კრემლთან დაახლოებული კაპიტალის წილი. ეს ეხება ძალიან ბევრ და მნიშვნელოვან სფეროს. საქართველოში არ უყვართ სიტყვა „სტრატეგიული ობიექტის“ გამოყენება, თუმცა საქართველოს ენერგეტიკულ, საფინანსო სფეროებში, ასევე კვებისა და გადამამუშავებელ მრეწველობაში, სამთო-მოპოვებით სფეროებში, ძალიან მაღალია რუსული სახელმწიფოსა თუ სახელმწოფოსთან ახლო მდგომ ადამიანთა კაპიტალის წილი.

ამავე დროს, საქართველოში ინვესტიციების ჩადებაზე თავს იკავებენ ამერიკელი და იგივე ევროპელი ინვესტორები. ეს, ჩემი აზრით, ისევ და ისევ პოლიტიკურ საკითხებს უკავშირდება. ისინი ფრთხილობენ იმის გამო, რომ საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი ოკუპირებულია. ცხადია, საქართველო არ ურიგდება არსებულ ვითარებას, მაგრამ პოზიციების დათმობას არც რუსეთი აპირებს. ხშირია ორივე მხრიდან კუნთებზე ყურების პრაქტიკა. ინვესტორი, რომელსაც ისედაც ბევრი რამის ეშინია, კაპიტალის დაკარგვის შიშით ცდილობს, თავი შეიკავოს საქართველოში სერიოზული ინვესტიციების განხორციელებისგან. ტრამპი, რომელზეც ჩვენ უდიდეს იმედებს ვამყარებდით, მისი ვიზიტი საქართველოში გადაიდო და მასთან დაკავშირებული გეგმებისაგან ჯერ მხოლოდ კონტურებიღა დარჩა.

***– რამდენად კვალიფიციურად დაიგეგმა ბიუჯეტი? ოპოზიციურ ლიდერთა შეფასებით, მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით თბილისისა და ქვეყნის ბიუჯეტი საკმაოდ მაღალი კორუფციული ნიშნებით ხასიათდება...***

– თბილისისა და ქვეყნის ბიუჯეტს აშკარად ეტყობა, რომ საქართველოში საარჩევნო ციკლი დაწყებულია. ეს ნიშნავს, რომ გაიზრდება სოციალური და ისეთი ტიპის ხარჯები, რომლებიც მოსახლეობისთვის თვალშისაცემი იქნება. ინფრასტრუქტურული პროექტები ნამდვილად მისასალმებელია, მაგრამ ამავე დროს, დაწყებულია უფრო მეტი თანხების გადატანა პიარ-აქტივობებისაკენ და არა რეალური ეკონომიკური პრობლემების მოგვარებისაკენ. რატომღაც ხელისუფლებამ სოციალური პრობლემების მოგვარება შემოდგომისთვის, ზუსტად საარჩევნო პერიოდისთვის გადაიტანა. ვგულისხმობ, სექტემბრიდან პენსიების მომატებას. ბიუჯეტს ეტყობა, რომ იგი სწორედ საარჩევნოდ შედგენილი ბიუჯეტია. ჩანს არა იმის სურვილი, რომ ბიუჯეტის დეფიციტი მინიმუმამდე იყოს შემცირებული, რომ ქვეყანამ ბოლოს და ბოლოს დაიწყოს შემოსავლების მიხედვით ცხოვრება, არამედ აშკარაა, რომ ბიუჯეტი გათვლილია იმაზე, რომ ამით ვილაცამ პოლიტიკური და არა მარტო პოლიტიკური დივიდენტები მიიღოს.

***– თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული, ეკონომიკის სფეროში 5 უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების მიღება, რა გადაწყვეტილებებს მიიღებდით?***

– პირველი – ალბათ, მთელ რესურს მივმართავდი ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებაზე, მეორე – ხელს არ შეუშლიდი და პირიქით, ხელს შეუწყობდი ჩვენს ბიზნესს, რომ თავისუფლად გავიდეს რუსულ ბაზარზე, მესამე – ხელს შეუწყობდი სოფლის მეურნეობისა და სოფლის კომპლექსურად განვითარებას და არა რომელიმე ერთი დარგისა და ერთი მიმართულების განვითარებას, მეოთხე – ვიზრუნებდი იმისათვის, რომ ქვეყანა მართლაც გახდეს ინვესტორებისთვის მიმზიდველი და ამ თვალსაზრისით თავი დაანებოს ქონებრივი და სხვა უფლებების დარღვევას.

***– 2010 წლის შეჯამებისას ანალოგიურ კითხვაზე თქვენი პასუხი ასეთი იყო – „ისეთი გადაწყვეტილებებია მისაღები, რომლებიც ევროკავშირთან საქართველოს დაახლოებას დააჩქარებდა.“ რა გამოდის, წელი გავიდა და იგივე საკითხები ეკონომიკური დღის წესრიგის უმნიშვნელოვანესი თემაა?***

– საუბრის დასაწყისში ავღნიშნე, რომ ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით 2010 და 2011 წლებს შორის რაიმე თვისობრივი განსხვავება არ ყოფილა. რა თქმა უნდა, განსხვავება იყო, მაგრამ თვისობრივი განსხვავება არ ყოფილა. ჩვენ, ევროპასთან ურთიერთობის ერთი ეტაპი გადავლახეთ, ევროპამ დაიწყო ჩვენთან საუბარი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობაზე, თუმცა უნდა ვაღიაროთ და ვთქვათ, რომ ეს ჯერჯერობით არ არის რეალური ნაბიჯები, რომლებსაც შეუძლია საქართველო ევროპამდე მიიყვანოს. ჩვენ დღეს ისევ ეს პრობლემა გვაქვს. საქართველოსათვის ევროპასთან დაახლოება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ინტერპრესნიუსი

# მამა დავითი: „მომავალი მღვდელი 5 წელი მაინც უნდა იყოს დიაკონი“

მამა დავით მაღლაფერიძე კვიპროსზე, ბერძნულ ეკლესიაში მსახურობს. მას უმაღლესი თეოლოგიური განათლებაც საბერძნეთში აქვს მიღებული. ხელდასხმა კი, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, კიკოსის ცნობილ მონასტერში, ადგილობრივი მიტროპოლიტისგან მიიღო. მონატრებულ სამშობლოს ის ყოველწლიურად სტუმრობს. ამჯერადაც, თბილისში ოჯახთან ერთად იმყოფება.



მამა დავითი

***— მამა დავით, გვიამბეთ თქვენს შესახებ, თავდაპირველად როგორ მოხვდით ეკლესიის წიაღში?***

— იმერეთში, ხარაგაულში დავიბადე. დაახლოებით, 10 წლის ვიყავი, რამდენიმე ახლობელ-მეგობართან ერთად, ინტერესის გამო, ეკლესიაში პირველად რომ მივედი. იმ პერიოდში გარდამეცვალა მამა, რის გამოც დიდი სულიერი ტრავმა მივიღე. ეს განსაცდელი მამა ზაქარიამ (ფერაძე) შემიმსუბუქა, რომელიც იმ დროს ხარაგაულის რაიონში დაადგინეს მოძღვრად. შემდეგ მან, როგორც ხორციელ მამას ევალება, ჩემზე მზრუნველობა იტვირთა და შვილივით მზრდიდა. როდესაც მამა ზაქარია აჭარაში გადაიყვანეს, რა თქმა უნდა, მეც თან გავყევი. მამაშვილურზე უფრო მეტი დამოკიდებულება გვქონდა, იმხელა სითბო და სიყვარული იგრძნობოდა მის ოჯახში. მისი მეუღლე, ქეთევანიც ძალიან დიდ მზრუნველობას იჩენდა. ჩემთან ერთად, მამა ზაქარიას ოჯახში იზრდებოდნენ სხვა ბავშვებიც, რომლებსაც პრობლემები ჰქონდათ ცხოვრებაში და მამა ზაქარიამ იტვირთა მათი მზრუნველობაც.

***— რადგანაც მოძღვრის ოჯახში იზრდებოდით, უკვე ნიშნავდა იმას, რომ თქვენი ცხოვრების გზაც ეკლესიას დაუკავშირდებოდა, თუ ეს სურვილი უფრო გვიან გაჩნდა?***

— როგორც აღვნიშნე, 10 წლის მივედი ტაძარში, მას მერე სულ ეკლესიის წიაღში ვარ. მოძღვრის ოჯახში ვიზრდებოდი და ამიტომ სხვაგვარ მსახურებაზე არც მიფიქრია. რა თქმა უნდა, მეც მომწონდა ეკლესიაში მსახურება. ვიყავი მედავითნე, სტიქაროსანი. როდესაც ბავშვობიდან ამას უყურებ, შენშიც იწვევს ღვთისმსახურების სურვილს.

***— როგორი ბავშვი იყავით, მამაოსგან შენიშვნებს იმსახურებდით?***

— ცელქი ბავშვი ვიყავი, მაგრამ მამა ზაქარია ჩემს სიცელქეს სიყვარულით თოკავდა. მას ძალიან დიდი სიყვარული აქვს როგორც ბავშვების, ისე ზოგადად, ადამიანების მიმართ. მისი თავდადებული ღვაწლის დამსახურებაა, რომ დღეს მე სასულიერო პირი ვარ და ვმსახურობ კვიპროსზე.

***— კვიპროსზე თქვენი გამგზავრება როგორ მოხდა?***

— ხარაგაულიდან ბათუმში რომ გადავედით, ბათუმის სასულიერო სემინარიაში ჩავაბარე, მეოთხე კურსზე ვიქნებოდი, როდესაც მამა ზაქარიას დამსახურებით, რამდენიმე სტუდენტს შორის, რომლებსაც სწავლა საბერძნეთში უნდა გაეგრძელებინათ, მეც აღმოვჩნდი. ხუთნი წავედით და ქალაქ თესალონიკთან ახლოს, საეკლესიო ლიცეუმში 2 წელი ვსწავლობდით. იქ, ასე თუ ისე, შევისწავლეთ ბერძნული ენა და დამთავრების შემდეგ, ავტომატურად ჩავირიცხეთ თესალონიკის თეოლოგიურ უნივერსიტეტში, რასაკვირველია, ესაც მამა ზაქარიას ძალიან დიდი ნაცნობობისა და მეგობრობის წყალობით. ჩვენ ვიყავით პირველი ნაკადი, ვინც იქ გაიგზავნა 1998-99 წლებში. შემდეგ უკვე ყოველწლიურად, სისტემატურად ხდებოდა იქ ქართველი სტუდენტების გაგზავნა.

***— როგორი იყო საბერძნეთში სტუდენტობა?***

— სტუდენტობის პერიოდი ჩემს ცხოვრებაში ძალიან ტკბილად მოსაგონარია. ვისაც სწავლის სურვილი გვქონდა, ყველანაირად ხელს გვიწყობდნენ. დავუახლოვდით ადგილობრივ სასულიერო პირებს. ძალიან კარგი ურთიერთობები გვქონდა მათთან და მე და ჩემი მეგობარი, ბესარიონ სილაგაძე ხშირად მივემგზავრებოდით სხვადასხვა წმიდა ადგილებსა და მონასტრებში, რაც დიდ მადლსა და ძალას გვაძლევდა. ათონის მთაზე ძალიან ბევრჯერ ვარ ნამყოფი, ასევე, ოლიმპოს ცნობილ მთაზე, სადაც დიდი ლავრაა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, როდესაც პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, მამა ზაქარია კვიპროსში ჩამოვიდა, საბერძნეთიდან მეც მასთან გადავედი, რომ რითაც შემეძლო, მხარში დავდგომოდი.

***— თქვენი კურთხევაც კვიპროსზე მოხდა?***

— კვიპროსზე 2001 წელს გადავედი, 3 წლის შემდეგ უკვე, პატრიარქმა იქაურ მიტროპოლიტს წერილი გამოუგზავნა და მისი ლოცვა-კურთხევით, ადგილობრივ ეკლესიასთან შეთანხმებით გადაწყდა ჩემი დაიკვნად კურთხევა, რაც კიკოსის მონასტრის მიტროპოლიტმა, ნიკიფოროსმა შეასრულა. ის იმავდროულად მონასტრის წინამძღვარია. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ქართველი ადამიანის ხელდასხმა აღსრულდა უცხოელი სასულიერო პირის მიერ და ისიც კიკოს მონასტერში. რასაკვირველია, ეს ღმრთის მადლით მოხდა. კიკოსის მონასტერი, მოგეხსენებათ, ერთ-ერთი ძლიერი მონასტერია, რომელთანაც საქართველოს, ისტორიულად, დიდი ურთიერთობები აკავშირებდა. აღნიშნულ მონასტერს ზესტაფონის რაიონის სოფელ ვარძიაში მეტოქიონი ჰქონდა, უზარმაზარი მიწები და ეკლესია, რომელიც სოლომონ მეფემ შესწირა მონასტერს. 6 წელი გახლდით აღნიშნულ მონასტერში, უშუალოდ, იმ მიტროპოლიტის პირადი დიაკვანი.

***— როგორი იყო დიაკვნობის პერიოდი, რა შეგძინათ კვიპროსელ მამებთან მსახურებამ?***

— კვიპროსელი სასულიერო პირები ძალიან ღირსეული ადამიანები არიან. იქ ისეთი სკოლაა, სასულიერო მოღვაწეობისთვის პიროვნება ყველანაირად მოწოდებული, დადებითი თვისებებით შემკული უნდა იყოს, რომ შემდეგში ის გახდეს სასულიერო პირი. ამ ყველაფერს ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ და მართლაც, ღრმად სულიერი მამები ჰყავთ. ვთვლი, რომ ჩემთვისაც ძალიან ნაყოფიერი გამოდგა ეს 6 წელი, სულიერად უფრო გავძლიერდი. დიდი გამოცდილება შევიძინე, ამდენი ხანი რომ მომიწია დაიკვნად მსახურება, თან უცხო ქვეყანაში. ვფიქრობ, მომავალმა ღვთისმსახურმა გარკვეულ სულიერ სიმაღლეს რომ მიაღწიოს, სულ მცირე, 5 წელი მაინც უნდა დაყოს დიაკვნობაში.

***— სამღვდელო ხარისხი როდის მიიღეთ?***

— 9 თვეა, რაც მღვდლად მაკურთხეს. გასული წლის 3 ნოემბერს დამასხეს ხელი და კიკოსის მონასტრიდან სხვა ეპარქიაში გადამიყვანეს. რასაკვირველია, კიკოსის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის მფარველობა დღემდე მაქვს. იმდენად მიყვარს ეს მონასტერი, კვირაში ერთხელ ყოველთვის მივდივარ ხოლმე. იქ მსახურობენ ადამიანები, ვისთანაც ძალიან ახლო ურთიერთობა მაქვს, დიდ სიყვარულსა და სითბოს ვგრძნობ მათგან. განსაკუთრებით აღვნიშნავდი არქიმანდრიტ ალათონიკეს, რომელიც ძალიან სულიერი ადამიანია და ჩემს პიროვნებაზეც დიდი გავლენა იქონია. მისგან ბევრი რამ ვისწავლე, მაგალითად, როგორ უნდა მეღვაწა, როგორც საულიერო პირს უცხო მხარეში და სხვა.

***— კვიპროსზე ახლა სად მსახურობთ?***

— ამჟამად, ტამასუსა და ორინის ეპარქიაში ვმსახურობ. მინდა აღვნიშნო, რომ ეპარქიის მიტროპოლიტი ისაია, ძალიან მეგობრულად და კეთილად არის განწყობილი ჩვენი ქვეყნისა და ხალხისადმი. მას დიდი სიყვარული აქვს ქართველების მიმართ. რამდენიმე დღეში ის თავის მრევლთან ერთად ჩვენს ქვეყანას ეწვევა. ეს იქნება პირველი შემთხვევა და შეიძლება ითქვას, გარღვევა, რადგან იმ დელეგაციაში, კვიპროსის ეკლესიის ძალიან მაღალი რანგის სასულიერო პირები იქნებიან.

***— მამაო, ბერძნულ ეკლესიაში მსახურობთ, წირვა-ლოცვის ქართულად აღსრულების საშუალება თუ გეძლევათ?***

— ბერძნულ ეკლესიაში ვმსახურობ, მაგრამ მაქვს საშუალება თვეში 2-3 ჯერ, შეიძლება 4-ჯერაც მომიწიოს ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის ჩატარება. მეუფე ისაიამ მითხრა, რადგან ქართველი ხარ, გაძლევ უფლებას, როგორც ბერძნულ, ასევე ქართულ ეკლესიას ემსახურო. იმავე ეპარქიაში გამოგვიყვეს წმიდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის სახელობის ტაძარი, სადაც ნებისმიერ დროს, შეგვიძლია ქართულ ენაზე ჩავატარო მსახურება. დიდ დღესასწაულებზე ქართველები იკრიბებიან და ღამისთევით, ყოველთვის ერთად ვწირავთ.

***— უცხო ქვეყანაში ღვთისმსახურების პირველ ეტაპზე რამე დაბრკოლებები გქონდათ?***

— ვერ ვიტყვი, რომ რაიმე საკითხში დაბრკოლებები მქონდა. სტუდენტობა რომ საბერძნეთში გავატარე და გარკვეულწილად გავეცანი იქაურ კულტურასა და გარემოს, ეს ძალიან დამეხმარა კვიპროსზე, იქაურ საეკლესიო მსახურებაში თავის დამკვიდრებისათვის.

***— ოჯახის შესახებაც გვიამბეთ. საქართველოში დაოჯახდით თუ კვიპროსზე?***

— საქართველოში დავოჯახდი და მერე ოჯახი კვიპროსზე წავიყვანე. მყავს 4 შვილი, უფროსი 10 წლისა არის, პატარა 3-ის. ძალიან რთული იყო ოჯახთან ერთად სწავლა, მიჭირდა, მაგრამ უფლისა და მამა ზაქარიას დიდი დახმარებით, შევძელი და დღეს უკვე სასულიერო პირი ვარ. მეუღლე დიასახლისია და ბავშვებს უვლის.

***— შვილები ბერძნულ სკოლაში დაგყავთ?***

— სამწუხაროა ის, რომ ჩვენ იქ არ გვაქვს ქართული სკოლა და ბავშვები ბერძნულ სკოლაში დადიან.

***— რით არსებობს კვიპროსზე სასულიერი პირის ოჯახი?***

— ვმსახურობ ეპარქიაში, სადაც წესია, რომ სასულიერო პირს ჰქონდეს ხელფასი. ამ მხრივ, სასულიერო პირი იქ უზრუნველყოფილია და არ აქვს საფიქრალი, რით არჩინოს ოჯახი.

***— რა მოეთხოვება ემიგრანტებთან მყოფ სასულიერო პირს?***

— ემიგრანტებთან, მოძღვრებს ორმაგი ყურადღება და სიყვარული გვმართებს თითოეული ადამიანის მიმართ, რათა შევუმსუბუქოთ ის ტანჯვა, რაც სამშობლოს მოწყვეტილ ადამიანებს უცხო ქვეყანაში აქვთ. ემიგრაციაში ყოფნა მართლა ტანჯვაა. იქ ძალიან რთულია ცხოვრება, ყველაფერი ადვილად არ არის.

***— თვითონ კვიპროსელი ხალხი რამდენად მორწმუნეა?***

— ადგილობრივები ძალიან მორწმუნე ხალხია. თვითონ კვიპროსი წმიდანების კუნძულია. ძალიან დიდი მოღვაწე და სულიერი მამები ჰყავდა კვიპროსს. იქიდან დიდი წმიდანები არიან წარმოშობით, მაგალითად, სპირიდონ ტრიმიფუნტელი, ლაზარე, ბარნაბა მოციქული. პეტრე და პავლე მოციქულსაც უქადაგიათ იქ, ქალაქ პაფოსში დღემდე არსებობს სვეტი, სადაც პავლე მოციქული გააკრეს და აწამეს. თავად ყოვლადწმიდა ღვთისმშობელიც კი იმყოფებოდა ამ კუნძულზე. ეს მომენტი ძალიან ბევრს ნიშნავს ჩვენთვის.

***— ამჟამად კვიპროსის ეკლესიას ეკუთვნით თუ საქართველოსას?***

— კვიპროსზე სანამ ვიქნები, ვექვემდებარები იმ მიტროპოლიტს, რომელმაც მღვდლად დამასხა ხელი. ისე, რა თქმა უნდა, საქართველოს ეკლესიას ვეკუთვნი და უშულოდ პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ვმსახურობ.

***— გიჭირთ ემიგრაციაში ყოფნა?***

— საერთოდ, ცნობილი ფაქტია, რომ უცხო ქვეყანაში ყოფნა ქართველი ადამიანისთვის განსაკუთრებით ძალიან რთულია. ემიგრანტობა ყველანაირად აისახება მათ ცხოვრებაზე. ამ დროს, ყველაზე დიდ შვებას ეკლესიაში გრძნობს ადამიანი. ღმრთის შეწევნა და მფარველობა რომ არა, მეც ძალიან გამიჭირდებოდა ემიგრაციაში ყოფნა. მიჭირს კიდეც, ვერ ვიტყვი, რომ არ მიჭირს. ყოველ დღე, ყოველ წუთსა და წამს ვფიქრობ, რით შემიძლია ჩემს ქვეყანას დავეხმარო, რა გავაკეთო ისეთი, რომ ჩემს სამშობლოს წაადგეს. მიყვარს საქართველო. სულ იმაზე ვფიქრობ, როდის დადგება ის სანატრელი დღე, რომ დავბრუნდე ჩემს სამშობლოში.

***— ალბათ, მამა ზაქარიას იქ ყოფნაც ძალიან გაძლიერებთ.***

— მე და მამა ზაქარია ერთ ქალაქში ვცხოვრობთ. თითქმის ყოველ შაბათ-კვირას და დღესასწაულებზე გვიწევს შეხვედრა. კვირაობით, ძირითადად, ბერძნულ ეკლესიაში ვარ, შაბათ საღამოს ლოცვაზე კი ერთად ვდგებით. მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს. მამა ზაქარია ძალიან მაძლიერებს. როცა მოძღვარი გვერდში გყავს, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. უცხო ქვეყანაში მოძღვრის გარეშე, ძალიან რთული იქნება. ირგვლივ დიდი საცდურია და მადლობა უფალს, რომ არამარტო მე, არამედ ყველა ქართველს, ვინც კვიპროსზე იმყოფება, გვყავს ამხელა სულიერი მოძღვარი მამა ზაქარიას სახით.

***— ნოსტალგიას რით ივსებთ ხოლმე?***

— ამ მხრივ, თანამედროვე ტექნოლოგიები ძალიან გვეხმარება. ყველანაირად ვცდილობთ, არცერთი წუთი და წამი არ გამოგვრჩეს და თუკი რაიმე ინფორმაცია იქნება საქართველოზე, ინტერნეტის საშუალებით გავიგოთ.

***— მამაო, ბერძნულ ტაძარში როგორი განრიგით მსახურობთ და როდესაც ეკლესიაში არ მსახურობთ, რით ხართ დაკავებული?***

— ტაძარში მისვლა ყოველდღე არ მიწევს, მხოლოდ შაბათ-კვირას და დღესასწაულებზე. დანარჩენი დღეები დაკავებული ვარ საკვირაო სკოლებში, რადგან დავალებული მაქვს კვიპროსის სხვადასხვა ქალაქებში მდებარე ქართული საკვირაო სკოლების ხელმძღვანელობა. მაქსიმალურად ვცდილობთ, იქ მყოფ ქართველ ბავშვებს ჩავუნერგოთ სამშობლოს სიყვარული, რომ არ მოწყდნენ ეროვნულ მშობლიურ წიაღს, იცოდნენ ქართული ენა, არ დაივიწყონ საიდან მოდიან, სადაა მათი ფესვები. იქ ძალიან მწირი ბიბლიოთეკა გვაქვს და ყველანაირად ვცდილობთ, ამ მხრივ გავაძლიეროთ საკვირაო სკოლები.

***— მამაო, აღნიშნეთ, რომ საბერძნეთში არაერთი წმიდა ადგილი მოგილოციათ, გიცხოვრიათ ათონის მთაზე... კვიპროსზეც მაღალი სულიერების მქონე მამებთან მსახურობთ. ალბათ, ბერობაზეც გიფიქრიათ.***

— ბერულ ცხოვრებაზე მიფიქრია და მაქვს კიდეც ამის შინაგანი სურვილი. ვფიქრობ, ჩემი ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე, ხანგრძლივი დროის შემდეგ, შევძლებ ამას.

***— თქვენი ყველაზე დიდი სურვილი რა არის?***

— ჩემი ყველაზე დიდი სურვილია, დავბრუნდე ჩემს ქვეყანაში და რამდენადაც შემეძლება, გვერდში დავუდგე ეკლესიას, თავი შევწირო უფალსა და სამშობლოს.

**ეფემია წიკლაური**

**ჟურნალი „გუმბათი“ 2010 №31**

# წმიდა მამათა გამონათქვამები

* * *

საზიანოა არა მხოლოდ ზრუნვა სიმდიდრის მოპოვებისათვის, არამედ ზედმეტი ყურადღებაც კი ყველაზე აუცილებელი საგნებისადმი.

* * *

საკმარისი არ არის, გძაგდეთ სიმდიდრე და უგულებელყოფდეთ ქვეყნიურ სიკეთეთ, — აუცილებელია, ღარიბ-გლახაკთაც დააპურებდეთ; უმთავრესი კი ის არის, რომ მთელის არსებით ჩვენს უფალს, იესო ქრისტეს, შეუდგეთ.

* * *

ეკლესია იმისთვის კი არ არსებობს ამქვეყნად, რომ მასში ოქროს ადნობდნენ ან ვერცხლს სჭედავდნენ, — ეკლესია ანგელოზთა მოზეიმე საკრებულოა. ამიტომაც ძღვნად მისთვის სულებს მოვითხოვთ, რადგან სწორედ სულთა გამო მიიღებს ღმერთი სხვა ძღვენსაც. ვერცხლის ტრაპეზი როდი იყო მაშინ (უფლის საიდუმლო სერობაზე) და ოქროს სასმისებით როდი აწვდიდა იესო ქრისტე სასმელს — ღვინოს, ანუ თავის უწმიდეს სისხლს მოწაფეებს. მიუხედავად ამისა, ყოველივე აქ ძალზე ძვირფასი იყო და უაღრეს მოწიწებასაც ჰბადებდა, რადგან სულიწმიდით იყო აღსავსე.

* * *

იესო ქრისტეს სხეულს გსურს მიაგო ჯეროვანი პატივი? — ჰოდა, ნუ მოიძაგებ მას, როცა შიშველს ხედავ, ვნებულ მაცხოვარს... ან კი რა სარგებლობა გექნება, თუკი აქ აბრეშუმის სამოსით მიაგებ პატივს, ეკლესიის გარეთ კი სიცივისა და სიშიშვლის დასათმენად მიატოვებ (როცა ის გლახაკის სახით მოვალს შენთან მოწყალებისა და თავშესაფრის სათხოვნად)... რა სარგებლობა გექნება, თუკი ქრისტეს ტრაპეზი სავსე იქნება ოქროს ჭურჭლით, თვით მაცხოვარი კი შიმშილით გაიტანჯება... შენ ოქროს თასს აკეთებ ქრისტეს პატივად, მაგრამ არ აწვდი გრილ წყალს მწყურვალ ქრისტეს!.. ქრისტე, ვითარცა უსახლკარო მწირი, დადის ამქვეყნად და თავშესაფარს ითხოვს, შენ კი, ნაცვლად იმისა, რომ შენს ჭერქვეშ შეიწყნარო იგი, იატაკს, კედლებს, სვეტისთავებს შეამკობ და ცხენებსაც კი ვერცხლის საბლით აბამ, მაშინ, როდესაც საპყრობილეში ვნებული ქრისტე, ვისაც რკინის ბორკილები ადევს, არც კი გსურს, მოინახულო...

* * *

დასაბამი და ფესვი ყოველგვარი სიმდიდრისა უსათუოდ რაღაც უსამართლობაში, რომელიღაც ძალადობაშია.

* * *

თუკი ვინმე ქრისტიანთაგან მოწყალებას არ გასცემს, იგი საუფლო საქორწინო პალატთა მიღმა დარჩება და დაიღუპება, ამიტომ ხელნიცა შენნი ოდენ ზეცისაკენ კი არა, ღარიბ-ღატაკთა შესაწევნელადაც განიპყარ!

* * *

განა უდიდეს მოწყალებას არ გაიღებს ადამიანი, თუკი უაღრესი სევდა-დაღონებით შეპყრობილ სულს შეხვდება, უდიდეს განსაცდელში ჩავარდნილს, ერთიანად მოცულს მძაფრი ვნების ცეცხლით, და გაათავისუფლებს მას ამ სნეულებისაგან?!

* * *

არაფერი ისე არ ნებავს და სთნავს ღმერთს ჩვენგან, როგორც მადლობის მიძღვნა ყოველთვის და ყველაფრისთვის.

* * *

როცა ამბობ, ღმერთი კაცთმოყვარეა და არ დამსჯისო, ამით, უნებლიეთ, იმას ამტკიცებ, რომ ღმერთი აღარ იქნება კაცთმოყვარე, თუკი ვინმეს, დაე, თუნდ შეუნანებელ ცოდვილს, დასჯის.

* * *

ღმერთი არ დაუშვებს, რომ ჩვენ განუწყვეტელ შეჭირვებაში ვიყოთ ამქვეყნად, რათა სასო არ წარგვეკვეთოს. ამასთან, არც იმას დაუშვებს, რომ გამუდმებით კეთილდღეობითა და სიხარულით ვჰგიებდეთ, რათა არ დავეცეთ.

* * *

ღმერთი სამუდამოდ არც უბედურებაში სტოვებს ადამიანებს, რათა სრულიად ულონონი არ შეიქნან, და არც — ბედნიერებაში, რათა დაუდევრობით არ უვნონ და სხვებზე ზრუნვა არ დაივიწყონ, რადგან იგი სხვადასხვა საშუალებებითა და ღონით განაგებს ადამიანთა ხსნას.

* * *

კეთილდღეობა გწვევია? — მადლობა მიუძღვენი ღმერთს, და ეს შენი ბედნიერი ყოფაც მტკიცე იქნება. ხოლო თუკი უბედურებაც დაგატყდება თავს, კვლავაც მადლობა შესწირე შემოქმედ ღმერთს და ყველაფრისათვის განადიდე იგი! რადგან თუკი ამას წრფელი გულით იქმ, მაშინ შენს უბედურებასაც ბოლო მოეღება!

* * *

ვისაც საღმრთო წიგნები აქვს შინ, უდიდეს სარგებლობასა და ნუგეშს მიიღებს მათგან, რადგან ხშირად ოდენ ისიც კი გვართმევს ცოდვის ჩადენის სურვილს, თუკი თვალს შევავლებთ წმიდა წიგნს და ღმერთი გაგვახსენდება.

**წმიდა იოანე ოქროპირი**

# მიხეილ ცაგარელი: „დრაკონის წელი ბედნიერი იქნება“

ეკა ირემაშვილი

ერთ კვირაში 2011 წელი დაგვემშვიდობება და ახალი 2012 წელი კარზე მოგვიკაკუნებს. როგორც ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ამბობს, 2012 წელი წყლის სტიქიის შავი დრაკონის წელიწადია, რომელიც საზოგადოებას არაერთ ცვლილებას, გამოცდას, განცდას, სიახლესა და წინააღმდეგობას ჰპირდება. როგორ შევხვდეთ ახალ 2012 წელს, რას უნდა ველოდოთ დრაკონისგან, რა ჩავიცვათ, ვის რა ვაჩუქოთ და რა მივიტანოთ საახალწლო სუფრასთან, ამაზე მიხეილ ცაგარელი „ახალ თაობას“ ესაუბრა.

**მიხეილ ცაგარელი:**

– წყლის სტიქიის, შავი ფერის დრაკონი გადაიბარებს ესტაფეტას კატა-კურდღლისგან 2012 წლის 23 იანვარს. დრაკონი (გველეშაპი), რომელიც თავისი ბუნებით ცეცხლის სტიქიის მატარებელია, ამჯერად განეკუთვნება წყლის სტიქიას. აქედან გამომდინარე, ახალი წელიწადი ერთობლივად მატარებელია ორივე სტიქიისთვის (წყალი, ცეცხლი), დამახასიათებელი თვისებებისა. სწორედ ეს ერთობლიობა წინააღმდეგობებისა გველოდება წინ. შესაძლებელია 2012 წელს კაცობრიობას მოუხდეს წყალსა და ცეცხლს შუა გავლა, რაც დიდ გამოცდებთან და განცდებთან იქნება დაკავშირებული, რათა ფენიქსივით აღორძინდეთ ახალი გრანდიოზული მოქმედებებისთვის. შავი ფერის, წყლის სტიქიის დრაკონის წელიწადი დაიწყებს მბრძანებლობას ცის კაბადონზე 2012 წლის 23 იანვრიდან 2013 წლის 10 თებერვლამდე. სიმბოლო წელიწადისა მოუტანს ადამიანებს მნიშვნელოვან, თუმცა, ზოგჯერ არასასიამოვნო ცვლილებებს. განსხვავებით აღმოსავლური კალენდრის სხვა ცხოველებისგან, დრაკონი მითიური ასებაა, რომელიც დაკავშირებულია კარმასთან (კარმა გვამცნობს, რომ წარსულის მოქმედებები მიზეზშედეგობრივი კავშირის პრინციპით განაპირობებს ამჟამინდელ მოვლენებს), ამიტომ მნიშვნელოვანია სწორედ დრაკონის წელიწადში მეტად კეთილი საქმეების გაკეთება, სხვათა პატიება და შერიგება. აჩუქეთ თქვენი სიყვარული სამყაროს, ადამიანებს – მაშინ სამყარო აუცილებლად დაგიბრუნებთ სიყვარულსა და ბედნიერებას. ეს წელიწადი აღსავსე იქნება მოვლენებით, იგი გამოცდებს მოუწყობს ზოდიაქოს ნიშნებს შრომისუნარიანობასა და ამტანიანობაზე, აქტიურობასა და შეუპოვრობაზე.

***– კონკრეტულად რა ცვლილებებს უნდა ველოდოთ 2012 წელს?***

– აღმოსავლური კალენდრით ახალი დრაკონის წელიწადი დაიწყება 2012 წლის 10 საათზე, 14 წუთსა და 25 წამზე. ამ დროიდან პასუხისმგებლობას მიწიერ საქმეებსა და საკითხებზე საკუთარ თავზე აიღებს წლის მმართველი პლანეტა მერკური. მის ინტერესთა სფეროს წარმოადგენს კომუნიკაცია, ვაჭრობა, ტრანსპორტი, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო, საგამომცემლო და სხვა სფეროები. გაიზრდება მოთხოვნა კვალიფიციურ ჟურნალისტებზე, ადვოკატებსა და ეკონომისტებზე. ამ წელს უნიშვნელოვანესია დინამიკურობა, მუდმივი მოძრაობა, კომუნიკაბელურობა, ცოდნის განვითარება, ინფორმაციული მიმოსვლა ყოველგვარი გაჩერებების გარეშე. პლანეტა მერკური წლის ფავორიტებში წარადგენს თავისი თვისებების უპირველეს მატარებელ ზოდიაქოს ნიშნებს – ტყუპებსა და ქალწულს. ქვეყნებიდან კი მეტ ყურადღებას მიაპყრობს ამერიკის შეერთებულ შტატებს, ეგვიპტეს, საბერძნეთს, ბელგიას, თურქეთს, იაპონიას, ინგლისს, კანადას, ჩრდილო აფრიკის ქვეყნებსა და ნორვეგიას.

***– ბატონო მიხეილ, როგორია 2012 წელი პოლიტიკური თვალსაზრისით?***

– მსოფლიოს ქვეყნების საგარეო და შინაგანი პოლიტიკის სფეროებში დგება ცვლილებების პერიოდი. ხელისუფლება დადგება ახალი პირობებისადმი მისადაგების აუცილებლობის წინაშე, რომლებსაც საზოგადოება ჩამოაყალიბებს. პირველ რიგში ეს უკავშირდება იდეოლოგიური კრიტერიუმებისა და პრიორიტეტების შეცვლას სოციალურ და კულტურულ სფეროებში, ცნობიერების ორიენტაციის ტრანსფორმაციას. მატერიალური მხარე ცხოვრებისა თანდათან გადაინაცვლებს მეორე პლანზე და გზას დაუთმობს სულიერ ფასეულობებს. გამახვილდება თავისუფლებისა და დემოკრატიული პრინციპების, სიტყვის, არჩევანის თავისუფლების მოთხოვნის ტენდენცია. ასეთ პირობებში ხელისუფლების მხრიდან სოციალური და პიროვნული გამოხატვის ნებისმიერი დათრგუნვა გამოიწვევს მასობრივ აქციებსა და პროტესტებს. მაღალია ალბათობა იმისა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ვერ აჰყვებიან ამ ცვლილებათა დინამიკურობას ან არ დათმობენ საკუთარ პრინციპებს. ამ მხრივ ფრიად დაძაბული და სახიფათო სიტუაცია შეიძლება შეიქმნას მარტის ბოლოს, აპრილის პირველ ნახევარში და შემდგომ ივნისიდან სექტემბრის შუა რიცხვებამდე. ამ პერიოდში დემონსტრაციების, კონფლიქტების, მიტინგების ტენდენცია გაორმაგდება მთელ მსოფლიოში. ამ მოვლენათა ასტროლოგიურ მიზეზთა საწყისს კი ვხედავთ მზისა და მთვარის დაბნელებებში. 21 მაისს ჩვენ აღმოვჩნდებით სრული მზის დაბნელების, ხოლო 4 ივნისს ნაწილობრივი მთვარის დაბნელების წინაშე. ამ მოვლენას განსაკუთრებით იგრძნობენ ადამიანები, რომლებიც დაიბადნენ 19 მაისის და 7 ივნისის შუალედში, ასევე ის ქვეყნები, სადაც ეს დაბნელებები გამოჩნდება – ჩინეთი, იაპონია, ჩრდილო ამერიკის დასავლეთი მხარე, რუსეთის შორეული აღმოსავლეთი, ურალი და ციმბირი. სოციალური და პოლიტიკური სირთულეების გარდა, ამ რეგიონებში მოიმატებს ეკოლოგიური კატასტროფებისა და მიწისძვრების, ცუნამისა და ქარიშხლების ალბათობა. ცის კაბადონზე ამავე დროს წარმოიქმნება დაძაბული ურთიერთობა „ბოროტ“ პლანეტებს – ურანსა და პლუტონს შორის, რაც ზედმეტად გამოათავისუფლებს ადამიანებში უკონტროლო ენერგიას და ხელს შეუწყობს ტექნოგენური ავარიების ზრდას, რევოლუციური სულისკვეთების გამახვილებას. ეს მოვლენები იქნება როგორც მთელ მსოფლიოში, ასევე საქართველოში 1993-94 წლებში დაშვებული შეცდომების ერთგვარი გამოძახილი. მთლიანობაში კი 2012 წელი ხელს უწყობს აქტუალური და თანამედროვე მიზნების ჩამოყალიბებას. იგი ითხოვს პოლიტიკოსებისგან ადამიანებისადმი მეტი პასუხისმგებლობის გამოვლენას. დრაკონის ზეგავლენის შედეგად 2012 წელს გამახვილდება სწრაფვა ძალაუფლებისადმი და მხოლოდ ჭეშმარიტად ძლიერი ხელმძღვანელები შეძლებენ ძალაუფლების მოპოვებას ან შენარჩუნებას. არ დაგავიწყდეთ, რომ ახალ წელს თქვენ უნდა უხელმძღვანელოთ სხვებს, მაგრამ ისინი არ უნდა გახადოთ თქვენზე დამოკიდებული. წლის პირველ ნახევარში ყველა ფინანსურ საქმიანობაში აუცილებელია კეთილსინდისიერებისა და წესიერების გამოვლენა. ამავე პერიოდში დაასრულეთ დაწყებული პროექტები. წინასწარგანუსაზღვრელი და სიურპრიზების მოყვარული პლანეტა ურანი, ვერძის ზოდიაქოშია და, ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, მეტად შეუწყობს ხელს ყველა სფეროში ცვლილებებს, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის დაკავებას, საკუთარი ინტერესების დაცვას. ბრძენი და ზოგჯერ დამსჯელი პლანეტა სატურნი ოქტომბრამდე ითხოვს ზედმიწევნით სამართლიანობის დაცვას და წესიერების გამოვლენას პარტნიორულ ურთიერთობებში. შემდგომ იგი გადაინაცვლებს მორიელის ზოდიაქოში და კვლავ აიძულებს ხელმძღვანელებს, გაიხსენონ საზოგადოების წინაშე აღებული პასუხისმგებლობა. წლის პირველ ნახევარში პლანეტა პლუტონი უფრო მეტად შეუწყობს ხელს მატერიალური პრობლემების გადაწყვეტას, მეორე ნახევარში კი გააფართოვებს საინფორმაციო არეალს და წაშლის საზღვრებს ურთიერთობაში. ივლისის დასაწყისამდე ენერგიული პლანეტა მარსის ადგილმდებარეობა ქალწულის ზოდიაქოში ყველას გაახსენებს საკუთარი ჯანმრთელობის პრობლემებს, მოითხოვს მუშაობისას წესრიგს, სისუფთავის დაცვას და წარმატებებს მოუტანს შრომისმოყვარე ადამიანებს. წელს ძალაუფლების მმართველი პლანეტა პლუტონი, თხის რქაში მისი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, ხელს შეუწყობს აქტუალური და თანამედროვე მიზნების ჩამოყალიბებას.

***– 2011 წელს მთელი მსოფლიო ებრძოდა ფინანსურ კრიზისს. როგორი იქნება 2012 წელი ამ მხრივ?***

– 2012 წელი სერიოზული ფინანსური კრიზისის წარმოქმნას უდებს საფუძველს. ბანკების უმრავლესობა იძულებული გახდება, გადახედოს თავის საინვესტიციო პოლიტიკას, შეიცვლება სესხისა და მცირე ბიზნესის მოქმედების პრინციპები და პირობები. მცირე ბანკების ფინანსური ბრუნვა საგრძნობლად შემცირდება. ფულის შემცირება მოსალოდნელია ორი ძირითადი მიზეზით – მოიმატებს დაუბრუნებელი ვალების რაოდენობა და შემცირდება ნდობის ფაქტორი ფინანსური სტრუქტურების მიმართ, რაც დაკავშირებული იქნება საერთო ეკონომიკურ და პოლიტიკურ არასტაბილურობასთან. საზოგადოების მიერ ხარჯვის ძირითადი კრიტერიუმები დაკავშირებული იქნება განათლებასთან, მოგზაურობასთან, სულიერ ფასეულობებსა და განვითარებასთან. ბიზნესმენები მეტად დააბანდებენ ფულს სპორტში, მედიცინასა და ეკლესიების მშენებლობის სფეროებში. მრეწველობაში კაპიტალდაბანდება კი ნაკლებად რენტაბელური გახდება, რაც გაზრდის უმუშევრობას ინდუსტრიულ ზონებში. მოიმატებს ფინანსური შემოსავლის მიღების შესაძლებლობა არაოფიციალური ან საიდუმლო წყაროებიდან. ფინანსური კრიზისის უმაღლესი წერტილის მიღწევა მოსალოდნელია აგვისტო-სექტემბერში, არაერთი ქვეყანა აღმოჩნდება ვალუტის კურსის სერიოზული ცვლილებისა და დეფოლტის საშიშროების წინაშე.

***– ბატონო მიხეილ, რა არ უყვარს დრაკონს?***

– პირდაპირი და უკომპრომისო დრაკონი ვერ იტანს ორპირობასა და ორმაგ თამაშს. მისი კეთილგანწყობა რომ დაიმსახუროთ, იყავით კეთილსინდისიერი. ენერგეტიკული თვალსაზრისით წელიწადი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ენერგომუხტის მატარებელია 12 ზოდიაქოს შორის. დრაკონი, განსხვავებით კატა-კურდღლისგან, ყოველთვის მზად არის ბრძოლისთვის. ამ მითოლოგიურ ცხოველს ასევე უყვარს განძეულობის შეგროვება და მისი დაცვა, თუმცა, მისი მთავარი შესაძლებლობა ვლინდება ემოციურ დონეზე, ამიტომაც 2012 წელი ითხოვს ურთიერთობებში მეტ მოთმინებასა და თავდაჭერას, რათა ზედმეტი ეჭვიანობისა და ვნების მეშვეობით ახლობლები და მეგობრები არ დაზიანდნენ.

***– უნდა ველოდოთ თუ არა რაიმე განსაკუთრებულს 2012 წელს?***

– ივნისში გამარჯვების მმართველი პლანეტა იუპიტერი გადაინაცვლებს ტყუპების ზოდიაქოში და მოგვიტანს ბევრ საინტერესო ინფორმაციას, შეხვედრებს, მოლაპარაკებებს. ეს წელიწადი სწავლისთვის, კომუნიკაციისთვის ფრიად მნიშვნელოვანია. წლის მეორე ნახევარში ნუ იჯდებით ზედმეტად სახლში, იყავით აქტიური, იმოგზაურეთ, იპოვეთ ახალი ნაცნობები, რომელთაგან ბევრ საინტერესოს ისწავლით.


მიხეილ ცაგარელი

***– კონკრეტულად რომელიმე სფეროს წარმომადგენლებისთვის თუ არის დრაკონის წელიწადი გამორჩეული?***

– 2012 წელი იდეალურია ჟურნალისტებისთვის, მწერლებისთვის, მთარგმნელებისთვის, პედაგოგებისთვის. განვითარებისთვის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს მიიღებენ მიწის სტიქიის ნიშნები – კურო, ქალწული, თხის რქა. წლის მეორე ნახევარში ფორტუნა გაუღიმებს ჰაერის სტიქიის ნიშნებს – ტყუპებს, სასწორებს, მერწყულებს. შედარებით რთული ტენდენციების წელიწადია მორიელისთვის. საიდუმლო და ფარული პლანეტა ნეპტუნი დაბრუნდება თავის საყვარელ თევზების ზოდიაქოში, რის გამოც ადამიანები უფრო მგრძნობიარენი გახდებიან, რაც ხელს შეუწყობს უამრავი ახალი ხელოვნების ნიმუშის, ლიტერატურის, პოეზიის ნაწარმოებების შექმნას. იგი ადამიანებში გააღვივებს გულმოწყალებას.

***– 2012 წელი ნაკიანია. ასტროლოგიური ხედვით, ეს რამეს ნიშნავს?***

– დრაკონის წელიწადი ყოველთვის ნაკიანია. ამის მიუხედავად, ჩინურ ასტროლოგიაში იგი მაინც ითვლება ბედნიერად. ასეთ წელიწადს ოპტიმიზმითა და კეთილგანწყობით უნდა მივუდგეთ.

***– ბატონო მიხეილ, როგორ შევხვდეთ 2012 წელს?***

– ახალ წელს უნდა შევხვდეთ რაც შეიძლება მხიარულად, ადამიანთა დიდ ჯგუფთან ერთად, ხმაურიან და რიტმულ მუსიკასთან, ცეკვასთან, სიუპრიზებთან, კონკურსებთან, იუმორთან ერთად. 31 დეკემბრის დილასაც კი თუ დაიწყებთ ვარჯიშით, აერობიკით ან ცეკვით, ამით უკვე სასიკეთოდ ჩაერთვებით მომავალი წლის რიტმში. ვინც რამე მიზეზით ამ დღესასწაულს განმარტოებით ხვდება, ვთხოვთ, გული არ გაიტეხონ – დამიჯერეთ, თქვენი მარტოობა მალე დასრულდება. ამიტომ აუცილებლად გაშალეთ საახალწლო სუფრა და მიირთვით ახალი, ბედნიერი წლის სადღეგრძელო. ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე წუთით ადრე აზრობრივად მადლობა გადაუხადეთ წარმავალ კატა-კურდღლის წელიწადს და გაიხსენეთ რაც შეიძლება მეტი პოზიტიური მოვლენა 2011 წლისა. იფიქრეთ მხოლოდ კარგზე, სიკეთესა და სამართლიანობაზე.

***– როგორ გავშალოთ საახალწლო სუფრა?***

– ვინაიდან 2012 წლის მმართველი სტიქია წყალია, ამიტომ საახალწლო სუფრაზე დიდი რაოდენობით უნდა იყოს წარმოდგენილი ზღვის პროდუქტები – თევზეული, მოლუსკები, ზღვის კომბოსტო, მიდიები. რადგან დრაკონი ნებისმიერ საკვებს მიესალმება, ამიტომ საახალწლო სუფრასაც შეზღუდვები არ გააჩნია. მთავარია, რომ საკვები იყოს განზავებული მრავალფეროვანი სანელებლებით, „ცეცხლოვანი“ სპეციებით (კარდამონით, ნუშით, მიხაკით, წიწაკით). მას უყვარს ცხარე საკვები, მათ შორის აჯიკა. საახალწლო სუფრა სავსე უნდა იყოს საკვებით და სასმელით. ითვლება, რომ თუკი სუფრის რომელიმე წევრს რაიმე საკვების დამატება მოუნდება და ის აღარ იქნება, მაშინ ამ სუფრის მასპინძელს მთელ წლის განმავლობაში მუდმივად რაღაც დააკლდება. სასურველია, სუფრაზე იდოს გოგრისგან დამზადებული ნებისმიერი კერძი, ეცადეთ, ჩინური კერძებიც დააგემოვნოთ. სუფრას სასიკეთო ელფერს შესძენს ხორცეულის ნაწარმი. დრაკონს ესიამოვნება, თუკი ხორცის კერძს დაასხამთ სპირტს და მას ცეცხლს წაუკიდებთ. იგივე ფოკუსი შეიძლება განხორციელდეს ხილის კერძთანაც. საახალწლო სუფრაზე საკვები უხვად უნდა იყოს წარმოდგენილი – ხილი, ნამცხვრები, ბოსტნეული, თევზეული, ხორცეული, ტკბილეული. დააწყვეთ სუფრაზე ეგზოტიკური ხილიც – ბანანი, ანანასი. ყურადღება მიაქციეთ სასმელებსაც. კარგი იქნება, თუ ბოთლები გაფორმებული იქნება „აპლიკაციებით“. დალევით კი ნებისმიერი სასმელი შეგიძლიათ მიირთვათ – შამპანური, ღვინო, კონიაკი, ლიქიორი. კარგია, თუკი სუფრაზე დადგამთ ჭურჭელს თევზების ან ზღვასთან და წყალთან ასოცირებული სილუეტების თემაზე. სუფრაზე დადგით მწვანე ან ყვითელი ფერის სანთლები და აანთეთ. სასურველია, სანთლების რაოდენობა იყოს 5, თუმცა, მათგან რამდენი იქნება მწვანე და რამდენი ყვითელი, ამას მნიშვნელობა არა აქვს. სანთელი აუცილებელია სუფრაზე, რადგან წყლის სტიქიასთან ერთად ცეცხლის სტიქია დრაკონის საყვარელი და მმართველი სტიქიაა. საახალწლო მაგიდაზე აუცილებლად მოათავსეთ დრაკონის ფიგურა, უმჯობესია კერამიკისგან, ბროლისგან ან ხისგან დამზადებული, ნაკლებად – ლითონის დრაკონი. ერთი მნიშვნელოვანი შტრიხიც არ დაგავიწყდეთ – კარგია, თუკი მაგიდის სუფრა თეთრი ფერის იქნება.

***– როგორ მოვრთოთ ნაძვის ხე?***

– განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეთ ნაძვის ხეს. ეცადეთ, ნაძვის ხე იყოს ცოცხალი, სიმეტრიული ფორმებით. დრაკონს უყვარს ყველაფერი სუფთა და სიმეტრიული. ნუ გადატვირთავთ ნაძვის ხეს სათამაშოებით. ფერების თვალსაზრისით პრიორიტეტი მიანიჭეთ სამ ფერს – თეთრს, ნარინჯისფერს (ოქროსფერს) და ვერცხლისფერს. ნაკლებად უნდა იყოს წარმოდგენილი ლურჯი, მწვანე და წითელი ფერები. თუკი ცოცხალ ნაძვის ხეს ვერ დადგამთ, მისაღებია, ხელოვნური ნაძვის ხე იყოს თეთრი, ოქროსფერი ან მწვანე. ნაძვის ხის გვერდით აუცილებლად დადგით ჩიჩილაკი, შემოსასვლელი კარი კი მორთეთ ნაძვის ტოტებით, მოაბით ამ ტოტებს ბაფთები, რომლებიც ყვითელი და მწვანე ფერის იქნება.

***– ბატონო მიხეილ, ახალი წელი ერთ-ერთი გამორჩეული დღესასწაულია, ამიტომ სპეციალურად ამ დღისთვის უამრავი ადამიანი იკერავს ან ყიდულობს ახალ სამოსს. მაინც, რა ჩავიცვათ საახალწლო ღამეს?***

– ტანსაცმელში უმთავრესი შავი ფერია, რომელთანაც კომბინაცია შესაძლებელია მწვანე, ოქროსფერი, ყვითელი, ლურჯი, ნარინჯისფერი, მცირეოდენი რაოდენობის წითელი ფერებისა, მათ შორის ამ ფერის აქსესუარების სახით. კარგია ძვირფასი აქსესუარებისა და მინერალების მაქსიმალურად გამოყენება, ბრჭყვიალა ელემენტების გამოყენება ტანსაცმელსა და ვარცხნილობაში.

***– ახალ წელს საჩუქარი ყველაზე აქტუალური საკითხია. რა ვაჩუქოთ ახალი წლის ღამეს საყვარელ ადამიანებს?***

– ახალი წლის დღესასწაული, გარკვეულწილად, საჩუქრის შეძენის პრობლემას ქმნის, ხშირად ადამიანებს უჭირთ საჩუქრების არჩევა. დრაკონის წელიწადი ამ მხრივად მეტად მარტივია, რადგან საჩუქრებში წელს შეიძლება აბსოლუტურად ყველაფერი იქნეს შერჩეული – სურათი, ჭურჭელი, ჩაი, სკულპტურა, საათი, მობილური ტელეფონი. ეცადეთ, შეძლებისდაგვარად მაქსიმალური რაოდენობის ადამიანებს უძღვნათ საჩუქარი. თუ არ გაქვთ საშუალება საჩუქრის გადაცემისა, მაშინ გაუგზავნეთ ამ ადამიანებს მისალოცი წერილი ან ელექტრონული ფოსტით უსურვეთ ბედნიერება. ეცადეთ, ახალი წლის ღამე მეტად მხიარულად და არაორდინარულად გაატაროთ, რათა დრაკონმაც მთელი წლის განმავლობაში სათანადო ყურადღება მოგაქციოთ.

***– ბატონო მიხეილ, თუ არის განსაკუთრებული რჩევები, რომლებიც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ახალ წელს?***

– გაითვალისწინეთ – რაც მეტ საჩუქარს გასცემთ ახალ წელს ფინანსური კუთხით მით უფრო სტაბილურად წარიმართება ახალი წელიწადი. 31 დეკემბერს ნუ გაიტანთ ნაგავს სახლიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, პრობლემები მოგეძალებათ ფინანსური თვალსაზრისით. ახალი წლის დადგომის წინ დაივიწყეთ ცუდი, წყენა. აპატიეთ ყველას, შინაგანად შეურიგდით მათ. 5 წუთით ადრე ახალი წლის დადგომამდე კარგი იქნება, თუ მანდილოსნები რაიმე მოსასხამს მოისხამენ მხრებზე, ზედ ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე წამით ადრე კი სწრაფად მოიძრობენ მოსასხამს და ამით ყოველივე ცუდს დაუტოვებენ წინა წელიწადს. ახალი წლის დადგომამდე შეიძლება სანთლის ანთებით ან ამის გარეშეც შინაგანად ჩაუთქვათ რაიმე ოცნება, სურვილი, რომელიც გინდათ, რომ ახდეს. შეიძლება ამ სურვილის ქაღალდზეც დაწერა, შემდეგ დაწვით იგი, ფერფლი ჩააგდეთ შამპანურით სავსე ჭიქაში და დალიეთ, რაც ერთიორად გააძლიერებს თქვენი სურვილის ასრულების შესაძლებლობას. არ დაგავიწყდეთ, ახალ წელს ყოველთვის მოაქვს ახალი იმედები, ამიტომ მოახდინეთ თქვენი ძალების მობილიზება, რათა დღესასწაულმა ლამაზად და კარგად ჩაიაროს, რომ წელიწადმა მიიღოს ასეთივე ლამაზი და ბედნიერი იერსახე. ნუ დაგავიწყდებათ, რომ დრაკონი ის ცხოველია, რომელიც ადამიანს სიმდიდრეს, კეთილშობილებას, ჰარმონიასა და დღეგრძელობას ჩუქნის.

# ოლიმპიური ოთხეული

**საკალათბურთო სუპერლიგის 2011–2012 წლების მიმდინარე სეზონის პირველი წრე დასასრულს მიუახლოვდა. სუპერლიგის ბოლო მე–11 ტური 24 დეკემბერს ჩატარდება და პირველი წრეც ამით დამთავრდება. საინტერესოა, როგორ აფასებენ სუპერლიგაში მოასპარეზე მოთამაშეები მიმდინარე სეზონს და როგორია მათი მოსაზრება ჩემპიონატსა და მასში მონაწილე გუნდებზე, უცხოელ მოთამაშეებსა და სხვა აქტუალურ თემებზე. საქართველოს სუპერლიგის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ინტერვიუ „ოლიმპის“ ლეგიონერებთან. ილიცა მილუტინოვიჩს, ნიკოლა ტუტუსს, ნიკიცა სლიუკასა და ივო ჰოგერს არა მხოლოდ საკალათბურთო თემებზე ვესაუბრეთ, არამედ ტრადიციულად სხვა დამატებით და საინტერესო ცხოვრებისეულ დეტალებზეც.**



***– სუპერლიგის პირველი წრის ბოლო მე-11 ტურში საკმაოდ მნიშვნელოვანი და საინტერესო შეხვედრა გელით „არმიასთან“. როგორ ემზადებით ამ დაპირისპირებისთვის და რა არის თქვენი მიზანი კონკრეტულ მატჩში?***

**ილიცა მილუტინოვიჩი:** დიახ, საკმაოდ მნიშვნელოვანი შეხვედრაა, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ განსაკუთრებით დიდი დატვირთვით ვვარჯიშობთ. დღის დიდ ნაწილს დარბაზში ვატარებთ და ვმუშაობთ სტრატეგიის დახვეწაზე. მიუხედავად იმისა, რომ „არმია“ ძლიერი მეტოქეა, მიმაჩნია, რომ სწორი თამაშით მისი დამარცხების რეალური შანსი გვაქვს. ჩვენ არ ვითვლებით მატჩის ფავორიტებად და პრინციპში ამას არც არავინ მოითხოვს. არ ვართ გარკვეული წნეხის ან სტრესის ქვეშ. ჩვენ ჩვენს თამაშს ვაჩვენებთ და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ კარგი და სანახაობრივი მატჩი გამოვიდეს. ბურთი მრგვალია და არასდროს იცი საით გაგორდება.

**ნიკიცა სლიუკა:** ბევრს ვვარჯიშობთ და მატჩისთვის ვემზადებით. ვფიქრობ, ნამდვილად შეგვიძლია მათი დამარცხება. შეიძლება „არმია“ გამოკვეთილი ფავორიტია, მაგრამ ჩვენ უფრო ძლიერები ვართ და აუცილებლად შევძლებთ გამარჯვებას.

**ნიკოლა ტუტუსი:** „არმიამ“ ევროჩელენჯზე ითამაშა და საკმაოდ დიდი გამოცდილებაც მიიღო, თუმცა მიმაჩნია, რომ სწორი თამაშის ხარჯზე მისი დამარცხება სავსებით შესაძლებელია. ჩვენმა გუნდმა ჩინებულად ითამაშა „დინამოსთან“. ასეთი თამაშის წყალობით ჩვენი დამარცხება იოლი ნამდვილად არ იქნება.

**ივო ჰოგერი:** საერთოდ არ ვღელავ. ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია მათი დამარცხება თუკი გუნდურად ვითამაშებთ და კარგ კალათბურთს ვაჩვენებთ.

***– „არმიის“ ყველაზე ძლიერ მხარედ რა მიგაჩნიათ და რაზე გააკეთებთ აქცენტს ამ მატჩში?***

**ილია მილუტინოვიჩი:** ნებისმიერ თამაშში ყველაზე მნიშვნელოვანი დაცვაში კარგად თამაშია. რაზეც მაქსიმალურად ვიქნებით კონცენტრირებულნი. „არმია“ ძალიან კარგი გუნდია და ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა მოგვიწევს.

**ნიკოლა ტუტუსი:** ისინი მაღალი კლასის კალათბურთს თამაშობენ და ეს ევროჩელენჯზეც გამოჩნდა. „არმია“ გამოცდილი და ძლიერი მოთამაშეებით დაკომპლექტებული გუნდია. ამ მატჩში ჩვენი მთავარი მიზანი გამარჯვება იქნება, თუნდაც ერთი ქულით.

***– როგორ ფიქრობთ, არმიის გუნდის წამყვანი ფიგურა რომელი მოთამაშეა?***

**ნიკოლა ტუტუსი:** „არმიის“ ყველა მოთამაშე ერთმანეთთან ჩინებულადაა შეთამაშებული, ისინი აქტიურად თამაშობენ და ვფიქრობ, რომ ჩვენ არავინმე კონკრეტული მოთამაშის წინააღმდეგ მოგვიწევს თამაში, არამედ მთლიანად გუნდის წინააღმდეგ. მთავარია, მათი შეტევები მოვიგერიოთ, დაცვაში კარგად ვითამაშოთ და სწრაფი კონტრშეტევები განვახორციელოთ. აღვნიშნავდი „არმიის“ ახალ მოთამაშე ბენჟამენ ვუდსაიდს, რომელიც საკმაოდ სწრაფია. სათამაშო 40 წუთიდან ორმოცივე დაძაბული იქნება ჩვენთვის და ამიტომ მატჩზე მაქსიმალური კონცენტრაციის მოხდენა მოგვიწევს.

***– როგორ შეაფასებთ სუპერლიგის მიმდინარე სეზონის პირველ წრეს?***

**ილიცა მილუტინოვიჩი:** ჩვენ ყველა გუნდთან მოგვიწია თამაში და ვფიქრობ, რომ მეტ-ნაკლებად გავამართლეთ ის მოლოდინი, ჩვენ მიმართ რომ არსებობდა.

**ნიკიცა სლიუკა:** სეზონის პირველ და მეორე ნაწილს შორის ძალიან დიდი განსხვავება იქნება. გუნდებმა ბევრი ძლიერი მოთამაშე დაიმატეს და შესაბამისად, მეორე წრე ბევრად უფრო საინტერესო და დაძაბული გამოვა.

**ივო ჰოგერი:** ყველაფერმა საკმაოდ კარგად ჩაიარა. როგორც პირადად ჩემთვის, ასევე ჩვენი გუნდისთვის. ვფიქრობ, რომ ფინალამდეც მივალთ.

***– მიმდინარე სეზონში რომელი თამაში იყო ყველაზე რთული?***

**ილიცა მილუტინოვიჩი:** პირადად ჩემთვის ყველაზე რთული პირველი თამაში იყო. ამის მიზეზი ისაა, რომ ახალი ჩამოსული ვიყავი, 7 საათი ვიმგზავრე და მხოლოდ 4 საათი მეძინა. რაც შეეხება გუნდს, ალბათ ყველაზე მეტად „ქუთაისთან“ გაგვიჭირდა, როდესაც გიორგი გამყრელიძე მოედნიდან გააძევეს. არ გაგვიმართლა და დაძაბულ მატჩში მარცხი ვიწვნიეთ. საკმაოდ ბევრი შეცდომა დავუშვით, თავიდან თამაში ჩვენი უპირატესობით დაიწყო, რაც ვერ შევინარჩუნეთ, სუსტად ვითამაშეთ და ალბათ ამის მიზეზი ის იყო, რომ ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი მოთამაშე გაგვიგდეს მოედნიდან.

***– წინა ტურში სამედიცინოსთან ითამაშეთ, რომელიც ამ მატჩში ფავორიტად არ მიიჩნეოდა... რას იტყვით ამ შეხვედრასთან დაკავშირებით?***

**ილიცა მილუტინოვიჩი:** ვერ ვიტყვი, რომ სამედიცინო სუსტი გუნდია. ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული და ორი ლეგიონერიც ირიცხება მათ რიგებში. მოთამაშეები ერთმანეთში ჩინებულად არიან შეთამაშებულნი. ნამდვილად არ ყოფილა იოლი თამაში, ისინი საკმაოდ დიდ წინააღმდეგობას გვიწევდნენ.

**ნიკოლა ტუტუსი:** კარგი თამაში გამოვიდა. გამყრელიძემ შესანიშნავი პასი მომცა და კარგი კომბინაცია გამოგვივიდა, ჩინებულად შევთამაშდით.

***– ქართულ კალათბურთზე რას ფიქრობთ?***

**მილუტინოვიჩი:** სიმართლე გითხრათ, სანამ აქ ჩამოვიდოდი, ქართულ კალათბურთზე ბევრი არაფერი ვიცოდი. თქვენი ნაკრების თამაშები ტელევიზიით მქონდა ნანახი და ვიცოდი, ვინ იყო ზაზა ფაჩულია, რომელიც ნბა-ში თამაშობს. როცა აქ ჩამოვდიოდი, ზუსტად არ ვიცოდი, რისი მოლოდინი უნდა მქონოდა, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ ყველაფერი კარგადაა. მე მომწონს კალათბურთის დონეც, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამაა დასახვეწი. საკმაოდ კარგი ლიგაა ძლიერი გუნდებითა და ძლიერი მოთამაშეებით. ქართული კალათბურთი აშკარად წინ მიდის, თქვენ ევროჩელენჯზეც ითამაშეთ, ეს კი უკვე წინ გადადგმული სერიოზული ნაბიჯია.

**ნიკიცა სლიუკა:** ქართულ კალათბურთზე ბევრი არაფერი ვიცოდი, მხოლოდ ის, რომ წელს პირველად მონაწილეობდით ევროჩელენჯზე.

**ნიკოლა ტუტუსი:** აქამდე არაფერი ვიცოდი არც სანაკრებო და არც ლიგის დონეზე. კალათბურთის დონე სულ უფრო და უფრო მატულობს საქართველოში და ეს ძალიან მახარებს.

**ივო ჰოგერი:** ქართული კალათბურთი საკმაოდ ჩქარი ტემპებით ვითარდება. აქ ბევრი უცხოელი მოთამაშეა ჩამოსული, თუმცა საზღვარგარეთაც ასპარეზობენ ქართველი ლეგიონერები, თან საკმაოდ წარმატებულად. ვფიქრობ, რომ ეს უკვე ბევრს ნიშნავს.

***– როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია ქართულ კალათბურთში წინსვლა?***

**ილიცა მილუტინოვიჩი:** რა თქმა უნდა, ეროვნული ნაკრების წარმატებამ ევროპის ჩემპიონატზე. თქვენ ჩინებული ნაკრები გყავთ. იგორ კოკოშკოვის გუნდი ძლიერი და ნიჭიერი მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული. ფაქტია, რომ ქართველ ახალგაზრდებს აქვთ ტალანტი და ყველა შესაძლებლობა უკეთესი შედეგისთვის, უბრალოდ, ბევრად მეტი მუშაობაა საჭირო. ბუნებრივია, რომ სუპერლიგაში ლეგიონერების რაოდენობის ზრდამაც გარკვეული წვლილი შეიტანა კალათბურთის წინსვლაში.

**ნიკიცა სლიუკა:** უცხოელი მოთამაშეების სიმრავლე ხელს უწყობს კალათბურთის განვითარებას და კლასის ამაღლებას.

***– გუნდის სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით?***

**ილიცა მილუტინოვიჩი:** იანვარში გავივლით შეკრებას ხორვატიაში, 4 რიცხვში გავემგზავრებით. ცოტას დავისვენებთ და ბევრს ვივარჯიშებთ.

**ნიკიცა სლიუკა:** ხორვატიაში 4 თამაში გველის საკმაოდ ძლიერ გუნდებთან, რომელთაგანაც ერთ-ერთი ევროლიგაში თამაშობს, დანარჩენები კი საშუალო დონის კლუბებია. ამხანაგური მატჩები გამოცდილებას შეგვძენს და სათანადოდ მოგვამზადებს სეზონის მეორე წრისთვის.



***– „ოლიმპში“ თავს როგორ გრძნობთ, როგორი ატმოსფეროა გუნდში?***

**ილიცა მილუტინოვიჩი:** თავიდან იყო ისეთი რაღაცები, რაც არ მომწონდა ან ვერ ვეგუებოდი, მაგრამ ეს ყოველთვის ასეა, როდესაც გარემოს იცვლი. დღეს უკვე ძალიან კარგად ვგრძნობ თავს გუნდში, მშვენივრად მოვეწყე და კმაყოფილი ვარ. არაჩვეულებრივი თანაგუნდელები მყავს. შესანიშნავი ბიჭები არიან და მათთან ძალიან ახლო და მეგობრული ურთიერთობა ჩამომიყალიბდა. ყველასთან მაქვს კონტაქტი და ნელ-ნელა ერთი ოჯახივით ვხდებით. ვფიქრობ, ხორვატიის შეკრება ამას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს. გუნდში ნამდვილად კარგი გარემოა. მოედანზეც მშვენივრად ვეწყობით ერთმანეთს და არასათამაშო გარემოშიც კარგ დროს ვატარებთ ერთად.

**ნიკიცა სლიუკა:** თავს კომფორტულად ვგრძნობ გუნდში. თქვენი ქვეყანა ძალიან მომწონს და ახალ გარემოსთანაც არ გამჭირვებია შეგუება. სხვადასხვა ქვეყანაში არაერთხელ მითამაშია და მიჩვეული ვარ ასეთ სიტუაციებს.

***– რას იტყვით ასაკობრივ ჩემპიონატებზე, ჩვენ რამდენჯერმე გნახეთ აკადემიის დარბაზში თამაშებზე.***

**ილიცა მილუტინოვიჩი:** ჩემი თანაგუნდელები 20-წლამდელთა ჩემპიონატშიც ასპარეზობენ და საკმაოდ წარმატებულადაც. მაგალითად, ერთ-ერთ თამაშზე, რომელსაც მეც დავესწარი, ლუკა მინაშვილმა 30 ქულა მიითვალა, რომელსაც ყველანი ვაქებდით და კობის ვეძახდით... იცით ასაკობრივი ჩემპიონატები ძალიან მნიშვნელოვანია მომავალი თაობისთვის და კალათბურთელების აღსაზრდელად. მე თვითონ ვთამაშობდი გერმანიის ასაკობრივ ჩემპიონატში, სადაც უამრავი რამ ვისწავლე და დიდი გამოცდილებაც მივიღე. ძალიან მიხაროდა, რომ გერმანიაში მოვხვდი.

***– თავისუფალ დროს რითი ერთობით თბილისში?***

**ილიცა მილუტინოვიჩი:** თბილისი საკმაოდ დიდი ქალაქია და მეტ-ნაკლებად მოვახერხე მისი დათვალიერება. ქალაქი ძალიან მომეწონა და გასართობი ადგილიც უამრავია, თუმცა არ შემიძლია განსაკუთრებით არ გამოვყო ქართველი ხალხი, რომელიც ძალიან თბილი და მზრუნველი ერია. ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ, მაგრამ ასეთი ღია და კეთილი ხალხი არსად შემხვედრია. ჩემთვის ეს ნამდვილი სიურპრიზი იყო. ძირითადად თავისუფალ დროს ნიკოლასთან და ნიკიცასთან ერთად ვატარებ. გასართობადაც დავდივართ ხოლმე, თუმცა დროის უმეტეს ნაწილს მაინც სახლში ვატარებთ, ვარჯიშებზე ძალიან ვიღლებით და ძირითადად შინ ვისვენებთ, ვუყურებთ ტელევიზორს, ან ვიდეო თამაშებითა და სოციალურ ქსელებით ვირთობთ თავს. ძალიან მინდა მცხეთის დათვალიერება და იმედია აუცილებლად მომეცემა ამის საშუალება.

**ნიკიცა სლიუკა:** ძირითადად სახლში ვართ, ზოგჯერ სადმე ბარში ან კაფეში მივდივართ, ზოგჯერ კი უბრალოდ ქალაქს ვათვალიერებთ. ჩემთვის ეს ქვეყანა ძალიან უცნაურია, იმიტომ, რომ ყველანაირად განსხვავდება ჩემი სამშობლოსგან.

**ივო ჰოგერი:** ძირითადად სახლში ვართ ხოლმე, მაგრამ მაინც საკმაოდ კარგად ვერთობით. თბილისში ყველაზე მეტად მაღაზიებში სიარული მიყვარს. სხვათა შორის, ამას წინათ მცხეთაში ვიყავი და ძალიან მომეწონა.

***– ივო რატომ გადაწყვიტეთ კალათბურთის თამაში, სიმაღლის გამო ხომ არა?***

– 15 წლამდე ფეხბურთს ვთამაშობდი, თუმცა მერე სიმაღლის გამო გადავწყვიტე კალათბურთით დავკავებულიყავი. ჩემი ოჯახიდან არავინ თამაშობდა კალათბურთს. ბაბუა მყავდა ძალიან მაღალი (2.25 მეტრი) და მას დავემსგავსე.

***– კალათბურთში თქვენს ძლიერ და სუსტ მხარეებზე რას იტყვით?***

**ნიკოლა ტუტუსი:** ჩემი სუსტი მხარე ალბათ ისაა, რომ თამაშის დროს ბევრს ვფიქრობ, რაც ხშირად მიშლის ხელს და კიდევ ტრავმიანობას ხშირად ვუჩივი.

**ივო ჰოგერი:** ალბათ ის, რომ ნელი ვარ და ეს ჩემი სიმაღლის ბრალია.

***– რომელია თქვენი საოცნებო კლუბი?***

**ილიცა მილუტინოვიჩი:** მსურს ჩემი ქვეყნის ნაკრებში ვითამაშო, ვთვლი, რომ ყველა კალათბურთელისთვის ეს უდიდესი მიღწევაა.

**ნიკიტა სლიუკა:** არსებითი მნიშვნელობა არ აქვს რომელ გუნდში ვითამაშებ, მთავარია კარგად ვითამაშო და კლუბში თავს კარგად ვგრძნობდე კომუნიკაციის თვალსაზრისით. ამჟამად ჩემთვის მთვარი მიზანი ამ ჩემპიონატის მოგებაა.

***– ჰობი გაქვთ?***

**ნიკიცა სლიუკა:** კი, გიტარაზე ვუკრავ და ვმღერი.

**ნიკოლა ტუტუსი:** მუსიკა და ძილი. ძალიან მიყვარს ბილიარდის თამაში.

***– საახალწლოდ რა გეგმები გაქვთ?***

**ილიცა მილუტინოვიჩი:** ნაძვის ხე მექნება აუცილებლად. წელს პატარა ბავშვივით მიხარია ეს დღესასწაული. პირველი წრის დასრულების შემდეგ შინ დავბრუნდები და შეკრებამდე იქ დავრჩები. სამწუხაროდ, საშობაოდ ვერ ვიქნები ოჯახთან, თუმცა იმითაც ბედნიერი ვარ, რომ ახალ წელს მათთან ერთად გავატარებ. 6 წელია ოჯახთან ერთად არ შევხვედრივარ დღესასწაულებს.

**ნიკიცა სლიუკა:** ახალ წელს სახლში, ჩემი ოჯახის წევრებთან ერთად გავატარებ. საშობაოდ უკვე შეკრებაზე ვიქნებით. ოჯახი ძალიან მომენატრა, 2 თვეა არ მინახავს ისინი და მიხარია, რომ ტრადიციულად მთელი ოჯახით აღვნიშნავთ ამ დღესასწაულს.

***– რჩეული თუ გყავთ?***

**ნიკიცა სლიუკა:** დიახ, მაგრამ ის საქართველოში არ არის. ჩემი რჩეულიც კალათბურთელია და სხვა ქვეყანაში თამაშობს. შესაბამისად, ჩემთან აქ ვერ ჩამოვა. დაოჯახებას 2-3 წელიწადში ვგეგმავთ, თუმცა გადაჭრით ვერ გეტყვით, შეიძლება ბევრი რამ შეიცვალოს.

**ივო ჰოგერი:** თოთხმეტი წლიდან სულ ვმოგზაურობ და დიდად არ მიჭირს, მიჩვეული ვარ ასეთ ცხოვრებას. რა თქმა უნდა, მენატრება ჩემი ოჯახი და ვნახულობ ხოლმე მათ, როცა ამის საშუალება მეძლევა. შვილი მყავს, მეუღლეს კი გაშორებული ვარ.

**ნიკოლა ტუტუსი:** შინ, მეუღლესთან და შვილთან ვბრუნდები. მათთან ერთად ვაპირებ აღვნიშნო ეს დღესასწაულები. ივლისში 2 წელი გახდება, რაც დავოჯახდით. ძალიან მიჭირს მათ გარეშე ყოფნა, თუმცა მეორე წრისთვის ისინი ჩემთან ერთად იქნებიან საქართველოში და ყველაფერი კარგად იქნება.

# თორნიკე შენგელია: „აშშ-ში გადასვლის სურვილი ნამდვილად მაქვს“

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და ბელგიური „შარლერუას“ ფორვარდმა თორნიკე შენგელიამ ფეხის ტრავმა მიიღო. ექიმების პირველადი ვერდიქტი საკმაოდ მძიმეა – 20 წლის ქართველ კალათბურთელს დატვირთვები ორი თვით აეკრძალა. შენგელიამ ფეხი ევროლიგის ჯგუფური ეტაპის მე-8 ტურში, 8 დეკემბერს იტკინა. სერბულ „პარტიზანთან“ მოგებულ შეხვედრაში თორნიკემ ევროლიგაში პირადი რეკორდი (17 ქულა) მიითვალა, თუმცა თამაშისას ფეხი დაიზიანა, რამაც არასასურველ შედეგამდე მიიყვანა. შენგელიას ბელგიაში შევეხმიანეთ და ტრავმასთან ერთად სხვა საინტერესო საკითხებზეც გავესაუბრეთ.

**თორნიკე შენგელია:**

– ფეხი ორი კვირის წინ, „პარტიზანთან“ ვიტკინე და როგორც აღმოჩნდა, ტერფის ძვალი მაქვს დაზიანებული.

***– იმ მატჩის შემდეგ კიდევ ორი მატჩი ჩაატარეთ.***

– როგორც აღმოჩნდა, ევროლიგაში „არმანისთან“ და ბელგიის ჩემპიონატში „ანტვერპენთან“ გაბზარული ძვლით ვითამაშე. ფეხი კი მაწუხებდა და ძალას ვერ ვატანდი, მაგრამ არ მეგონა, თუკი ასე სერიოზული ტრავმა მექნებოდა.

***– ალბათ ამით აიხსნება, რომ ხსენებულ მატჩებში შედარებით მოკრძალებული შედეგი გქონდათ.***

– რა თქმა უნდა, მთავარი მიზეზი ეგ იყო. ნატკენ ფეხს ბოლომდე ვერ ვეყრდნობოდი და ეს ჩემს შედეგიანობაზეც აისახა. ამის შემდეგ კლუბის ექიმებმა ფეხზე რენტგენი გადამიღეს და ორი თვე ვარჯიში ამიკრძალეს.

***– ორი თვე კალათბურთს საერთოდ უნდა ჩამოშორდეთ?***

– შესაძლოა, ძვალი მოსალოდნელზე ადრე აღდგეს. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ კვლავ ჩავიტარებ გამოკვლევას და შესაძლოა დატვირთვების ნება დამრთონ, მანამდე კი მხოლოდ ინდივიდუალურად, ტრენაჟორებზე და აუზში ვივარჯიშებ, გუნდთან ერთად გამართულ მოსამზადებელ პროცესს კი ჩამოვშორდები.

***– ტრავმა ახლა განსაკუთრებით დასანანია, რადგან წლის საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშის გამოსავლენი გამოკითხვა მიმდინარეობს, რომელშიც თქვენი გვარიც ფიგურირებს.***

– ტრავმა ყოველთვის დასანანია, ხოლო რაც შეეხება გამოკითხვას, მინდა დიდი მადლობა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, ვინც ხმა ერთხელ მაინც მომცა. ჩემთვის ამ გამოკითხვაში მოხვედრა დიდი პატივია. ძალიან მიხარია, ისეთი კალათბურთელების გვერდით რომ დამაყენეს, რომლებიც ამ გამოკითხვაში მონაწილეობენ.



***– მათ ალბათ პირადად იცნობთ და რომელს გამოარჩევდით?***

– ჩემი აზრით, ყველა ღირსეული კანდიდატია. ყველა კალათბურთელს კარგად ვიცნობ და უმეტესობასთან პირადადაც მითამაშია. სამი მათგანი წლეულს ამერიკის ნაციონალურ საკალათბურთო ლიგაში გადავიდა – ენეს კანტერი, ნიკოლა მიროტიჩი და იონას ვალანჩიუნასი.

***– თქვენი აზრით, რამდენად დიდია ამ გამოკითხვაში გამარჯვების შანსი?***

– ეს ის შემთხვევაა, როცა ჩემს თავზე არ ვარ დამოკიდებული. ვისაც მეტი ადამიანი დაუჭერს მხარს, გამარჯვებულიც ის იქნება. არ მაქვს საფუძველი, რომ გამოკითხვის მოგებაზე ვისაუბრო. ჩემთვის ამ გამოკითხვაში მოხვედრა უკვე მნიშვნელოვანი წარმატებაა.

***– ევროპიდან ნბა ყოველწლიურად იღებს მნიშვნელოვან შევსებას. გამოკითხვაში მოხვედრილ მოთამაშეებს ამერიკაში გადასვლის რეალური შანსი აქვთ. ამ მხრივ თქვენს გეგმებზე რას გვეტყვით?***

– ამ ეტაპზე ნბა-ს პერსპექტივაზე საუბარი ნაადრევია. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, ისე კი, აშშ-ში გადასვლის სურვილი ნამდვილად მაქვს.

***– თქვენი აზრით, ის თამაში, რასაც მიმდინარე სეზონში აჩვენებთ, საკმარისია საიმისოდ, რომ დრაფტზე წარმატების იმედი გქონდეთ?***

– არ ვიცი, ასე გადაჭრით საუბარი რთულია. მიმდინარე მომენტისთვის პერსპექტიული ევროპელი მოთამაშეების რეიტინგებში პირველ ადგილზე ვინცაა, სპეციალისტები მხოლოდ მას მიიჩნევენ მომავალი დრაფტის პირველ რაუნდში მოხვედრის კანდიდატად, მეორე ადგილზე მყოფს კი სპეციალისტთა აზრით მეორე რაუნდში მოხვედრა შეუძლია. ამით იმის თქმა მინდა, რომ ამ სეზონში ნიჭიერი ამერიკელი მოთამაშეების სიჭარბეა. შესაბამისად, კონკურენცია დიდია და მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მაქსიმალური მოწადინება მმართებს, დრაფტზე წარმატებულად რომ წარვდგე. ვნახოთ, წინ საკმაოდ დიდი დროა.

***– მიმდინარე სეზონის მატჩებიდან ყველაზე მეტად რომელი დაგამახსოვრდათ?***

– პირველ რიგში ევროლიგაში „რეალთან“ დებიუტს გამოვარჩევ. ყველაზე მეტად ის მატჩი დამამახსოვრდა. ასევე ყოველთვის მემახსოვრება „პარტიზანთან“ ბელგიაში და „ეფესთან“ თურქეთში მოგებული თამაშები. პირველში 17 ქულა დავაგროვე, ხოლო სტამბოლში გამარჯვება სენსაციის ტოლფასი იყო.

***– ასაკობრივი ნაკრებებიდან უკვე თავისუფალი ხართ. აქამდე იგორ კოკოშკოვის გუნდს ახალგაზრდული ნაკრებიდან უერთდებოდით ხოლმე, ახლა კი, ზაფხულში პირდაპირ ეროვნულ ნაკრებში მოგიწევთ შეკრების გავლა. ეს, კარგია თუ ცუდი?***

– კარგია იმ მხრივ, რომ ნაკრებს დასვენებული შევუერთდები და შეკრების პირველივე დღიდან გუნდში ვიქნები. სამაგიეროდ, არ ვიქნები მომზადებული და კარგ სათამაშო ფორმაში, მაგრამ ეს ნაკლებად მნიშვნელოვანია. შესაძლოა, ამ ტრავმის მიზეზი, ახლა რომ მივიღე, გადაღლილობაა. მე ხომ უკვე რამდენიმე წელია, ფაქტობრივად შესვენების გარეშე ვთამაშობ. ექიმებმა მითხრეს, ეტყობა დატვირთვას ვერ გაუძლო და ამიტომ გაგებზარა ფეხიო.

***– ეროვნული ნაკრების ევროშესარჩევი მეტოქეები 4 დეკემბერს გაირკვა. რას იტყვით ჯგუფის ფავორიტებსა და საქართველოს ნაკრების შანსებზე?***

– ჯგუფის ფავორიტებად საქართველოსა და ბოსნიის ნაკრებებს მივიჩნევ, თუმცა არც ლატვია უნდა დავივიწყოთ. ლატვიელებთან გასულ აგვისტოში ამხანაგური მატჩები ვითამაშეთ, რომლებშიც საკმაოდ გაგვიჭირდა. საერთოდ კი, მიმაჩნია, რომ ვინც არ უნდა ყოფილიყო ჩვენი მეტოქე, წარმატების მისაღწევად ყველასთან მაქსიმალური მობილიზება დაგვჭირდებოდა. ჩვენ რეალურად შეგვიძლია ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლა, რისთვისაც არაფერი უნდა დავიშუროთ.

# ბაიერნის ისტორია – ჰაინკენსის მესამედ მოსვლა

საფეხბურთო კლუბი მიუნხენის „ბაიერნი“ – გერმანიის საფეხბურთო კლუბი ბავარიის ქალაქ მიუნხენიდან; ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კლუბი ფეხბურთის ისტორიაში; ასევე ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი კლუბი – 2 საკონტინენტთაშორისო თასით, 4 ევროპის ჩემპიონთა ლიგის ტიტულით, 1 უეფას თასის ტიტულით, 1 თასების მფლობელთა თასის ტიტულით, 21 ეროვნული ჩემპიონატით, 14 გერმანული თასით. „ბაიერნი“ საწევრო კლუბია და 132.000 წევრით მსოფლიოში სიდიდით მესამეა „ბენფიკასა“ და „ბარსელონას“ შემდეგ. „ბაიერნს“ ასევე განყოფილებები ჭადრაკში, ხელბურთში, კალათბურთში, ტანვარჯიშში, ბოულინგსა და მაგიდის ჩოგბურთში აქვს.

კლუბის მიმდინარე ხელმძღვანელობა: პრეზიდენტი – ფრანც ბეკენბაუერი; ვიცე-პრეზიდენტები – დოქტორ ფრიტე შრერერი, კარლ-ჰაინც რუმენიგე, ჰანს შიფელი; მენეჯერი – ული ჰიონესი; მწვრთნელი – იუპ ჰაინკენსი. მთავარი სპონსორია ტ-მობილე.




## პირველი გუნდი

„ბაიერნის“ ისტორია 1900 წლიდან იწყება. მისი დაარსება დაკავშირებულია ფეხბურთის ფუნქციონერ ფრანც ჯონის სახელთან, რომელიც გუნდის პირველი პრეზიდენტი იყო. გუნდის აღზევება დაიწყო 1907 წელს, როდესაც „ბაიერნი“ ახალ ბაზაზე – „ლეოპოლდშტრასეზე“ გადავიდა. გუნდის პირველი მიღწევა გახდა მიუნხენის ფეხბურთში ლიდერობა და მდგომარეობის გაუმჯობესება ფანებისთვის, რომლებსაც თამაშის ყურება უკვე დამსხდრებს შეეძლოთ. „ბაიერნი“ პირველად პოპულარული გახდა 1910 წელს, როდესაც გუნდმა აღმოსავლეთის მიწების თასი მოიგო. მომდევნო წელს მიუნხენელებმა ტიტული ისე დაიცვეს, რომ არც ერთი შეხვედრა არ წაუგიათ. მოგვიანებით გუნდში გამოჩნდა გერმანიის ნაკრების ფეხბურთელი – მაქს გაბლონსკი. ამ მოვლენის შემდეგ საქმე კიდევ უფრო უკეთესად წავიდა. 1920 წლისათვის „ბაიერნში“ გაწევრიანებული იყო 700-ზე მეტი ადამიანი და ცოტა ხანში გუნდი ისეთი ძლიერი გახდა, როგორიც დღესაა.

## პირველი ტიტული

1926 წელს „ბაიერნმა“ სამხრეთის მიწების ჩემპიონატი მოიგო, ხოლო 1932 წელს გერმანიის ჩემპიონის პირველი ტიტული მოიპოვა, მოუგო რა ფრანკფურტის „აინტრახტს“ ანგარიშით 2:0. გოლები გაიტანეს რორმა და კრუმმა, გუნდის ლიდერები იყვნენ ჰაიდკამფი და ბრაინდლი. გუნდის მწვრთნელად, მასაჟისტად, მენეჯერად და ხელმძღვანელად მუშაობდა რიჩარდ დომბი.

მეორე მსოფლიო ომმა ძალზე დიდი გავლენა მოახდინა სპორტზე. ის კიდევ უფრო დიდი ხნით ანელებდა ფეხბურთის განვითარებას. ამ კატასტროფის შემდეგ, გერმანულ ფეხბურთს სჭირდებოდა დრო, რათა დაებრუნებინა თავისი დაკარგული პოზიციები.

## ალიანს არენა

1957 წელს „ბაიერნმა“ გერმანიის თასი მოიგო. ამ უმნიშვნელოვანეს მატჩში, „აუგსბურგის“ სტადიონზე, რომელიც 42.000 ათას ადამიანს იტევდა, „ბაიერნის“ კაპიტანმა ჯობსტმა გუნდი დიუსელდორფის „ფორტუნას“ წინააღმდეგ გამარჯვებამდე მიიყვანა – „ბაიერნმა“ 1:0 მოიგო. ამ გამარჯვებას მოჰყვა ხანმოკლე წარუმატებლობები. მეტიც, 1963 წელს „ბაიერნი“ არ იქნა დაშვებული ახლად დაარსებულ ბუნდესლიგაში, მაგრამ ორი წლის შემდეგ, გუნდმა ბუნდესლიგის სიმაღლეების დაპყრობა დაიწყო. ამ დროს გუნდის მწვრთნელი იყო ზლატკო ცარკოვსკი. კლუბი შევიდა მისი უდიდესი წარმატებების პერიოდში – ფრანც ბეკენბაუერისა და კომპანიის ხანაში.

როდესაც ფრანც ბეკენბაუერი „ბაიერნში“ გადავიდა, მას ჰქონდა შანსი ეთამაშა „მიუნხენ 1860“-შიც. ცარკოვსკიმ იგი პლეი-ოფის თამაშებში პირდაპირ ძირითად შემადგენლობაში დააყენა, კარში ლეგენდარული ზეპ მაიერი იდგა, თავდასხმაში კი თამაშობდა გერდ მიულერი. სწორედ ამ ფეხბურთელებმა „ბაიერნს“ დიდი წარმატებები მოუტანეს. 1965-66 წლების სეზონში გუნდი მესამე ადგილზე გავიდა. ბეკენბაუერი და ზეპ მაიერი კი ნაკრებში გამოიძახეს ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატზე სათამაშოდ. სამწუხაროდ, გერმანია მხოლოდ მეორე ადგილზე გავიდა – ფინალში ინგლისთან წააგო. თუმცა სეზონი ისე არ მთავრდებოდა, „ბაიერნს“ ორი ტიტული რომ არ მოეგო. მსოფლიო ჩემპიონატის წინ გუნდმა ისევ გერმანიის ჩემპიონატი მოიგო, დაამარცხა რა ფინალში „მაიდერიხერი“ ანგარიშით 4:2.

1967 წელს „ბაიერნმა“ ევროპული მწვერვალების დაპყრობაც დაიწყო. გერმანიის თასზე „ჰამბურგთან“ მოგების შემდეგ, გუნდმა ბეკენბაუერის თავკაცობით ევროპის თასების მფლობელთა თასი მოიგო. ფრანც როტმა, დამატებით დროში, 109 წუთზე „სელტიკის“ კარში გოლი გაიტანა და გუნდს პირველი ევროპული ჯილდო მოაგებინა.

## ჩემპიონთა პირველი თასი

1968 გარდატეხის წელი იყო – ბრანკო ზებეკი, რომელმაც შეცვალა ცარკოვსკი, წავიდა ისეთ უკიდურეს ნაბიჯზე, როგორიც იყო ლუდის მოხმარების საერთოდ აკრძალვა. თუმცა, მრავალრიცხოვანი დაცინვის მიუხედავად, „ბაიერნის“ ფანები კმაყოფილნი იყვნენ, რადგან გუნდმა დუბლი შეასრულა – გერმანიის ჩემპიონის ტიტული მოპოვებული იქნა 8 ქულიანი ჰანდიკაპით, ხოლო თასის ფინალში დამარცხებული იქნა „შალკე 04“, მაგრამ ამავე დროს გამოჩნდა გუნდი, რომელმაც დიდი პრობლემები შეუქმნა ბაიერნს – მიონხენგლადბახის „ბორუსია“, რომელმაც გერმანიის ჩემპიონობა ორჯერ 1970-71 წლებში მოიგო და უკან ჩამოიტოვა „ბაიერნი“.

1972 წელს მიუნხენელებმა ტიტული უკვე „ოლიმპიაშტადიონზე“ უდო ლატეკის ხელმძღვანელობით დაიბრუნეს. გუნდს კიდევ ერთი სიხარულის მიზეზი ჰქონდა – გერდ მიულერი 40 გატანილი გოლით გახდა საუკეთესო ბომბარდირი. მანვე „კიოლნთან“ თასის ფინალში გადამწყვეტი გოლიც გაიტანა. იმავე ლატეკის ხელმძღვანელობით გუნდმა კიდევ 2 სეზონი დაიცვა ტიტული. 1974 წელს კი „ბაიერნმა“ პირველად მოიგო ჩემპიონთა თასი. ბრიუსელში გამართული პირველი მატჩი მადრიდის „ატლეტიკოსთან“ ფრედ, 1:1 დასრულდა. თავდაპირველად ესპანელები დაწინაურდნენ, შემდეგ კი შვარცენბეკმა გაათანაბრა ანგარიში. განმეორებით მატჩში კი ული ჰიონესისა და გერდ მიულერის დუბლებით „ბაიერნმა“ 4:0 მოიგო.

მიუხედავად იმისა, რომ „ბაიერნმა“ 1980 წლამდე ბუნდესლიგაში პაუზა გააკეთა, საერთაშორისო არენაზე მათ სამჯერ მოიპოვეს ტიტულები. მათ მოიგეს ევროპის ჩემპიონთა თასი 1975 წელს, როდესაც 2:0 „ლიდსი“ დაამარცხეს, ხოლო 1976 წელს მიღწევა გაიმეორეს, როდესაც გლაზგოში „სენტ ეტიენს“ 1:0 მოუგეს. ამასთან ერთად „ბაიერნმა“ იმავე წელს მოიგო საკონტინენტთაშორისო თასიც, რომლის ორმატჩიან დუელში ბრაზილიური „კრუზეირო“ დაამარცხა. ამ პერიოდში გუნდს უკვე დიტმარ კრემერი წრთვნიდა.

1978-83 წლებში „ბაიერნის“ თავკაცი პოლ ჩერნაი გახდა და მისი ხელმძღვანელობით მიუნხენელები ორჯერ, 1980-81 წლებში გერმანიის ჩემპიონის ტიტულის მფლობელები შეიქნენ.

1987 წელს „ბაიერნის“ მწვრთნელად იუპ ჰეინკესი დაინიშნა, რომელიც გარკვეული წლების შემდეგ ისევ დაბრუნდება ბავარიულ კლუბში. მისი ხელმძღვანელობითაც გუნდმა ორჯერ მოიპოვა გერმანიის ჩემპიონობა – 1989-90 წლებში. ჰეინკესმა გუნდი 91-92 სეზონში დატოვა, მისი ადგილი კი სორენ ლერბიმ დაიკავა. თუმცა გუნდის ალმავლობა არ შეინიშნებოდა, მიუნხენელები პირველად აღმოჩნდნენ ბუნდესლიგიდან გავარდნის საშიშროების წინაშე. ასეთ მდგომარეობაში ჩაიბარა გუნდი ერიხ რიბეკმა. კარლ-ჰაინც რუმენიგემ და ფრანც ბეკენბაუერმა კი ვიცე-პრეზიდენტების პოსტები დაიკავეს. 93-94 სეზონში კაიზერ ფრანცმა მწვრთნელის პოსტზე შეცვალა ერიხ რიბეკი და „ბაიერნი“ უმალ გერმანიის ჩემპიონი გახადა.

ამის შემდეგ დადგა ჯოვანი ტრაპატონის ეპოქა. მართალია, მას კარგი დამოკიდებულება ჰქონდა ფეხბურთელებთან და ხელმძღვანელობასთან, მაინც ვერ შეძლო სასურველი წარმატებების მიღწევა. გუნდმა 94-95 სეზონში გერმანიის ჩემპიონატში მე-6 ადგილი დაიკავა, ხოლო ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ამსტერდამის „აიაქსთან“ წააგო. ამის გამო გუნდში ტრაპატონის ნაცვლად მოვიდა ოტო რეჰაგელი. მას მოჰყვნენ კლინსმანი, ჰერცოგი და სფორცა, მაგრამ დიდი ოტოც იძულებული გახდა მალევე დაეტოვებინა მწვრთნელის პოსტი. თუმცა, რეჰაგელს თავისი არ უნდა დავუკარგოთ – მან ნახევარ სეზონში მოახერხა გუნდის უეფა-ს თასის ფინალში გაყვანა, სადაც მისი მეტოქე „ბარსელონა“ იყო. ფინალში, რომლის პირველი მატჩი „ოლიმპიაშტადიონზე“ 2:2 დასრულდა, თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ განმეორებითი მატჩში ბაბელისა და ვიტეჩეკის გოლებით მიუნხენელებმა 2:1 იმარჯვეს. თუმცა ფინალის დღეებში მწვრთნელობას უკვე ისევ ფრანც ბეკენბაუერი ითავსებდა – ეს იყო „ბაიერნის“ პირველი უეფა-ს თასი.

ამის შემდეგ გუნდს ისევ ტრაპატონი დაუბრუნდა და ორი წლის განმავლობაში „ბაიერნს“ ორი გამარჯვება მოუტანა – 1997 წელს გერმანიის ჩემპიონატში და 1998 წელს გერმანიის თასზე.

## ბაიერნი 21-ე საუკუნეში

ოტმარ ჰიცფელდმა იტალიელი სპეციალისტი 1998 წელს შეცვალა. პირველივე წელს მან თითქმის მიაღწია გუნდის საუკეთესო შედეგს არსებობის ისტორიაში, მაგრამ გერმანიის თასისა და ჩემპიონთა ლიგის ფინალებში მარცხი ძალზე მტკივნეული აღმოჩნდა გუნდისთვის. უკვე ორი წლის შემდეგ ჰიცფელდმა და ბაიერნმა დაამტკიცეს, რომ 1999 წლის დამარცხება მხოლოდ და მხოლოდ შემთხვევითობა იყო. ჰიცფელდის ხელმძღვანელობით „ბაიერნმა“ (1998-2004 წლებში) ოთხჯერ მოიპოვა გერმანიის ჩემპიონობა, ორჯერ დაეუფლა გერმანიის თასს და გერმანიის ლიგის თასს, ასევე გაიმარჯვა ჩემპიონთა ლიგის გათამაშებასა და საკონტინენტთაშორისო თასზე. ეს შედეგი ერთ-ერთი საუკეთესოა „ბაიერნის“ მწვრთნელებს შორის. ამ პერიოდში გუნდის ლიდერები იყვნენ ოლივერ კანი, შტეფან ეფენბერგი და ჯოვანი ელბერი.

2004 წელს კლუბში მწვრთნელად მოვიდა ფელიქს მაგათი, ვისი ხელმძღვანელობითაც კლუბი ორჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონი და ორჯერ დაეუფლა გერმანიის თასს, მაგრამ 2007 წლის იანვარში წარუმატებლობების გამო იგი გაათავისუფლეს და მის ადგილას დააბრუნეს ოტმარ ჰიცფელდი.

2007 წლის ზაფხულში ბაიერნმა გაატარა სერიოზული სატრანსფერო პოლიტიკა, რის შედეგადაც შეიძინა იტალიის ნაკრების საუკეთესო ფორვარდი ლუკა ტონი, გერმანიის ნაკრების საუკეთესო ფორვარდი მიროსლავ კლოზე, საფრანგეთის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ფრანკ რიბერი და კიდევ რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელი. ფეხბურთელების ტრანსფერებზე 2007 წლის გაზაფხულ-ზაფხულზე ბაიერნმა 94 მილიონი დოლარი დახარჯა, რაც ყველაზე დიდი გაღებული თანხაა კლუბის ისტორიაში. 2007-2008 სეზონში კლუბი გახდა გერმანიის ჩემპიონი, დაეუფლა გერმანიის თასს და გერმანიის ლიგის თასს.

2008 წლის 1 ივლისიდან ოტმარ ჰიცფელდი მთავარი მწვრთნელის პოსტზე შეცვალა იურგენ კლინსმანმა. 2009 წლის 27 აპრილს კლინსმანი იუპ ჰაინკესმა შეცვალა, რომელიც წარუმატებელი შრომის შედეგად მალევე გაათავისუფლეს და მის შემცვლელად ჰოლანდიელი სპეციალისტი, ლუის ვან გაალი მოვიდა. ჰოლანდიელმა სპეციალისტმა მოახერხა შემტევი გუნდის ჩამოყალიბება, პირველივე სეზონში (2009-2010) მოაგებინა კლუბს აუდის თასი, გახადა გერმანიის ჩემპიონი, გერმანიის თასის მფლობელი და ასევე ახლოს იყო ჩემპიონთა ლიგის თასთან, მაგრამ ფინალში „ინტერთან“ დამარცხდა ანგარიშით 0:2.

მიუხედავად ამისა, ვან გაალის მუშაობით კმაყოფილი არავინ დარჩენილა. როგორც ჩანს, მას პრობლემები თავად ფეხბურთელებთან ჰქონდა, რომელიც მის დისციპლინას ვერ ეგუებოდნენ. ასეა თუ ისე, ჰოლანდიელი სპეციალისტი გაათავისუფლეს და მისი ადგილი ისევ, უკვე მესამედ იუპ ჰაინკენსს ჩააბარეს.

ახალ სეზონში გუნდი ცუდ შედეგსა და თამაშს არ აჩვენებს – გუნდი გერმანიის ჩემპიონატსაც ლიდერობს და ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალშიც უპრობლემოდ გავიდა. დანარჩენს კი მაისში შევიტყობთ.

## სტადიონი

„ბაიერნი“ საშინაო მატჩებს 1971-72 სეზონიდან 2005-06 სეზონამდე მართავდა „ოლიმპიაშტადიონზე“, რომელიც იტევს 69.250 მაყურებელს. ამჟამად „ბაიერნის“ სტადიონი „ალიანს არენაა“, რომლის მშენებლობა 2005 წელს დასრულდა. სტადიონის ტევადობა არის 69 901 (66 000 დასაჯდომი). „ბაიერნთან“ ერთად სტადიონზე საშინაო მატჩებს მართავს საფეხბურთო კლუბი „მიუნხენ 1860“. თუ რომელი გუნდია მოედანზე, კარის ბადეებით შეიძლება განსხვავება – თუ „ბაიერნი“ თამაშობს, მაშინ ბადეები თეთრ-წითელია, ხოლო თუ „მიუნხენ 1860“ – თეთრ-ლურჯი.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**



# ედიტ პიაფის მშობიარობას პატრული შეესწრო

**ედიტ ჯოვანა გასიონი, მუსიკალურ სამყაროში ედიტ პიაფად ცნობილი — ფრანგი მსახიობი და მომღერალი, მსოფლიო ესტრადის ვარსკვლავი.**

### ბავშვობა

მიუხედავად მრავლად გამოცემული ბიოგრაფიისა, მრავალი ფაქტი და მოვლენა ედიტის ცხოვრებისა ბურუსით არის მოცული. გადმოცემით 1915 წლის სუსხიანი დეკემბრის ღამეს პოლიციელს, რომელიც უბნის პატრულირებას ახდენდა, ყვირილი შემოესმა. ადგილზე მისვლისას მან მშობიარე ქალი აღმოაჩინა. ახალშობილი დედამ პოლიციელის ლაბადაში შეახვია და ედიტი დაარქვა.

ედიტის დედა უიღბლო მსახიობი ანიტა მაიარი იყო, რომელიც სცენაზე ლინა მარსის ფსევდონიმით გამოდიოდა. მამამისი, ლუი გასიონი კი — ქუჩის აკრობატი. პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ლუი ფრონტზე მოხალისედ წავიდა. პირველი ორდღიანი შვებულება ფრონტიდან ლუიმ 1915 წელს შვილის სანახავად გამოიყენა.

ორი წლის შემდეგ ლუიმ შეიტყო, რომ ცოლმა მიატოვა, ქალიშვილი კი თავის მშობლებს დაუტოვა. გარემო, რომელშიც პატარა ედიტი იზრდებოდა, საშინელი იყო და ლუიმ ედიტი დედამისთან გადაიყვანა, რომელიც ნორმანდიულ საროსკიპოში მზარეულად მუშაობდა.

ამავე დროს, აღმოჩნდა, რომ ედიტი სრულიად ბრმა იყო. სიცოცხლის პირველსავე თვეებში ედიტს კატარაქტი განუვითარდა, რომელსაც მაიარების მოხუცმა ოჯახმა თავის დროზე ყურადღება არ მიაქცია. როცა გაირკვა, რომ სამედიცინო გზით ბავშვს არაფერი განკურნავდა, ბებიამ ქალაქ ლიზიეში წმინდა ტერეზას საფლავზე წაიყვანა, სადაც სრულიად საფრანგეთიდან ათასობით მლოცველი იკრიბებოდა. 1921 წლის 19 აგვისტოს ისინი საფლავთან მივიდნენ, 25 აგვისტოს ედიტს მხედველობა აღუდგა — მაშინ მომავალი მომღერალი 6 წლის იყო.

იმავე წელს ედიტი სკოლაში წავიდა, თუმცა, თანაკლასელების მშობლები აღშფოთებით შეხვდნენ იმ ფაქტს, რომ გოგონა საროსკიპოში ცხოვრობდა და ძალიან მალე მისი სწავლა დასრულდა. მამამისი იძულებული გახდა, ედიტი პარიზში წაიყვანა, სადაც ერთად დაიწყეს მუშაობა — ლუი ქუჩაში სხვადასხვა სირთულის აკრობატულ ნახტომებს ასრულებდა, ედიტი კი მღეროდა. ასე მღეროდა პატარა ედიტი ქუჩაში, სანამ იგი კაბარე „ჟუან ლე პენში“ არ აიყვანეს.

### ახალგაზრდობა

მამაკაცები ედიტის ცხოვრებაში მალე გაჩნდნენ — ფაქტობრივად, მამასთან დაშორების მერე. კაბარეში მან გაიცნო ლუი დიუპონი, რომელსაც მალევე გაჰყვა ცოლად, ერთი წლის მერე კი ქალიშვილი მარსელი შეეძინა. თუმცა, ლუის არ მოსწონდა, რომ ედიტი ძალიან დიდ დროს უთმობდა სამსახურს და მოსთხოვა, კაბარე დაეტოვებინა. ედიტმა იუარა და წყვილი დაშორდა ერთმანეთს. თავდაპირველად მარსელი დედასთან ცხოვრობდა, მაგრამ ერთხელაც სახლში დაბრუნებულმა ედიტმა იგი ვერ იპოვა. ლუი დიუპონმა ქალიშვილი თავისთან წაიყვანა, ეგონა რა, რომ ამით დედამისს შეურიგდებოდა. ამ დროს ევროპაში ესპანური გრიპის ეპიდემია იყო, რომელსაც პატარა მარსელიც ვერ გადაურჩა. გოგონა საავადმყოფოში აღმოჩნდა, ედიტი, რომელმაც შვილი პალატაში მოინახულა, ამავე სენით დაავადდა. საუკუნის დასაწყისში ამ ავადმყოფობას, მედიკამენტებისა და ცოდნის ნაკლებობის გამო, ვერ კურნავდნენ, თუმცა, საბოლოოდ ედიტი გამოჯანმრთელდა, მარსელი კი გარდაიცვალა. ედიტს შემდეგ სხვა შვილი აღარ მისცემია.

1935 წელს 22 წლის ედიტი ქუჩაში ლუი ლეპლემ შეამჩნია. ლეპლე ელისეს მინდვრებზე მდებარე პრესტიჟული კაბარე „ჟერნისის“ მეპატრონე იყო. მან ედიტს თავის პროგრამაში გამოსვლა შესთავაზა, რაზეც დადებითი პასუხი მიიღო. ლუი ლეპლემ ბევრი რამ ასწავლა ახალგაზრდა მომღერალს — აკომპანიატორთან რეპეტირება, სიმღერის ამორჩევა, არტისტის ჩაცმის თავისებურება, მიმიკისა და ჟესტების მნიშვნელობა. სწორედ ლეპლემ მისცა ედიტს სცენური გვარი — პიაფი, რაც „ბეღურას“ ნიშნავს. „ჟერნისის“ აფიშებზე მისი სახელი დაიბეჭდა, როგორც „გოგონა ბეღურა“ და პირველივე გამოსვლებს წარმატებაც უდიდესი მოჰყვა. 1936 წლის 17 თებერვალს ედიტ პიაფმა „მედრანოს“ ცირკში მონაწილეობა მიიღო დიდ კონცერტზე, სადაც იგი იმ დროის ისეთ დიდ მომღერლებთან ერთად გამოდიოდა, როგორებიც იყვნენ მორის შევალიე, მისტანგეტი, მარი დიუბუა. თუმცა, მალე ედიტის კარიერის წარმატებული წინსვლა ტრაგედიამ შეაჩერა — თავში ნასროლი ტყვიისგან ლუი ლეპლე დაიღუპა და პიაფი ეჭვმიტანილთა შორის აღმოჩნდა, ვინაიდან გარდაცვლილის ანდერძში მისთვის გარკვეული თანხა იყო მითითებული. გაზეთებმა გაამუქეს ეს ისტორია და კიდევ დიდი ხნის მანძილზე მომღერლის მიმართ მტრულად იყვნენ განწყობილნი.

### აღმასვლა

მალე ედიტმა გაიცნო რეიმონ ასო, რომელმაც საბოლოოდ განსაზღვრა მომღერლის მომავალი. მას უდიდესი წვლილი მიუძღვის „დიდი პიაფის“ გამოჩენაში. მან ედიტს ასწავლა არა მარტო პროფესიული ქცევები, არამედ ფართოდ აუხსნა ეტიკეტისა და ჩაცმის თავისებურებები.

რეიმონ ასომ ედიტის ინდივიდუალურობა საწყისად აიღო და შექმნა „პიაფის სტილი“. მან დაწერა სიმღერები, რომლებიც მხოლოდ ედიტის ხმას მოუხდებოდა: „პარიზი — ხმელთაშუა ზღვის სანაპირო“, „ის ცხოვრობდა პიგალის ქუჩაზე“, „ჩემი ლეგიონერი“.

რეიმონმა მიაღწია იმასაც, რომ ედიტმა შეძლო პარიზის სახელგანთქმული მიუზიკ-ჰოლის აბც-ის სცენაზე გამოსვლა — ეს უკვე დიდ აღიარებასა და წარმატებას ნიშნავდა. ასევე რეიმონის თხოვნით მომღერალმა ფსევდონიმი „გოგონა პიაფი“ შეცვალა „ედიტ პიაფით“. პირველივე გამოსვლის შემდეგ პრესა წერდა — გუშინ საფრანგეთში, აბც-ის სცენაზე, დიდი მომღერალი დაიბადა.

### მეორე მსოფლიო ომი

მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ედიტი რეიმონ ასოს დაშორდა. მოგვიანებით მომღერალმა გაიცნო ფრანგი რეჟისორი ჟან კოკტო, რომელმაც შესთავაზა პიესაში „ლამაზი და გულგრილი მამაკაცი“ მონაწილეობა მიეღო. დადგმას დიდი წარმატება ხვდა წილად. 1940 წელს კინორეჟისორმა ჟორჟ ლაკომბმა გადაწყვიტა პიესის ეკრანიზაცია და 1941 წელს ფილმში „მონმარტრი მდინარე სენაზე“ ედიტმა მთავარი როლი შეასრულა.

ომის დროს ედიტის მშობლები გარდაიცვალნენ. ოკუპაციის პერიოდში კი პიაფი ხშირად გამოდიოდა რეპერტუარით გერმანიის ტერიტორიაზე ტყვეთა ბანაკებში.

ედიტმა თავისი თავი არ დაკარგა და უკვე სხვა დამწყებ მომღერლებს დაეხმარა — ივ მონტანს, ანსამბლ „კომპანიონ დე ლა შანსონს“, ედი კონსტანტენს, შარლ აზნავურსა და მრავალ სხვას.

### ტრიუმფი

ომის შემდგომმა პერიოდმა ედიტს უდიდესი წარმატება მოუტანა. მას აღფრთოვანებით უსმენდა ფრანგი გლეხიცა და ინტელიგენციის წარმომადგენელიც, მუშაც და ინგლისის დედოფალიც.

მიუხედავად მსმენელთა სიყვარულისა, ედიტი სულ უფრო მარტოობისკენ მიისწრაფვოდა.

— პუბლიკა გულში გიკრავს, თავის გულს გიხსნის და მთლიანად გშთანთქავს. შენ ივსები მისი სიყვარულით, ის კი — შენით. შემდეგ ჩამქრალ დარბაზში გესმის მიმავალი ნაბიჯების ხმა. ეს ჯერ კიდევ შენი ნაბიჯებია. ჯერ კიდევ კარგად გრძნობ თავს. შემდეგ გადიხარ ქუჩაში და ხვდები, რომ მარტო ხარ, — წერდა ედიტი.

1952 წელს ედიტი მიყოლებით ორ ავტოკატასტროფაში მოყვა. მოტეხილი ხელისა და ნეკნების ტკივილების შესამსუბუქებლად ექიმები ნარკოტიკულ გამაყუჩებლებს უკეთებდნენ და ედიტიც ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებული შეიქნა.

1954 წელს ედიტ პიაფმა ჟან მარესთან ერთად მთავარი როლი შეასრულა ისტორიულ ფილმში „მე თუ მომითხრობენ ვერსალის შესახებ“.

### ბოლო წლები

1958 წელს ედიტმა დაიწყო საკონცერტო დარბაზ „ოლიმპიაში“ გამოსვლა. წარმატება ფანტასტიკური იყო. გამოსვლების დასრულების შემდეგ მან თერთმეტთვიანი ტურნე მოაწყო აშშ-ში, შემდგომ კი საფრანგეთშიც გამართა კონცერტების სერია. ფიზიკურმა და ემოციურმა დატვირთვებმა მისი ჯანმრთელობა შეარყია, 1961 წელს 46 წლის ასაკში ედიტმა შეიტყო, რომ უკურნებელი სენით იყო ავად — ექიმებმა კიბოს დიაგნოზი დაუსვეს.

1962 წლის 25 სექტემბერს ედიტი ეიფელის კოშკიდან მღეროდა სიმღერებს: „არა, არაფერს ვნანობ“, „ბრბო“, „მილორდი“, „შენ არ გესმის“, „სიყვარულის უფლება“ — მას მთელი პარიზი უსმენდა.

პიაფის ბოლო სასცენო გამოსვლა 1963 წლის 18 მარტს შედგა. დარბაზმა ხუთწუთიანი ოვაცია მოუწყო მომღერალს. სწორედ ამ დროს ის ცუდად გახდა და სცენაზე წაიქცა, რის შემდეგაც ფართო საზოგადოებაში აღარ გამოჩენილა.

1963 წლის 11 ოქტომბერს ედიტ პიაფი გარდაიცვალა.

პერ ლაშეზის სასაფლაოზე 40 ათასამდე ადამიანმა მოიყარა თავი, ბევრი ცრემლსაც ვერ იკავებდა, ყვავილებმა კი ედიტის ბოლო განსასვენებელი მთლიანად დაფარა.



# ჯეკ ნიკოლსონი — ყველაზე მეტი „ოსკარის“ მფლობელი

**ჯონ ჯოზეფ „ჯეკ“ ნიკოლსონი — ამერიკელი მსახიობი, რეჟისორი, პროდიუსერი და მწერალი, ე.წ. მეთოდური შესრულების სკოლის მსახიობი, ცნობილი ნევროტული ხასიათების ბნელი, კომედიური პორტრეტებით. ამერიკის კინოაკადემიის ჯილდოზე თორმეტჯერ იყო ნომინირებული (გაიმარჯვა 3-ჯერ), რაც ნებისმიერ სხვა მამაკაც მსახიობზე მეტია და საერთო ნომინაციებით მხოლოდ მერილ სტრიპს (13 ნომინაციიდან 2 „ოსკარი“) ჩამორჩება. მას ასევე მიღებული აქვს 7 „ოქროს გლობუსი“ და კენედის ცენტრის პრემია 2001 წელს.**

1994 წელს გახდა ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა მსახიობი, რომელსაც მიენიჭა ამერიკის კინოაკადემიის პრემია ცხოვრებისეული მიღწევებისათვის. ჯეკ ნიკოლსონმა მონაწილეობა მიიღო ცნობილ კინოფილმებში: „ხუთი იოლი პიესა“, „ჩინური კვარტალი“, „ვილაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“, „ფოსტალიონი ყოველთვის ორჯერ რეკავს“, „წითლები“, „სინაზის ენა“, „ბეტმენი“, „რამდენიმე კარგი ბიჭი“, „ჰოფა“, „მგელი“, „უკეთესი არ არსებობს“, „შმიდტის შესახებ“, „სიყვარული წესების მიხედვით და მათ გარეშეც“ და „ორმაგი თამაში“.

### ბიოგრაფია

ჯეკ ნიკოლსონი დაიბადა 1937 წლის 22 აპრილს ნიუ იორკში, მოცეკვავის ჯუნ ფრენსის ნიკოლსონის (სასცენო სახელი ჯუნ ნილსონი) ოჯახში. ბავშვის დაბადებამდე ექვსი თვით ადრე, 1936 წლის 16 ოქტომბერს, ჯუნ ნილსონი ცოლად გაჰყვა იტალოამერიკელ მოცეკვავე დონალდ ფურჩილოს (სასცენო სახელი დონალდ როუზი), რომელიც უკვე დაქორწინებული იყო. მიუხედავად იმისა, რომ მეუღლეს შეჰპირდა ბავშვის აღზრდას, ჯუნის დედამ, ეთელმა, მაინც თვითონ გადაწყვიტა ბავშვზე მზრუნველობა, რითიც ჯუნს საშუალება მისცა, თავისი საცეკვაო კარიერა გაეგრძელებინა. მიუხედავად იმისა, რომ ჯეკის მამად ფურჩილოა მიჩნეული, ბიოგრაფი პატრიკ მაკჯილიგენი თავის წიგნში „ჯეკის ცხოვრება“ ამტკიცებს, რომ ჯეკ ნიკოლსონის ბიოლოგიური მამა შესაძლოა ყოფილიყო ჯუნის მენეჯერი, ლატვიური წარმოშობის ედი კინგი. სხვა წყაროების მიხედვით, ჯუნმა თვითონაც არ იცოდა ჯეკის ნამდვილი ბიოლოგიური მამის ვინაობა. ისიც ბევრჯერ დაიწერა, რომ ჯეკ ნიკოლსონის დედა იყო ირლანდიური, ინგლისური და ჰოლანდიური წარმოშობის, თუმცა, საკუთრივ ჯეკი და მისი ოჯახი ირწმუნებიან, რომ ისინი წმინდა ირლანდიური წარმოშობის არიან.

ჯეკ ნიკოლსონი აღიზარდა ბაბუამისის — ჯონ ჯოზეფ ნიკოლსონისა და ეთელ მეის სახლში. თავდაპირველად ჯეკი ფიქრობდა, რომ ისინი მისი მშობლები არიან. იმის შესახებ, რომ მისი მშობლები სინამდვილეში არ იყვნენ ბებია და ბაბუა, ხოლო და კი სინამდვილეში იყო დედა, მან მხოლოდ 1974 წელს გაიგო გაზეთ „ტაიმსის“ ჟურნალისტისგან, რომელიც მასზე სტატიას წერდა. იმ დროისათვის ჯეკის ბაბუა და ბებია უკვე გარდაცვლილები იყვნენ.

ნიკოლსონის თქმით, მან არ იცის, ვინ არის მისი ბიოლოგიური მამა, ხოლო სიმართლე მხოლოდ ეთელმა და ჯუნმა იცოდნენ, თუმცა, ამის შესახებ ისინი არავისთან საუბრობდნენ.

ნიკოლსონი გაიზარდა ნეპტუნ-სიტიში, აღზარდეს კათოლიკური ეკლესიის წესებით. სანამ სკოლაში დაიწყებდა სიარულს, მისი ოჯახი დაბინავდა სპრინგ-ლეიკში (ნიუ-ჯერსი). „ნიკი“, როგორც მას სკოლის მეგობრები ეძახდნენ, ხშირად სტუმრობდა მანასქუანის საშუალო სკოლას, სადაც 1954 წლის გამოშვებაზე იგი „კლასის კლოუნად“ აირჩიეს. თეატრალურ და დრამატულ პრემიებს სკოლაში პატივისცემის მიზნით მის სახელს არქმევდნენ.

### კარიერა

როდესაც ჯეკ ნიკოლსონი პირველად მოხვდა ჰოლივუდში, იგი მგმ-ის ანიმაციურ სტუდიაში კურიერად მუშაობდა ყველასთავის კარგად ნაცნობ უილიამ ჰანასთან და ჯოზეფ ბარბერასთან. იქ მუშაობისას ნიკოლსონს შესთავაზეს მხატვარ–მულტიპლიკატორის თანამდებობა, თუმცა, ნიკოლსონმა უარი განაცხადა, რადგან მისი მიზანი მხოლოდ მსახიობობა იყო. კინოში მისი დებიუტი შედგა მცირებიუჯეტიან დრამაში სახელწოდებით „მტირალა მკვლელი“ (1958), სადაც მთავარი როლი შეასრულა. 1960 წელს როლი მიიღო როჯერ კორმანის ფილმში „საშინელებათა პატარა მაღაზია“ — ფილმში ნიკოლსონი მაზოხისტის როლს თამაშობს. 1963 წელს როჯერ კორმანმა ისევ მისცა ნიკოლსონს როლი კინოში — ამჯერად ფილმში „ყორანი“. იმავე წელს როლი მიიღო ფილმში „შიში“, სადაც მასთან ერთად ითამაშა მისმა მომავალმა მეუღლემ სანდრა ნაიტმა.

რამდენადაც მის სამსახიობო კარიერაში პერსპექტივები არ შეიმჩნეოდა, ნიკოლსონმა გადაწყვიტა, თავი ბოლომდე მიეძღვნა კამერის მიღმა სამუშაოსთვის — სცენარისტად და რეჟისორად. პირველი წარმატება ხვდა წილად 1967 წელს, როდესაც გამოვიდა ფილმი „ტრიპი“, რომლის სცენარის ავტორი ნიკოლსონი იყო. ფილმში მთავარი როლები შეასრულეს ჰენრი ფონდამ და დენის ჰოპერმა. ერთი წლის შემდეგ ნიკოლსონმა პროდიუსერი გახდა ფილმისა „თავი“, სადაც ითამაშეს პოპ როკის ჯგუფ „მანქის“ წევრებმა. ჰენრი ფონდამ, დენის ჰოპერმა და ჯეკ ნიკოლსონმა თავი მოიყარეს ერთად 1969 წელსაც, როდესაც მათ მოუწიათ თამაში ფილმში „უდარდელი მხედარი“. ნიკოლსონმა შეასრულა ჯორჯ ჰენსონის როლი და ეს იყო მისი პირველი მნიშვნელოვანი გარღვევა კინოში. ამ როლისთვის კარიერაში პირველად წარადგინეს „ოსკარის“ ნომინაციაზე. ერთი წლის შემდეგ ნიკოლსონი ისევ იყო ნომინირებული „ოსკარის“ პრემიაზე. ამჯერად საუკეთესო მსახიობის ჯილდო ნიკოლსონს ხვდა წილად ფილმში „ხუთი მსუბუქი პიესა“ შესრულებული როლისთვის.

ჯეკ ნიკოლსონის კანდიდატურა განიხილებოდა ფილმისთვის „ეგზორცისტი“, თუმცა, დემიენ კარასის როლზე მსახიობი ჯეისონ მილერი დაამტკიცეს. 70-იანი წლების პირველ ნახევარში ნიკოლსონის კინოროლებიდან აღსანიშნავია: „სხეულის შემეცნება“, „პროფესია: რეპორტიორი“, „უკანასკნელი რაზმი“, „ჩინური კვარტალი“. ამ ორ უკანასკნელ ფილმში შესრულებული როლისთვის ნიკოლსონი ნომინირებული იყო „ოსკარის“ პრემიაზე. ნიკოლსონი მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდა რომან პოლანსკის მეუღლეს შერონ ტეიტთან, რომელიც ჩარლზ მენსონის მსხვერპლი გახდა. შერონ ტეიტის გარდაცვალების შემდეგ ჯეკი პოლანსკის უახლოეს მეგობრად გადაიქცა და ამხნევებდა მას.

1975 წელს ნიკოლსონმა მიიღო თავისი პირველი „ოსკარი“ მთავარი როლის შესრულებისთვის ფილმში „ვილაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“. ჯეკმა განასახიერა რენდლი მაკმერფის როლი, რომელიც ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ხვდება. 1976 წელს პატარა როლი მიიღო ფილმში „უკანასკნელი მაგნატი“, სადაც მთავარი როლი იმ დროს ახალგაზრდა რობერტ დე ნირომ შეასრულა.

ჯეკ ნიკოლსონმა რიგით მეორე „ოსკარი“ მიიღო 1983 წელს შესრულებული როლისთვის ფილმში „სინაზის ენა“, რომლის რეჟისორი გახლდათ ჯეიმს ბრუქსი.

ნიკოლსონი კინემატოგრაფში ნაყოფიერ მოღვაწეობას შემდეგშიც დიდებულად აგრძელებდა. 80-იან წლებში მნიშვნელოვანი როლები შეასრულა ფილმებში: „ნათება“, „ფოსტალიონი ყოველთვის ორჯერ რეკავს“, „სინაზის ენა“, „პრიცის ოჯახის ღირსება“, „ისტვიკელი ალქაჯები“, „ბეტმენი“...

ფილმ „ბეტმენის“ შემდეგ, 1996 წელს, ნიკოლსონი ისევ თანამშრომლობს რეჟისორ ტიმ ბარტონთან. ამჯერად ჯეკმა როლი მიიღო ფანტასტიკურ კომედიაში „მარსი გვიტევს!“. მორიგი „ოსკარის“ პრემია ნიკოლსონს მიენიჭა 1997 წელს შესრულებული როლისთვის ფილმში „უკეთესი არ არსებობს“, სადაც მას პარტნიორობა გაუწია ჰელენ ჰანტმა, ხოლო რეჟისორი ისევ ჯეიმს ბრუქსი იყო. 2002 წელს გამოდის ფილმი „შმიდტის შესახებ“, სადაც ნიკოლსონი მორიგ „ოსკარის“ ნომინაციაზე წარადგინეს.

2006 წელს ნიკოლსონი დაუბრუნდა თავის სამსახიობო „ბნელ მხარეს“ ირლანდიელი მაფიოზის ფრენკ კასტელოს როლში ოსკაროსან ფილმში „ორმაგი თამაში“, სადაც თავი მოიყარეს ჰოლივუდის მსახიობებმა მეტ დეიმონმა, ლეონარდო დი კაპრიომ, მარკ უოლბერგმა და სხვებმა.

ნიკოლსონის ბოლო წლების ნამუშევრებიდან მნიშვნელოვანია კინოფილმები: „სიყვარული წესების მიხედვით და მათ გარეშეც“, „ორმაგი თამაში“, „სანამ არ მოკვდი“. ამ უკანასკნელ ფილმში თამაში მოუწია ჰოლივუდის ვარსკვლავ მორგან ფრიმენთან.

### პირადი ცხოვრება

ჯეკ ნიკოლსონი სხვადასხვა დროს რომანტიკულ ურთიერთობაში იმყოფებოდა მსახიობებთან და მოდელებთან, მათ შორის იყვნენ: მიშელ ფილიპსი, ბებე ბუელი და ლარა ფინ ბოილი. ხანგრძლივი დროის განმავლობაში (1973-1989 წწ.) ნიკოლსონს რომანი ჰქონდა მსახიობ ანჟელიკა ჰიუსტონთან.

რამდენიმე წლის განმავლობაში ჯეკ ნიკოლსონი და მარლონ ბრანდო მეზობლად ცხოვრობდნენ მალჰოლანდ დრაივზე. ბრანდოს გარდაცვალების შემდეგ ჯეკმა შეისყიდა მეზობლის საკუთარი სახლი, რომელშიც 6.1 მილიონი დოლარი გადაიხადა. სიახლოვეს ცხოვრობდა აგრეთვე მსახიობი უორენ ბიტი. ნიკოლსონს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ჟურნალისტ ჰანტერ ტომპსონთან.

ჯეკ ნიკოლსონი კალათბურთის დიდი მოყვარულია და თითქმის არასდროს აცდენს „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ საშინაო თამაშებს.

## ვაჟა აზარაშვილი ვარსკვლავოსანია




კომპოზიტორი და ქართველებისთვის არაერთი საყვარელი საესტრადო სიმღერის ავტორი ვაჟა აზარაშვილი ვარსკვლავოსანია. ხელოვანის 75 წლის იუბილეზე საქართველოს კულტურის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, მისთვის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ ვარსკვლავი გაეხსნა.

ვარსკვლავის გახსნამდე დიდ საკონცერტო დარბაზში კონცერტი გაიმართა, რომელშიც ქართული ესტრადის ცნობილი წარმომადგენლების ძველი და ახალი თაობის მომღერლები გაერთიანდნენ. ვაჟა აზარაშვილის სიმღერები შეასრულეს ნანი ბრეგვაძემ, ეკა მამალაძემ, მერაბ სეფაშვილმა, ლელა წურწუმიამ, „ქსოვრელებმა“, ნოდიკო ტატიშვილმა, დეუტმა „ჯორჯიამ“, სალომე ბაკურაძემ, ტრიო „ვივომ“, გიორგი სუხიტაშვილმა და მარიკო ებრალიძემ.

მიუხედავად იმისა, რომ კომპოზიტორს კიდევ ბევრი შეუსრულებელი ნაწარმოები აქვს, მთელი წლის განმავლობაში კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით არაერთი ღონისძიება გაიმართა. კონსერვატორიასა და კულტურის სამინისტროში გამართულ კონცერტებზე შესრულდა კომპოზიტორის კამერული და სიმფონიური ნაწარმოებები. დიდ საკონცერტო დარბაზში კი ვაჟა აზარაშვილის ესტრადა აჟღერდა.

– დიდი მადლობა ყველას, ვინც ამ ვარსკვლავის ღირსად ჩამთვალა. საოცრად ამაღლებული განწყობა მაქვს და გული სიხარულით მევსება. გმადლობთ ასეთი დაფასებისა და სიყვარულისთვის. ახლა ნამდვილად შემიძლია გავიმეორო ჩემი წიგნის სათაურად გამოყენებული სიტყვები – ისე ვიცხოვრე, უკან მოხედვის არ მეშინია, – განაცხადა კომპოზიტორმა.

75 წლის ასაკის მიუხედავად, კომპოზიტორი მუშაობს სამტომეულზე, რომელშიც მისი საესტრადო სიმღერები ნოტების სახით ჩაიწერება და ვაჟა აზარაშვილის შემოქმედების მოყვარულთ მათი შესწავლა დამოუკიდებლად შეეძლებათ.

## დავით ლორთქიფანიძე ევროპის აკადემიის წევრია



ქართველი მეცნიერი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელი დავით ლორთქიფანიძე ევროპის აკადემიის წევრად აირჩიეს. ამ საპატიო წოდების გარდა, დავით ლორთქიფანიძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ამერიკის შეერთებული შტატების ნაციონალური აკადემიის, ხელოვნებისა და მეცნიერების მსოფლიო აკადემიის, მეცნიერებისა და ხელოვნების ევროპული აკადემიისა და ხელოვნებისა და მეცნიერების მსოფლიო აკადემიის წევრია.

ევროპის აკადემიის წევრების არჩევის საზეიმო ცერემონიალი პარიზში იუნესკოს შტაბბინაში შედგა. როგორც საქართველოს ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელი ანა ვერულაშვილი აცხადებს, ევროპის აკადემია მოქმედებს ევროკომისიასთან მჭიდრო თანამშრომლობით და აერთიანებს გამოჩენილ მეცნიერებს. დღემდე მისი წევრი საქართველოდან მხოლოდ აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე გახლდათ. ევროპის აკადემიის წევრთა რაოდენობა კი დღეს დაახლოებით 2300-ს აღწევს.

## პატრიარქის აღსაყდრების იუბილე გამოფენით აღინიშნება



საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში, რომელიც წმიდა სამების საკათედრო ტაძარში მდებარეობს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის აღსაყდრებიდან 34-ე წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნა. გამოფენის გახსნამდე ილია მეორე თბილისის სასულიერო სემინარია-აკადემიის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს შეხვდა.

გამოფენაზე წარმოდგენილია თბილისის სასულიერო სემინარია-აკადემიის სტუდენტების ნამუშევრები – ხატები და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, სიონის სამრევლოს სკოლის, წმიდა სამების ტაძრის სამრევლო სკოლის მოსწავლეების ნამუშევრები – ნაქარგები, ხელნაკეთი თოჯინები, ზარდახშები, ხევსურული ტანისამოსი, თექა, საპატრიარქოს ხალხური რეწვის განყოფილების თანამშრომლების ნამუშევრები.

საქართველოს პატრიარქის აღსაყდრების იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა სამების ახალგაზრდულ ცენტრში 26 დეკემბრამდე გაგრძელდება.

## ფიროსმანზე ახალი წიგნი გამოსცეს



ქართველ პრიმიტივისტ მხატვარ ნიკო ფიროსმანაშვილზე ახალი წიგნი გამოიცა. „ფიროსმანი – 100 კვადრატი“ – ასე ეწოდება გამოცემას, რომლის წარდგინებაც საქართველოს სურათების ეროვნულ გალერეაში შედგა. წიგნის გამომცემელი ბაკურ სულაკაურის გამომცემლობაა, გამოცემის ავტორი – მხატვარი ვახტანგ რურუა. წიგნში ფიროსმანის შემოქმედება განსხვავებული კუთხითაა წარმოდგენილი. წიგნის ავტორს კვადრატი ინსტრუმენტად აქვს გამოყენებული. სწორედ ამ კვადრატის საშუალებით ხელოვნების მოყვარულები ნიკო ფიროსმანაშვილის 25 ტილოდან ისეთი დეტალების გაცნობას შეძლებენ, რომლებიც დამთვალიერებლისთვის ხშირად შეუმჩნეველია.

– ფიროსმანის ნამუშევრების რეპროდუქციები და თვითონ ალბომები არაერთხელ გამოუციათ, მაგრამ ეს წიგნი თავისი კონცეფციითაა საინტერესო, რადგან მასში წარმოდგენილია 100 კვადრატი, ანუ 100 სხვადასხვა დეტალი მისი 25 ნამუშევრიდან, – აღნიშნა „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ ხელმძღვანელმა თინათინ მამულაშვილმა.

## ანზორ ერქომაიშვილი 70 წლისაა



ქართველი ლოტბარი, ანსამბლ „რუსთავის“ სამხატვრო ხელმძღვანელი ანზორ ერქომაიშვილი 70 წლისაა. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, კონსერვატორიაში საგანგებო ალბომის პრეზენტაცია გაიმართა. ალბომში 30 სიმღერაა გაერთიანებული.

ალბომის წარდგინებამდე კონსერვატორიის დიდ დარბაზში საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის „საახალწლო მუსიკალური შეხვედრები“ ფარგლებში გაიმართა საღამო „ბრავო მაესტრო!“, რომელიც ანზორ ერქომაიშვილს მიეძღვნა. მასში მონაწილეობას იღებდნენ ანსამბლები „რუსთავი“, „სამების საკათედრო ტაძრის საპატრიარქო გუნდი“, „ანჩისხატის ტაძრის მგალობელთა გუნდი“, „ბასიანი“, „თბილისი“, „იმერი“, „შავნაბადა“, „დიდგორი“; ტრიო „შალვა ჩემო“ (გურია) და პოლიკარპე ხუბულავა.

## ჯეოსტარელები ქველმოქმედებაში ჩაერთნენ

ბიზნეს ცენტრ „კალასში“ პროექტ „ფლამენკოს“ მეორე ღონისძიება გაიმართა, რომელიც მთლიანად ქველმოქმედებას დაეთმო. საქველმოქმედო ღონისძიებაში ჩაერთნენ ჯეოსტარელები – ნიკო ბერიძე, მიშა სულუხია, გიორგი მაღლაფერიძე, ანი ლონლაძე, ნათია დუმბაძე, მარი ჯომარდიძე, დასწრება მხოლოდ მოსაწვევებით იყო შესაძლებელი. საღამოს ტყუპი ძმები ლევან და გიორგი ფირცხალავები უძღვებოდნენ.

– „ფლამენკო“ არის დაპატენტებული პროექტი, რომელიც ითვალისწინებს თვითნასწავლი, ნიჭიერი და ახალგაზრდა ხელოვანი ადამიანების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვას, ხელოვანი ადამიანებისათვის სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობას და ქართული ხელნაკეთი ნიმუშების უცხოურ ბაზარზე გატანა-წარდგენას. პროექტის ფარგლებში შემოსული თანხების ნაწილი ხმარდება ქველმოქმედებას. ჩვენ ასევე ვამზადებთ „ფლამენკოს“ ფესტივალს. ის, სავარაუდოდ, ზაფხულის ცხელ დღეებში, ბათუმში გაიმართება და შევთავაზებთ საზოგადოებას ფართომასშტაბიან ღონისძიებას, რომელიც ყოველწლიურ ხასიათს მიიღებს და სხვადასხვა ნომინაციებს დაამკვიდრებს. გრან პრის ესკიზის და ნიმუშის კონკურსი გამოცხადდება უახლოეს მომავალში, ხოლო გამარჯვებულს შეარჩევს სპეციალურად მოწვეული ჟიური, – განაცხადა ღონისძიების ორგანიზატორმა მაია ქავთარაშვილმა.



საშობაო ღონისძიების პროგრამაში გაერთიანდა საპრეზენტაციო ჩვენება, პირველი ფლამენკოს გაშუქებისათვის ნომინაციაში „საუკეთესო რეპორტაჟი“ ჟურნალისტების დაჯილდოება, საქველმოქმედო აუქციონი, საახალწლო ნაძვის ხე. 24 დეკემბერს მთელი დღის მანძილზე ბიზნეს ცენტრ „კალასის“ საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილი იქნება ხელნაკეთი ნივთები, მხატვრების, ფოტოხელოვანების მიერ შექმნილი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. გამოფენაზე მონაწილეობას ღებულობენ როგორც ცნობილი, ისე ახალბედა ხელოვანები.

## თაკო აბაშიძე გათხოვდა



მსახიობი თაკო აბაშიძე გათხოვდა. ეს მსახიობისთვის მეორე ქორწინებაა. პირველად თაკო 18 წლის ასაკში გათხოვდა და ოჯახის შენარჩუნება ვერ შეძლო. მისი ამჟამინდელი რჩეული რეჟისორი ლაშა როსტომაშვილი გახდა. ლაშა ასევე „ბრძოლა წესების გარეშე“ ჩემპიონი და კარატეს რამდენიმე ქამრის მფლობელია. საშობაო მარხვის დაწყებამდე შეყვარებულებმა ჯვარიც დაიწერეს. მათი არჩევანი სამების საკათედრო ტაძარზე შეჩერდა. მეჯვარეები კი წყვილის ბავშვობის მეგობრები იყვნენ. თაკო აბაშიძემ საქორწინო კაბაც ჩაიცვა, რომელიც მას კომპანია „მარი გოლდმა“ აჩუქა. წყვილმა შეუღლება უახლოესი მეგობრებისა და ნათესავების წრეში რესტორან „ქიზიყში“ აღნიშნა.

როგორც თაკო აცხადებს, მათი მეგობრობა თეატრალურ უნივერსიტეტში დაიწყო, წლების შემდეგ კი ოჯახის შექმნით დაგვირგვინდა.

– მე და ლაშამ ერთმანეთი ძალიან დიდი ხნის წინ გავიცანით, ჯერ კიდევ მაშინ, როცა თეატრალურ უნივერსიტეტში ჩავაბარე. შემდეგ აღარ გვქონია ურთიერთობა, თუმცა კვლავ შევხვდით ერთმანეთს საერთო მეგობრების წრეში და ჩვენი ურთიერთობა სიყვარულში გადაიზარდა, – ამბობს თაკო აბაშიძე.

უკვე რამდენიმე თვეა, თაკო აბაშიძე გორის თეატრიდან წამოვიდა, ამჟამად კი ფრანგული თეატრალური კომპანიის წარმომადგენელი და პიარმენეჯერია. თაკოს მეუღლე ამჟამად თავისი პროფესიით არ მუშაობს, კერძო ბიზნესი აქვს და უცხოურ კომპანიაში მუშაობს, თუმცა პროფესიით კინოდოკუმენტალისტს ძალიან უნდა ფილმი გადაიღოს, რაშიც მსახიობი მეუღლე მაქსიმალურად ეხმარება.

ამჟამად წყვილი ცალკე ცხოვრობს ნუცუბიძის ქუჩაზე და ძალიან ბედნიერად გრძნობს თავს. როგორც თაკო აცხადებს, ბევრი შვილის გაჩენას და ქართველი ერის გამრავლებას აპირებს.

## მალხაზ ქვრივიშვილს ბიჭი შეეძინა



რუსთაველის თეატრის მსახიობს მალხაზ ქვრივიშვილს ბიჭი შეეძინა. მისმა მეუღლემ მარიამ ახობაძემ პატარა 8 დეკემბერს გააჩინა. წყვილი უკვე 2 წელია ერთად ცხოვრობს. მშობლებმა პატარას ანდრია დაარქვეს. როგორც მსახიობი ამბობს, მათ ჯვარი წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძარში დაიწერეს, პირველ შვილსაც ანდრია ამიტომ დაარქვეს. მალხაზს პირველი ქორწინებიდან 19 წლის გოგონა ჰყავს. პირველ მეუღლესთან თამუნა თვალავაძესთან ერთად 9 წლის განმავლობაში იცხოვრა. მეორე მეუღლე, ასევე თამუნა, მხოლოდ ედილაშვილი გახლდათ. მასთან მსახიობს ბიჭი – 6 წლის ლუკა ჰყავს. ორი ცოლის შემდეგ მსახიობმა რომანი გააბა მარიამ ტყებუჩავასთან. მისი ქალიშვილი ლიკა კი მარიამის ძმას გაყვა ცოლად. მარიამ ახობაძისთვის ეს მეორე ქორწინებაა, თუმცა მსახიობისგან განსხვავებით, იგი თავისი ყოფილი ქმრის ვინაობას საგულდაგულოდ მალავს.

მალხაზ ქვრივიშვილისა და მარიამ ახობაძის დაოჯახებამ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ბევრმა 47 წლის მსახიობისა და 20 წლის გოგონას სიყვარული დაგმო, თუმცა, როგორც წყვილი აცხადებს, ისინი თავს ერთად კარგად გრძნობენ და ამიტომ ჭორიკნებს ურჩევენ, ზედმეტი ქაქანისგან თავი შეიკავონ.

## დუეტი „ჯორჯია“ ახალ წელს ახალი სიმღერით ხვდება



დუეტი „ჯორჯია“ ახალ 2012 წელს ახალი სიმღერით ხვდება. სიმღერის პრემიერა ახალი წლის ღამეს თბილისის მერიის მიერ დაგეგმილ გრანდიოზულ გალაკონცერტზე შედგება.

უკვე წლებია რატი დურგლიშვილი და მაკა ზამბახიძე ახალ წელს ქუჩაში თავის კოლეგებთან ერთად ხვდებიან. საახალწლო კონცერტის შემდეგ „ჯორჯია“ უკვე რესტორან „ქალაქურში“ გადაინაცვლებს, სადაც კონცერტის ჩატარება აქვთ დაგეგმილი. ახალი წლის ღამეს მომღერლები „ესამესას“ ახლებური ინტერპრეტაციით შეასრულებენ და მსმენელისთვის ესეც პრემიერა იქნება.

დუეტი „ჯორჯია“ ახალ სიმღერებზეც მუშაობს, მათ შორის არის რატის მამის – კომპოზიტორ ვაჟა დურგლიშვილის სიმღერა „თოვს და თოვს“, რომლის ტექსტიც ნანა ცინცაძეს ეკუთვნის. თოვლიანი ზამთრის გარდა, დუეტი სიმღერას თბილისზეც წერს. მისი შესრულება კი მომღერლებს ცოცხალი გახმოვანებით და სიმფონიური ორკესტრის თანხლებით სურთ. სამომავლოდ „ჯორჯია“ სიმღერაზე „თბილისი“ კლიპის გადაღებასაც აპირებს.

3 იანვარს დუეტი „ჯორჯია“ ისრაელში დაგეგმილ გასტროლზე მიემგზავრება. მათთან ერთად ისრაელში კონცერტს გამართავს ლელა წურწუმიაც. კონცერტზე, რომელიც ისრაელში მცხოვრები ქართველებისთვის ჩატარდება, ცნობილი სიმღერები შესრულდება.

გვერდი მოამზადა ეკა ირემაშვილმა

შედით საიტზე atb.ge

# ჩემი მეუღლე შვილს ჩაგრავს

**ქალბატონი ნანული ქმართან 30 წლიანი თანაცხოვრების განმავლობაში ყოველთვის კმაყოფილი იყო, სანამ ერთი სერიოზული პრობლემის წინაშე არ დადგა. უკვე რამდენიმე წელია მისმა ქმარმა შვილების გარჩევა დაიწყო. თავიდან ქალბატონ ნანულის ძალიან უჭირდა ამის დაჯერება და ეგონა, ყველაფერი ეჩვენებოდა, თუმცა ბოლო წლებია, უკვე ნათლად ჩანს და ყველა ხედავს, რომ მის ქმარს მზე და მთვარე გოგონაზე ამოსდის, ბიჭს კი ყურადღებას ნაკლებად აქცევს.**
**ქალბატონ ნანულის არ ესმის, რატომ მოხდა მის ოჯახში ასეთი რამ, როცა თვითონ და მისი ქმარი ყოველთვის ამრეზით უყურებდნენ იმ მშობლებს, ვინც შვილებს ერთმანეთისგან არჩევდა.**

**ქალბატონი ნანული:**

– არც კი ვიცი, ჩემი ამბის თხრობა საიდან დავიწყო. უკვე 30 წელია გათხოვილი ვარ და ჩემს ქმართან ერთად მშვიდად ვცხოვრობ, თუმცა ამ ბოლო წლებში სერიოზული პრობლემა გაჩნდა ჩვენს ოჯახში – ჩემმა ქმარმა შვილების გარჩევა დაიწყო. ამის დაჯერება თავიდან ძალიან მიჭირდა, ბოლო წუთამდე მეგონა, მეჩვენებოდა და ყველაფერს ვაბუქებდი, მაგრამ საბოლოოდ ჩემი მეუღლის ქცევებმა დამარწმუნა, რომ ეს სიმართლეა.

მე და ჩემმა ქმარმა ერთმანეთი საერთო მეგობრის დაბადების დღეზე გავიცანით. მაშინ უკვე დანიშნული ვიყავი სხვა ბიჭზე, არათითზე ბეჭედიც მეკეთა, მაგრამ როცა ჩემი ახლანდელი მეუღლე, თემო დავინახე, ყველაფერი დავდაყირა დადგა. მივხვდი, რომ რაღაც დამემართა. ასეთი რამ მანამდე არასოდეს დამმართნია. იმ დღის შემდეგ მოსვენება დავკარგე. მართალია, ჩვენი შეხვედრა მხოლოდ ერთმანეთის გაცნობით და ერთი ცეკვით შემოიფარგლა, მაგრამ სახლში მისული მივხვდი, რომ ამ ადამიანის გარეშე ცხოვრებას ვერ შევძლებდი.

*– თქვენ ხომ უკვე დანიშნული იყავით?*

– კი, მაგრამ გულს ხომ ვერ უბრძანებ. ჩემს საქმროს წლების განმავლობაში ვიცნობდი, შეიძლება ითქვას, ერთად გავიზარდეთ, ჩვენი მშობლებიც ოჯახებით მეგობრობდნენ და ერთმანეთისთვის მხოლოდ კარგი უნდოდათ. მეც თითქოს ბედს ვიყავი შეგუებული, რომ ჩემი საქმრო – მახო უნდა ყოფილიყო ჩემი ცხოვრების თანამგზავრი, მაგრამ თემოს ნახვამ ჩემში ყველაფერი თავდაყირა დააყენა, თითქოს ვიღაცამ მაგრად შემანჯღრია და ღრმა ძილიდან გამომაფხიზლა.

იმ დღის შემდეგ გაუთავებლად ვეძებდი თემოს, სულ მინდოდა მისი ნახვა, მასთან ლაპარაკი, მასთან ერთად სეირნობა. ვხვდებოდი, რომ ეს სიგიჟე იყო, მაგრამ თავს ვეღარ ვაკონტროლებდი. დიდხანს, ძალიან დიდხანს ვუმალავდი ჩემს განცდებს მეგობრებს, მაგრამ ბოლოს ისევ გამბედაობა მეყო და ჩემს დაქალს, რომლის დაბადების დღეზეც თემო ვნახე, ყველაფერი მოვუყევი. თათიამ შეშინებულმა მომისმინა, მითხრა, ალბათ დროებითი გატაცებაა, რა დროს შენი თემოზე ფიქრია, ქორწილი კარზე მოგდგომიაო, მაგრამ თათიას მხოლოდ იმას ვთხოვდი, ერთხელ შემახვედრე, მარტო ერთხელ, ვითომ შემთხვევით და კიდევ ერთხელ რომ დავინახავ, ჩემს თავშიც გავერკვევი და ჩემს ტანჯვასაც ბოლო მოეღება-მეთქი.

*– დაქალმა სურვილი აგისრულათ?*

– მართალია ბევრი მახვეწნინა, მაგრამ სურვილი მაინც ამისრულა. თან ყველაფერი ისე დავგეგმეთ, თითქოს შემთხვევითობა იქნებოდა ჩემი და თემოს შეხვედრა და მეტი არაფერი. თათიამ კატეგორიულად გამაფრთხილა, იცოდე თავს კონტროლი გაუწიეო. ჩემი მეგობარი შეშფოთებული მელაპარაკებოდა, ასეთი გადარეული არასოდეს მინახიხარ, ასეთი რა დაეგმართაო. სანამ ის დღე დადგა, როცა თემოს უნდა შევხვედროდი, მე ჩემი დამემართა. ასე მეგონა, დრო გაჩერდა, აღარასოდეს დაღამდებოდა, როცა დაღამდებოდა, აღარასოდეს გათენდებოდა. წამებს ვითვლიდი, რომ თათიასთან მივსულიყავი.

*– თემოს საბოლოოდ მაინც შეხვდით?*

– კი და ის დღე აღმოჩნდა ჩემს ცხოვრებაში გადამწყვეტი. მეგონა, მშობლები ბავშვობიდან დამოუკიდებლად მზრდიდნენ, მაგრამ როცა თემო კიდევ ერთხელ დავინახე, მივხვდი, რომ მე მხოლოდ სათამაშო ვიყავი მათ ხელში. იმ წამს არაფერი მითქვამს, თან თათია გვერდიდან არ გვშორდებოდა, ჩემს ნიშნობის ბეჭდიან ხელს ხშირად თავის ხელზე დაიდებდა და თითქოს რაღაც სავარჯიშო მოძრაობებს აკეთებსო, ცხვირწინ მიტრიალებდა, აქაოდა, არ დაგავიწყდეს, დანიშნული ხარ, მალე გთხოვილი ქალი გერქმევა და ზედმეტი არაფერი წამოგცდესო.

*– როგორ დასრულდა თქვენი შეხვედრა?*

– თათია ერთი წამითაც არ გვტოვებდა, მე კი მზად ვიყავი, თემოსთვის ყველაფერი მეთქვა. ჩემს ბედად, ტელეფონმა დარეკა, თათია კი შეც-



ბა, ადგომას არც აპირებდა, მაგრამ თემომ უთხრა, გასკდა ტელეფონი, წადი აიღეო. როგორც კი თათია ოთახიდან გავიდა, თემოს ჩემი სახლის ტელეფონი მივეცი და გულით ვთხოვე, დამირეკე, სერიოზული საქმე მაქვს-მეთქი. თემო გაკვირვებული მიყურებდა, ისე შევევედრე, თათიასთან არაფერი წამოგცდეს-მეთქი, მთელი საღამო ხმა აღარ ამოუღია. თათია წამებში დაბრუნდა ოთახში, მე ჩემი საქმე უკვე გაკეთებული მქონდა და მშვიდად გავაგრძელეთ საუბარი. თან თათიას ვითომ გაბრაზებული შევხედავდი, მაინც არაფერი გამომივიდა-მეთქი. ასე დასრულდა ჩვენი ვითომ შემთხვევითი შეხვედრა.

*– თქვენი და თემოს ურთიერთობა როგორ გაგრძელდა?*

– თემოს ორ დღეში შევხვდი. ისე შევგებე, როგორც კარგა ხნის ნაცნობს. მისთვის არაფერი დამიმალავს, პირდაპირ ვუთხარი, რომ ძალიან მომწონდა, უფრო სწორად, მიყვარდა და ჩემს გრძნობებს ვერაფერს ვუხერხებდი. ისიც არ დამიმალავს, რომ დანიშნული ვიყავი და რამდენიმე თვეში სხვა ბიჭს უნდა გავყოლოდი ცოლად, თუმცა თუ ეს მოხდებოდა, ჩემზე უბედური ამქვეყნად არავინ იქნებოდა. თემო ჩემმა ნათქვამმა შეაშინა. ეს მის სახეზე ამოვიკითხე. დავამშვიდე და ვუთხარი, მისგან არაფერს ვითხოვდი, მარტო მსურდა ჩემს ნათქვამზე ეფიქრა.

*– როგორ გაგრძელდა თქვენი ურთიერთობა?*

– იმ საღამოს სახლში საკმაოდ გულდამშვიდებული მოვედი, თითქოს ლოდი მომხსნეს კისრიდან. მაშინვე ჩემს საქმროს დავურეკე და ჩემთან დავიბარე. მახო წამებში მოვიდა, მშობლები დავითხოვე და საქმროს ყველაფერი მოვუყევი. თავიდან ლაპარაკის დაწყება მიჭირდა, მაგრამ მერე ყველაფერი ვუთხარი, ტყუილში ცხოვრება არ შემეძლო. ბეჭედიც მოვიხსენი და დავუბრუნე. მახო ყურებს არ უჯერებდა, მაგრამ პატიება ვთხოვე და ვუთხარი, ვერ მოგატყუებ-მეთქი. მახოსთან დაშორების შემდეგ თავი აბსოლუტურად თავისუფლად ვიგრძენი, თითქოს იმ ბეჭედმა ჩემი ტვირთი თან წაიღო. ორი წელი დამჭირდა იმისთვის, რომ მოთმინებით მეცადა და თემოს სიყვარული დამემსახურებინა. ჩვენი ბოლო შეხვედრის შემდეგ დაახლოებით ორი კვირა თემო არ შემხმიანებია. მე თათიასთან ორჯერ მივედი და ვითომც არაფერი, დაქალთან დრო ჩვეულებრივად გავატარე. მისი ქცევებიდან მივხვდი, რომ არაფერი იცოდა. თემოზე კრინტიც არ დამიძრავს, არც მას უხსენებია და თითქოს უხაროდა კიდეც, რომ თემოთი აღარ ვინტერესდებოდი.

*– როგორ დაქორწინდით?*

– როცა ჩემმა მშობლებმა გაიგეს, მახოს ბეჭედი დავუბრუნე და სამუდამოდ დავემშვიდობე, დედაჩემი შოკში ჩავარდა. ამის დაჯერება უჭირდა, დიდხანს გაუთავებლად მეკითხებოდა, ასე რატომ მოიქეციო, მაგრამ არაფერს ვეუბნებოდი. მამაჩემმა მთხრა, ან მახო, ან არავინ, იცოდე, სხვაზე გათხოვების უფლებას არ მოგცემო. ამან კიდევ უფრო გამიჩინა პროტესტის გრძნობა და მე და თემო გავიპარეთ. შედეგად მშობლების ორწლიანი გაბუტვა მივიღეთ. ჩემი მშობლები ჩემს სანახავად არ მოსულან. მახომ ჩემი ამბავი რომ გაიგო, რუსეთში წავიდა ბიძამისთან. სიმართლე გითხრათ, მასზე დიდად არ მიდარდია, ბედნიერი ვიყავი და ეს იყო ჩემთვის უმთავრესი.

მე და თემო შვილს ძალიან დიდხანს ველოდებოდით. რამდენიმე წელი შვილი არ გვეძლეოდა. უკვე იმედი გვქონდა გადაწურული, როცა ძალიან უცნაური სიზმარი ვნახე – თითქოს ვიღაც თეთრებში ჩაცმული კაცი მოვიდა და მანიშნა, ჩქარა იქით გაიქეცი, ბავშვი იხრჩობა წყალში და გადაარჩინეო. თითქოს მეც სასწრაფოდ იქით გავიქეცი და დავინახე ჩვილი ბავშვი, რომელიც მდინარეში იხრჩობოდა. სიზმარში ის ბავშვი გადავარჩინე, როცა წყლიდან ამოვიყვანე, ვნახე, რომ ბიჭი იყო. გამოღვიძებული სულ ოფლიანი ვიყავი და თურმე ვკვნესოდი კიდეც. ეს სიზმარი ჩემს ქმარს რომ მოვუყევი, დამამშვიდა და მითხრა, ეს ღვთის წყალობაა, ნახე მალე შვილი თუ არ გვეყოლოსო. მართლაც მე და თემოს ორი შვილი გვეყოლა – როგორც ქართველებს უყვართ, ჯერ ბიჭი გაგვიჩნდა და მერე – გოგონა. ჩემი ქმარი ძალიან ამაყად დადიოდა, როცა გაიგო პირველი შვილი ბიჭი ეყოლებოდა. ცხადია, მეორე შვილი გოგონა უნდოდა და მეც ასე ვიყავი, რადგან ადამიანს უნდა ორივე სქესის შვილი ჰყავდეს. ორივე ბავშვს პატარაობიდანვე თავს ვევლებოდით, მაგრამ ბოლო პერიოდში ვატყობ, რომ ჩემი ქმარი გოგონას უფრო ანებივრებს ვიდრე – ბიჭს.

*– საიდან დაასკვენით?*

– მარიტა და უტა დაახლოებით 8 და 10 წლისები იქნებოდნენ, როცა რაღაც საკითხზე მე და ჩემს ქმარს კამათი მოგვივიდა. ჩემი ქმარი მიმტკიცებდა, უტას უფრო ბევრს უკეთებ, მარიტა კი ბედის ანაბარად გყავს მიტოვებულიო. ამის გაგება ძალიან მეწყინა, რადგან ორივე შვილს არაფერს ვაკლებდი, ღამეებს ვუთენებდი და სულ კუდში დავდევდი. დროთა განმავლობაში ეს კამათი დამავიწყდა კიდეც, რადგან მოგეხსენებათ, ქალს რამდენი საქმე აქვს. ჩემი ქმარი რომ შვილებს არჩევს, ამას ბოლო პერიოდში განსაკუთრებით ვხვდები. უტას რაც არ უნდა სჭირდებოდეს, მისთვის არასოდეს სცალია, საკმარისია მარიტამ რამე სთხოვოს, ან ერთი-ორი კურცხალი ცრემლი გადმოაგდოს, რომ მისთვის გაუჩენარსაც გააჩენს.

*– ასე რატომ გგონით?*

– ასე კი არ მგონია, ეს სიმართლეა. ჩემი ბიჭი გოგონაზე ორი წლით უფროსია. წესია, რომ ბიჭს უფრო მეტის უფლება აქვს, ვიდრე გოგონას, მაგრამ ჩვენს ოჯახში ასე არ არის. მარიტასთვის ყველაფერი შეიძლება – ახალი კაბის ყოველ კვირას ყიდვა, სამკაულების გაუთავებლად ინტერნეტში გამოწერა, სამაგიეროდ, უტასთვის არასოდეს არაფერი არ არის – არც ფული, არც მანქანას სცალია, რომ ბიჭებთან ერთად სადმე წავიდეს, არც ფული აქვს მამამისს, რომ რესტორანში მეგობრებთან ერთად გაუშვას და არც იმის საშუალება აქვს, რომ სწავლის საფასური დროულად დაუფაროს.

*– შვილები ფასიანზე სწავლობენ?*

– კი, ორივე ფასიანზე მოვხდა. ამ დროში ძალიან რთულია ასპროცენტიანი დაფინანსება მოიპოვო. ორივე შვილს ვამზადებდი, მაგრამ ორივე მაინც ფასიანზე მოხვდა, ადვილი ნამდვილად არ არის ორივესთვის ფულის გადახდა, მაგრამ ამას მეც და ჩემი ქმარიც თავიდანვე ძალიან კარგად ვხვდებოდით.

*– რატომ გგონიათ, რომ თქვენი ქმარი შვილებს არჩევს?*

– ერთხელ, როცა სამსახურიდან ნასვამი მოვიდა, თვითონ წამოცდა. უტაც მიყვარს, მაგრამ მარიტა ჩემთვის ყველაფერიაო. ამის გაგონება ჩემთვის ძალიან მტკივნეული იყო, რადგან ეჭვი ისედაც მქონდა და მისმა სიტყვებმა ამ ყველაფერში დამარწმუნა. უტას ძალიან უნდა მანქანა ათხოვოს ხანდახან მამამისმა, მაგრამ ყოველთვის რაღაც მიზეზის გამო უარს ეუბნება. წინა წელს დროულად არ მომიტანა თანხა, რომ უტასთვის სწავლის საფასურის ნაწილი მაინც გადამეხადა, მაშინ როცა მარიტას გადასახდელი თანხა ერთიანად მომიტანა და სანამ არ ჩამარიცხინა ანგარიშზე, მანამდე არ მოისვენა. ამ დროს უტასთვის გადასახადი ერთი კაპიკიც არ გვქონდა გადახდილი. რომ ვუთხარი, ეს თანხა გაგვეყო, ნახევარი უტასთვის შეგვეტანა და ნახევარი მარიტასთვის-მეთქი, გამიბრაზდა, მარიტა გოგოა და ჯერ მას უნდა გადავუხადოო. ასეთი რაღაცეებზე ხშირად ვკამათობთ, სულ ვეუბნები, რომ ასე მოქცევა არ შეიძლება, რომ შვილები სულ ერთია, რომ მას ან ორივესთვის უნდა ჰქონდეს, ან – არც ერთისთვის. კიდევ ბევრი წვრილმანია, რომელიც მარწმუნებს, რომ ჩემი ქმარი შვილებს არჩევს, მაგრამ ამის მოყოლას ახლა აზრი არ აქვს. მთავარი ჩემთვის ის არის, რომ ჩემი ქმარი შვილებს ასხვავებს.

*– თქვენი შვილები ამას გრძნობენ?*

– არ მინდა რომ ეს იგრძნონ და მაქსიმალურად ვცდილობ, სიტუაცია ვაკონტროლო, მაგრამ უკვე აღარ შემიძლია, ძალიან დავიღალე. ხანდახან მგონია, რომ უტა ყველაფერს ხვდება და არ იმჩნევს. არ მინდა ბავშვს გული ვატკინო, მაგრამ არც ის მინდა, რომ ქმართან ვიჩხუბო. არ ვიცი ჩემს ქმარს ასე რატომ დაემართა, როცა ამის გამო ყოველთვის სხვებს დასცინოდა. არ ვიცი რა მოვიმოქმედო, არც ის მინდა, რომ შვილებს ეს ამბავი ვაგრძნობინო, თუმცა ეჭვი მაქვს, რომ უტა ყველაფერს ხვდება, დამიჯერეთ, ნამდვილად არ მინდა ჩვენი ცხოვრება ასე გაგრძელდეს.

***თიკო ნინიაშვილი***

## მომღერალი სულიკო კოროშინაძე გარდაიცვალა



80 წლის ასაკში მომღერალი სულიკო კოროშინაძე გარდაიცვალა. მას 80 წელი 17 დეკემბერს შეუსრულდა. ბატონი სულიკოს გარდაცვალების მიზეზი ინსულტი გახდა. მომღერალს დიდი აღიარება და ხალხის სიყვარული არაერთმა ცნობილმა სიმღერამ მოუტანა. მათ შორის აღსანიშნავია „ო, რერო, რერო“, „ყური უგდე საქართველოს“, „მე თბილისელი ბიჭი ვარ“, „ბათუმს ქათქათას“. ხელოვანი, რომელმაც მთელი ცხოვრება მუსიკას მიუძღვნა, ბოლო წლებში საკუთარ გამოცდილებას დამწყებ მუსიკოსებს უზიარებდა. სულიკო კოროშინაძეს თბილისის მერიამ წელს საპატიო თბილისელის წოდება მიენიჭა. მომღერალი ქართული ესტრადის უხუცეს ვარსკვლავად იყო მიჩნეული.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ფარმაცევტთა ოფიციალური სახელმძღვანელო კრებული; 2. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 3. მუსლიმანთა რელიგიური სასამართლო; 4. არყის სასმელი პატარა ჭიქა; 5. უძველესი უნივერსიტეტი აშშ-ში; 6. სპარსეთის ყურეში მდებარე, ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ირანში; 7. კომპიუტერული თამაშების მოყვარული; 9. მეტროპოლიტენის სახელწოდება ინგლისსა და აშშ-ში; 13. მდინარე გურიაში; 17. ეგრისის მთავარი მე-VI საუკუნეში; 18. მდინარე ვოლგის მარჯვენა შენაკადი.

**თარაზულად:** 1. ახალი ათონის ძველი სახელწოდება. 3. სამონასტრო კომპლექსი თელავის რაიონში; 8. ხელჩართული ორთაბრძოლის აღმოსავლური სახეობა; 10. ყოველდღიური გაზეთი პორტუგალიაში; 11. პოპულარული ამერიკული თოჯინა; 12. მოძმე, ახლობელი; 14. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 15. ქალაქი იმერეთში; 16. მრავალშრიანი ფანერა; 19. იაპონური ავტომობილი; 20. მდინარე დასავლეთ დვინას სახელწოდება ლატვიაში; 21. ხის პატარა ხიდი.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა.*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ჩუღურეთი; 2. ხორბალი; 3. არაყი; 4. ნებიერი; 5. პორტალი; 10. მირზაანი; 11. კონტრაბასი; 12. აბსურდი; 15. ჰუმანიზმი; 16. პლებეი; 17. რეტორტა; 20. ოკაპი.

**თარაზულად**: 6. ბურგომისტრი; 7. ბენთოსი; 8. ვაიკულე; 9. შეკელი; 13. ფიტი; 14. ხოხობი; 18. მუხამბაზი; 19. პერიე; 21. რკალი; 22. შირაქი; 23. ტანგანიკა; 24. ერისტიკა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ტავტოლოგია; 2. ტრაქტი; 3. პინოქიო; 4. ლიმფა; 5. შოკოლადი; 6. კალია; 7. ბოზბაში; 9. პოშეტი; 13. ომანი; 17. ვაჩა; 18. ერა.

**თარაზულად**: 1. ტალანტი; 3. პოპოლო; 8. ბოგანო; 10. აქსიომა; 11. პორშე; 12. ფაჩულია; 14. მოსტრა; 15. ანოსმია; 16. დუვრი; 19. წყნეთი; 20. ქანდარა; 21. კოზაკი.

# მუცო ნადგურდება

ხევსურეთში შუა საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, ციხე – სოფელი მუცო ნადგურდება. როგორც მცხეთა–მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს არქიტექტორ – რესტავრატორმა ვაჟა ჭინჭარაულმა განუცხადა, დაზიანების ხარისხით ძეგლი საშუალოზე უარეს მდგომარეობაშია.

– დროზე თუ არ არ მივხედეთ, ალბათ მერე არაფერი აღარ ეშველება, რამდენიმე წელში, – ამბობს ვაჟა ჭინჭარაული.

ციხე–სოფელი ციცაბო კლდეზეა ნაგები და სამი მხრიდან მიუვალია. ვაჟა ჭინჭარაულის თქმით, ძეგლის 60% თითქმის დანგრეულია, აღდგენა – რესტავრაციას კი დაახლოებით 40% ექვემდებარება. – დანარჩენი ნაწილი, ზოგი საერთოდ ვერ აღდგება, ზოგი კონსერვაციას ექ-

– არქიტექტურულმა კომპანია „არსმა" კვლევითი სამუშაოები სწორედ 2004 წელს ჩაატარა. მოგვიანებით, 2008 წელს გაკეთდა მუცოს სრული რეაბილიტაციის პროექტი, თუმცა პროექტი შეჩერდა და არ განხორციელდა.

გასულ წელს, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელმა პროექტის „ღია გარემოსდაცვითი სამოქალაქო ინიციატივას" ფარგლებში, მუცოს რეაბილიტაციაზე მომუშავე ჯგუფების კოორდინაცია მოახერხა და რამდენიმე სამუშაო შეხვედრაც ჩაატარა, თუმცა რეალური შედეგის მიღება – რეაბილიტაციის დაწყება ვერ მოხერხდა.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორი ნიკა ვაჩეიშვილი მცხეთა–მთიანეთის საინფორმაციო ცენტრთან საუბარში აცხადებს, რომ




ვემდებარება, თუმცა იმის გამო, რომ ციხე – სოფელი ძალიან რთულ რელიეფზეა აშენებული, სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარება საკმაოდ რთული იქნება, – აღნიშნავს არქიტექტორ–რესტავრატორი.

– სერიოზულად თუ ვილაპარაკებთ მუცოს აღდგენაზე, პირველ რიგში, უნდა გაკეთდეს ჰესი. ელექტროენერგია უნდა იყოს მუცოში. ახლა არა აქვთ და ვერც ვერსაიდან ვერ მიიყვან. ამიტომ, მცირე ჰესი უნდა გაკეთდეს, რომ შემდეგ ამ ჰესზე იმუშაოს მონორელსმა, რომლითაც საშენ მასალას აიტან კოშკებამდე. ამწევი გზა უნდა გაკეთდეს ან საბაგირო იმიტომ, რომ ისე სხვანაირად იქ გზას ვერ აიყვან. მთლიანად ლანდშაფტიც ძეგლია და იმის გადათხრა არ შეიძლება, – აცხადებს ვაჟა ჭინჭარაული.

მუცოს რეაბილიტაციის გეგმა 2004 წლიდან არსებობს. სამშენებლო

შესაძლოა, მუცოს რეაბილიტაციის პროექტი 2012 წლიდან დაიწყოს.

– ეს არის რამდენიმე მილიონიანი პროექტი, დაახლოებით 15-17 მილიონი ლარის. ეს დაკავშირებულია ხევსურეთის როგორც ტურისტული, როგორც ავთენტური და როგორც ისტორიული მხარის აღორძინებასთან. თუმცა ეს თანხა არის მინიმალური და საჭიროა უფრო გლობალური, დიდი ინვესტიცია, რომ ცალკეულმა პროექტებმა ამ რეგიონში იმუშაოს. ორი – სამი წელი არის მინიმალური ვადა იმ პერსპექტივისა, რასაც აქაურობის აღორძინება ჰქვია. სავარაუდოდ, 2012 წლიდან დაიწყება რეაბილიტაციის პროექტი, თუმცა დინამიკას 2013-14 წლებში მიაღწევს", – განაცხადა ვაჩეიშვილმა.

**მცხეთა–მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი**

# ირლანდიელი ინვესტორი საქართველოდან გაიქცა



ირლანდიელი ინვესტორი სალივან ქიარა როზმარი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკუთრების უფლებების დარღვევაში ადანაშაულებს და სიღნაღში წართმეული ქონების დაბრუნებას ითხოვს. სასამართლო დავის დასრულებამდე უცხოელმა ინვესტორმა კახეთში ნაყიდი ყველა სხვა ქონება გაყიდა.

სალივან ქიარა როზმარიმ, რომელსაც საქართველოს მოქალაქეობაც აქვს, სიღნაღში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე ყოფილი არქივის შენობის მეორე სართული, 2008 წელს, ვანო ცაბუტაშვილისგან იყიდა.

ყოფილი არქივის შენობა ვანო ცაბუტაშვილმა და ირაკლი ღვინეფაძემ 2007 წლის აპრილში, აუქციონის შედეგად იყიდეს. ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, „მყიდველი" ვალდებული იყო აუქციონის შედეგების დამტკიცებიდან 30 დღის ვადაში გადაეხადა საპრივატიზაციო თანხა; შენობაში მოეწყო ლუდის ბარი; მოეპირკეთებინა ფასადი და განეხორციელებინა 100 000 ლარის ინვესტიცია.

2007 წლის მაისში ეკონიმიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაიონული სამმართველოს წარმომადგენლებმა ადგილზე შეამოწმეს, შესრულებული იყო თუ არა „მყიდველის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შემოწმების შემდეგ, მათ შეადგინეს დათვალიერების აქტი, სადაც აღნიშნულია, რომ მოპირკეთებულია შენობის ფასადი და მუშაობს ლუდის ბარი. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენლები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული 100 000 ლარის ინვესტიცია დროულად განხორციელდა და საპრივატიზაციო თანხაც დაფარულია. 2007 წლის 28 მაისს გოჩა ღვინეფაძესა და ვანო ცაბუტაშვილის სახელზე საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა გაიცა.

საკუთრების უფლების აღიარების შემდეგ ღვინეფაძემ და ცაბუტაშვილმა საერთო ქონების გაყოფა მოახდინეს. პირველი სართული ღვინეფაძის, მეორე კი -ცაბუტაშვილის მფლობელობაში გადავიდა. 2008 წელს ვანო ცაბუტაშვილმა თავისი კუთვნილი ქონება ძმის ცოლს, ირლანდიისა და საქართველოს მოქალაქეს - სალივან ქიარა როზმარის მიჰყიდა.

2010 წელს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ვანო ცაბუტაშვილს, გოჩა ღვინეფაძესა და ეკონომიკის სამინიტროს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო. ადმინისტრაციული წარმოების დაწყების მოტივად, ვანო ცაბუტაშვილის მიერ ნასყიდობის ხელშეკრულების პირობების დარღვევაა მითითებული, ოღონდ რომელი პირობა დაირღვა, მითითებული არარის.

16 მარტს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ გამოსცა ბრძანება - ნასყიდობის ხელშეკრულების მოშლის თაობაზე. სამინისტრომ კახეთის სამხარეო სამმართველოს ქონების ჩამორთმევისა და კვლავ სახელმწიფო საკუთრებაში დაბრუნების უზრუნველყოფა დაავალა. კახეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველომ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახურს მოსთხოვა, სიღნაღში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე ყოფილი არქივის შენობა სახელმწიფო საკუთრებაში დაებრუნებინა. საჯარო რეესტრის სააგენტომ მოთხოვნა დააკმაყოფილა.

სალივან ქიარა როზმარის ადვოკატის მალხაზ პატარაიას თქმით, სალივან ქიარა როზმარის და ირაკლი ღვინეფაძეს ქონება ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების და ახსნა-განმარტების გარეშე ჩამოართვეს.

დაზარალებული სალივან ქიარა როზმარი უკვე 2 წელია საკუთრების დაბრუნებას და მატერიალურ კომპენსაციას ითხოვს. სიღნაღის რაიონულ სასამართლოში მან პროცესი მოიგო. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ეკონომიკის სამინისტრომ გაასაჩივრა. თბილისის სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვა შეაჩერა, რადგან ეკონომიკის სამინისტრომ ამავე საქმეზე ახალი დავა წამოიწყო. გუშინ, რუსთავის საქალაქო სასამართლომ ეკონომიკის სამინისტროს სარჩელი დააკმაყოფილა და ვანო ცაბუტაშვილთან 2007 წლის აპრილში დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილად სცნო.

მალხაზ პატარაია განმარტავს, რომ მისი კლიენტი საქართველოში საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტებით შეშფოთებულია. „მას მიაჩნია, რომ არ ჰქონდა არავითარი გარანტია, რომ არ წაართმევდნენ ქონების დარჩენილ ნაწილსაც, რომელიც მან საქართველოში ბიზნესის გასაკეთებლად შეიძინა. ამიტომ, მიიღო გადაწყვეტილება და ყველაფერი გაყიდა, მათ შორის 60 ჰექტარი მიწის ნაკვეთიც სიღნაღის რაიონში. სერიოზული ბიზნეს გეგმები ჰქონდა, მაგრამ განხორციელების საშუალება არ მისცეს. ის არ აპირებს, წართმეული ქონება სამინისტროს დაუტოვოს. შეიძლება საქართველოს მოქალაქეებთან სამინისტროს ასეთი ქმედებები გასდის, მაგრამ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ირლანდიის მოქალაქეა და გაჩერებას არ აპირებს. მას საქართველოში ჩამოსვლაც კი აღარ უნდა, არათუ რაიმეს გაკეთება", - განუცხადა ადვოკატმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში ამ საქმეზე კომენტარს არ აკეთებენ.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო–აღდგენითი სამუშაოები**

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა აკლდამის აღდგენასა და გამშვენებაში, დარეკეთ: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და აჰტელი 700 608. ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით. შედით მენიუში: სხვადასხვა—საქველმოქმედო—ხობის მონასტერი.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და აჰტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

2012 წლის 10 იანვრიდან ყველა მობილური ოპერატორიდან (ბილაინის გარდა) და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900. ბილაინის აბონენტებს ზარის განხორციელება შეუძლიათ 20 იანვრიდან).




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## SMS-განცხადებები - 3090

● მუხრან-თელეთში 275 კვ.მ. საცხოვრებელი სახლის თეთრი კარკასი, მონტერეის გადახურვით, საკუთარი წყლით, ბუნებრივი აირით, 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, რკინის კარით და ჟალუზებით, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრებით, თბილისიდან 20 კმ-ში, თელეთის ახალ ბაზართან 5 კმ-ში. შესაძლებელია განვადება. ფასი 30000 დოლარი. ტელ.: 790-55-58-62; 577-42-41-22. გიორგი.

● სოფ. ასურეთში 170კვ.მ გასარემონტებელი სახლი, 800კვ.მ მიწის ნაკვეთით, ხეხილით და ვაზის ტალავერით. ბოლო ფასი: 15000 დოლარი. ტელ.: 8-790-45-58-19, 832-2-45-58-19, 595-62-82-22.

## განცხადებები

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. დაგვიკავშირდნენ მხოლოდ მკურნალობის ახლავე დაწყების მსურველები. მომავლისათვის მკურნალობის მსურველები დაგვიკავშირდით მხოლოდ მომავალში. მიღება წინასწარი ჩაწერით. მისამართი: ქ.თბილისი, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. ტელ: 551-254-535 ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.



ვაცლავ ჰაველი

# ჰაველ, ევროპას ძალიან სჭირდები!

ჩეხეთის პირველი პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი პარასკევს, 23 დეკემბერს დაკრძალეს. ცერემონიაში მონაწილეობა მიიღეს მსოფლიო ლიდერებმა, მათ შორის ჰილარი კლინტონმა, ანგელა მერკელმა, დონალდ ტუსკმა და სხვებმა.

მთავრობის გადაწყვეტილებით, 21-დან 23 დეკემბრამდე ქვეყანაში გლოვის დღეები გამოცხადდა.

ჩეხოსლოვაკიის უკანასკნელი და ჩეხეთის პირველი პრეზიდენტი, მწერალი და ჰუმანისტი ვაცლავ ჰაველი 18 დეკემბერს, 75 წლის ასაკში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. ის ფილტვის კიბოთი იყო ავად და ბოლო წლებში რამდენიმე ოპერაცია გადაიტანა.

ვაცლავ ჰაველი იყო ჩეხოსლოვოკიაში ერთ-ერთი გამორჩეული დისიდენტი და კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ აქტიური მებრძოლი. ქვეყნის სხვა პატრიოტებთან ერთად მის სახელს უკავშირდება ქვეყანაში სოციალისტური წყობილების ნგრევა.

კომუნისტურ ჩეხოსლოვაკიაში ჰაველი აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკურ საქმიანობაში და დისიდენტური მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერად გვევლინებოდა.

ის იყო ადამიანის უფლებათა მანიფესტის, „ქარტია 77"-ის ერთ-ერთი ავტორი და ხელმომწერი დოკუმენტისა, რომელიც ჩეხოსლოვაკიის ოპოზიციური მოძრაობის წარმმართველ ძალად იქცა.

1980-იან წლებში ჰაველმა „სამოქალაქო ფორუმი" შექმნა, რომელიც ქვეყანაში სიციალისტური ბლოკის დაშლის წინ, მთავარ ოპოზიციურ ძალად იქცა.

1989 წელს კი ვაცლავ ჰაველი ჩეხეთის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური პალატების ერთობლივ სხდომაზე პრეზიდენტად (1989-92) აირჩიეს.

მას შემდეგ კი, რაც 1993 წელს ჩეხეთი და სლოვაკეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად იქცნენ, ჰაველი დამოუკიდებელი ჩეხეთის პირველი პრეზიდენტი გახდა (1993-2003).

მისი მმართველობის 13 წელიწადში, ქვეყანამ რადიკალური ცვლილება განიცადა. მათ შორის იყო სლოვაკიასთან გამოყოფა, რასაც ჰაველი ეწინააღმდეგებოდა, ნატოს წევრობის მოპოვება და ევროპის კავშირის წევრობაზე დიალოგის დაწყება, რომელიც 2004 წელს, ჰაველის თანამდებობიდან წასვლის წლისთავზე, ჩეხეთის ევროკავშირში გაწევრიანებით დასრულდა.

— ჰაველი ბერლინის კედლის დანგრევის შემდგომი პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწეა, — აღნიშნავენ ანალიტიკოსები.

პოსტსოციალისტურ ქვეყანაში წარმატებული ეკონომიკური რეფორმების გატარება შეძლო, რომლებიც დემოკრატიის და ჰუმანიზმის ჰაველისეულ იდეალებს არ ეწინააღმდეგებოდა.

დაწერილი აქვს ოცზე მეტი პიესა და რამდენიმე თხზულება, რომელიც მრავალ ენაზეა თარგმნილი. ჰაველს მიღებული აქვს ამერიკის პრეზიდენტის თავისუფლების მედალი, ფილადელფიის თავისუფლების მედალი, კანადის ორდენი და კეთილი ნების ელჩის წოდება.

ჟურნალ „როსპექტ აგაზინეს" მიერ ჰაველი დასახელებულ იქნა მსოფლიოს მთავარ 100 ინტელექტუალთა შორის მეოთხე ნომრად.

ჰაველი არის ცნობილი დოკუმენტის — პრაღის დეკლარაცია ევროპის ნებისა და კომუნიზმის შესახებ, დამფუძნებელი ხელმომწერი.

## ოჯახი და კარიერა

ვაცლავ ჰაველი დაიბადა პრაღაში, 1936 წლის 5 ოქტომბერს. იგი იზრდებოდა ცნობილ და მდიდარ ინტელექტუალთა და საქმოსანთა ოჯახში, რომელიც მჭიდრო კავშირში იყო 1920-40 წლებში ჩეხოსლოვაკიაში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებთან.

ჰაველის მამა ფლობდა პრაღის ყველაზე მაღალ წერტილზე განლაგებულ უბან ბარანდოვს, მისი დედა კი ცნობილი ჟურნალისტისა და ელჩის ქალიშვილი იყო. ასეთი ბურჟუაზიული წარმომავლობის გამო, კომუნისტურმა რეჟიმმა ჰაველს ფორმალური განათლების მიღება აუკრძალა.

1950-იანი წლების დასაწყისში, ახალგაზრდა ჰაველი ერთ-ერთ ქიმიურ ლაბორატორიაში ოთხი წლით მოეწყო შეგირდად.

ამავდროულად იგი სწავლობდა საღამოს კლასებზე და 1954 წელს საშუალო განათლება დაასრულა.

პოლიტიკური მიზეზების გამო, ჰაველი არ მიიღეს არც ერთ ჰუმანიტარული სწავლების კურსზე, რის გამოც მან ჩეხეთის ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა, თუმცა აქ მან მხოლოდ ორი წელი დაჰყო.

1964 წელს, ჰაველმა საკუთარი დედის ნების წინააღმდეგ ცოლად მოიყვანა პროლეტარი ოლგა სპლიჩალოვა.

მისი ოჯახის ინტელექტუალური ტრადიციის შესაბამისად, ვაცლავ ჰაველმა გადაწყვიტა ჰუმანიტარულ გზას გაჰყოლოდა.

1957-59 წლებში სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ, ჰაველი მუშაობდა სცენის ასისტენტად თეატრში (თეატრი ბალუსტრადაზე) და სწავლობდა დრამას პრაღის თეატრალურ აკადემიაში.

ჰაველის პირველი სრულსიგრძიანი პიესა იყო ბაღის წვეულება (1963). იგი წარმოდგენილი იქნა ბალუსტრადაში გამართულ აბსურდის თეატრის სეზონზე და მან ჰაველს საერთაშორისო აღიარება მოუტანა.

მალე ჰაველმა დაწერა მისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პიესა მემორანდუმი და კონცენტრირების უფრო დიდი სირთულე. 1968 წელს, მემორანდუმი დაიდგა ნიუ-იორკის საჯარო თეატრში, რამაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ჰაველის რეპუტაციის დამკვიდრებას ხელი შეუწყო.

საჯარო თეატრმა ჰაველის პროდუქციის დადგმა შემდეგი ოცი წლის მანძილზე გააგრძელა, თუმცა ჩეხოსლოვაკიაში ჰაველის პიესები აკრძალული იყო, თვითონ ჰაველი კი ვერ ტოვებდა ქვეყანას, რომ მისი პიესების უცხოური დადგმები თავად ეხილა.

## დისიდენტობის სიმბოლო

ვაცლავ ჰაველის ბოლო პიესის — „წასვლის" — მთავარი პერსონაჟი რომელიღაც დაუკონკრეტებელი ქვეყნის ყოფილი ხელმძღვანელია, რომელიც ხელისუფლებიდან უნდა წავიდეს. ძალაუფლების დათმობის პროცესი მას იმდენად უძნელდება, რომ მის გარშემო მთელი სამყარო აბსურდის კონტურებს იძენს და ბოლოს ინგრევა კიდეც.

ჩვენ გვსურს თავისუფალ, დემოკრატიულ და მდიდარ ჩეხოსლოვაკიაში ვიცხოვროთ. ჩვენ გვსურს დავბრუნდეთ ევროპაში...

ამ პიესის წერა ჰაველმა ჯერ კიდევ 1988 წელს დაიწყო, თუმცა ჩეხოსლოვაკიის „ხავერდოვანი რევოლუციის" ლიდერად, შემდეგ კი პრეზიდენტად ქცევის გამო ის დიდი ხნით გადადო გვერდზე.

მაგრამ, როგორც მისი თანამებრძოლები ამბობენ, ძალაუფლების ბუნებაზე, სიმართლეზე, მორალზე, სამართლიანობასა და ისტორიაში ინდივიდის როლზე ფიქრი მას არასოდეს შეუწყვეტია — არც აქტიური პოლიტიკოსობის დროს და არც ლიტერატურული მოღვაწეობის პერიოდში.

„ჩვენ გვსურს თავისუფალ, დემოკრატიულ და მდიდარ ჩეხოსლოვაკიაში ვიცხოვროთ. ჩვენ გვსურს დავბრუნდეთ ევროპაში და არასოდეს დავთმობთ ჩვენს იდეალებს, რაც უნდა მოხდეს მომდევნო დღეებში", — ამ სიტყვებით მიმართა ვაცლავ ჰაველმა 1989 წლის 23 ნოემბერს პრაღაში, ვაცლავის მოედანზე შეკრებილ 300 ათას ადამიანს ჩეხოსლოვაკიის ე.წ. „ხავერდოვანი რევოლუციის" დღეებში, რომელმაც კომუნისტური რეჟიმის მშვიდობიანი დასასრული მოიტანა.

— იმავე წლის ბოლოს ჰაველი ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტად აირჩიეს. ქვეყანაში კომუნიზმის ოთხი ათწლეული ისტორიას ჩაბარდა, — წერს „თავისუფლება".

## 1989 წლის მოვლენების სიმბოლო

ვაცლავ ჰაველმა ლეგენდარული სტატუსი შეიძინა. ის 1989 წლის შემდეგ განხორციელებული დემოკრატიული ტრანსფორმაციის სიმბოლო გახდა — ბევრი თვლის, რომ ჰაველის მსგავსი ინდივიდების გარეშე თავისუფალი ევროპა მიუღწეველ იდეალად დარჩებოდა.

„ჰაველმა განმსაზღვრელი როლი შეასრულა გვიანდელი მეოცე საუკუნის ევროპაში. ის მხოლოდ დისიდენტი არ იყო — ის საკუთრივ ამ ცნების განსხეულებას წარმოადგენდა", — წერს ბრიტანელი ისტორიკოსი, 1989 წლის შემდგომი ევროპის ანალიტიკოსი ტიმოტი გარტონ ეში 19 დეკემბრის გაზეთ „გარდიანში" და განაგრძობს:

„ის უბრალოდ ევროპელი არ ყოფილა. ის იყო ევროპელი, რომელიც პროფესიონალი დრამატურგის მჭევრმეტყველებით და ყოფილი პოლიტპატიმრის ავტორიტეტით მუდმივად შეგვახსენებდა ევროპული პროექტის ისტორიულ და მორალურ განზომილებებს.

როცა ხედავ, დღეს რა დღეშია ეს პროექტი, ძალაუნებურად აღმოგხდება ძახილი: ჰაველ, ევროპას ძალიან სჭირდები!"

ბრიტანელი ისტორიკოსის აღმატებული სიტყვების მსგავს ემოციას ვხვდებით იმ უამრავ სამძიმარსა თუ წერილში, რომელიც ვაცლავ ჰაველის გარდაცვალების შემდეგ ვრცელდება.

„გმირი", „გამონაკლისი", „შეურყვნელი" — ასე ახასიათებენ ჰაველს მოქმედი და ყოფილი პოლიტიკოსები, ანალიტიკოსები თუ მწერლები.

გავრცელებულ განცხადებაში აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა ამბობს, ჰაველის „მშვიდობიანმა წინააღმდეგობამ იმპერიის საფუძველი შეარყია, რეპრესიული იდეოლოგიის სიცარიელე გამოააშკარავა და დაამტკიცა, რომ მორალით ხელმძღვანელობა ნებისმიერ იარაღზე უფრო ძლიერი რამაა".

გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი აცხადებს, რომ გერმანია „დიდი ევროპელის" დაკარგვას გლოვობს.

ევროპარლამენტის პრეზიდენტმა კი, იეჟი ბუზეკმა, უბრალოდ თქვა: „ჰაველი გმირი იყო და ასეთად დარჩება".

საქარველოს პრეზიდენტმა ვაცლავ ჰაველი ღირსების ორდენით დააჯილდოვა.

ვაცლავ ჰაველის სიკვდილს საქართველოს პრეზიდენტიც გამოეხმაურა, რომელმაც ორი თვის წინ, პრაღაში ვიზიტისას, ჰაველს დემოკრატიის განმტკიცებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მის მიერ გატარებული პოლიტიკისთვის მადლობა გადაუხადა და ღირსების ორდენი გადასცა.

„ეს დიდი დანაკარგია მსოფლიოსა და ყველა ჩვენგანისთვის. საქართველო ყოველთვის მადლიერი იქნება მისი მხარდაჭერისთვის", — ნათქვამია საქართველოს პრეზიდენტის „ფეისბუქის" ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში.

ქართული ოპოზიციის ლიდერი ბიძინა ივანიშვილი ჩეხეთის საელჩოში ვაცლავ ჰაველის გარდაცვალების გამო სამძიმრის გამოსახატად მივიდა.

ბიძინა ივანიშვილმა ჩეხეთის საელჩოს წარმომადგენლებს მიუსამძიმრა. როგორც ბიზნესმენმა ჟურნალისტებს განუცხადა, ვაცლავ ჰაველი იყო გამორჩეული მოაზროვნე, ჰუმანისტი და სამაგალითო პიროვნება.

ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ვაცლავ ჰაველი იყო დემოკრატიულ ფასეულობათა ქომაგი, მშვიდობისმყოფელი და თავისუფლებისთვის მებრძოლი გმირი.

## „დისიდენტობისკენ პასუხისმგებლობის განცდა გიბიძგებს"

თუმცა, ამ მასშტაბური აღფრთოვანების მიუხედავად, ჰაველი, მისი მეგობრების და პარტნიორების დახასიათებით, ბოლომდე თავმდაბალ და ზრდილობიან კაცად დარჩა, რომელიც საკუთარ დიდებასაც მსუბუქად და იუმორით აღიქვამდა.

„დისიდენტი იმის გამო არ ხდები, რომ ერთ დღეს უბრალოდ გაიღვიძებ და გადაწყვეტ, რომ ამ უაღრესად უჩვეულო კარიერას უნდა მისდიო.

ამისაკენ პირადი პასუხისმგებლობის განცდა გიბიძგებს, რასაც კომპლექსური გარეშე ფაქტორები ემატება", — წერდა ჰაველი 1978 წელს.

„მოქმედი სტრუქტურების გარეთ რჩები და მათთან დაპირისპირებული ხარ. ყველაფერი იმით იწყება, რომ შენი საქმე გინდა კარგად აკეთო, ბოლოს კი ხალხის მტრის იარლიყს მოგაკრავენ."

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჰაველი შეძლებულ ოჯახში დაიბადა. ბურჟუაზიული წარმომავლობის გამო კომუნისტურმა რეჟიმმა მას არ მისცა უმაღლესი განათლების მიღების საშუალება.

ჰაველი ლაბორატორიაში და შემდეგ ლუდსახარშში მუშაობდა და პარალელურად წერას განაგრძობდა. კომუნისტურ რეჟიმთან დაპირისპირება ჰაველს თავიდან თავისი პიესების გამო მოუხდა, რომლებშიც მას ამ რეჟიმის პირობებში ცხოვრების აბსურდული მხარეები ჰქონდა აღწერილი.

1968 წელს, ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა ტანკების შესვლისა და იქ რეფორმატორული მოძრაობის ჩახშობის შემდეგ, ჰაველის პიესები აკრძალეს, თავად დრამატურგი კი უშიშროების მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ მოექცა, — აცხადებს „თავისუფლება".

## ვაცლავ ჰაველი, 1970 წ.

1976 წელს ჰაველი ისტორიული დოკუმენტის — „ქარტია 77-ის" — თანაავტორი გახდა. ქარტია კომუნისტური მთავრობისგან ადამიანის უფლებების იმ ხელშეკრულებების დაცვას მოითხოვდა, რომელზეც მას ხელი ჰქონდა მოწერილი. ქარტიის ავტორებზე რეპრესიები განხორციელდა. ჰაველი ციხეში მოხვდა.

საპატიმროში მას მნიშვნელოვნად გაუუარესდა ჯანმრთელობის მდგომარეობა — გადაბმულად ეწეოდა სიგარეტს და ფილტვის ქრონიკული პრობლემები დაეწყო. სწორედ ფილტვების და სასუნთქი გზების დაავადება იყო ერთ-ერთი ფაქტორი, რომელმაც ის 75 წლის ასაკში იმსხვერპლა.

პოლიტპატიმრიდან ის „ხავერდოვანი რევოლუციის" ლიდერად იქცა, შემდეგ კი თავისი ქვეყნის ფილოსოფოსი-პრეზიდენტი გახდა.

აქტიური პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ჰაველი ლიტერატურას დაუბრუნდა, თუმცა პოლიტიკურ ცხოვრებასა და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში ბოლომდე ჩართული დარჩა.

ჰაველს ახლო ურთიერთობა ჰქონდა დალაი ლამასთან, რომელმაც ის ახლახან მოინახულა პრაღაში. ჰაველმა და დალაი ლამამ ერთად მოაწერეს ხელი დეკლარაციას, რომელიც მხარდაჭერას უცხადებს ჩინეთის, ჩრდილოეთ კორეის, სირიის და სხვა ქვეყნების დისიდენტებს.

რამდენიმე დღის წინ, 15 დეკემბერს, რადიო თავისუფლების ბელორუსული სამსახურის თხოვნით, მან ბელორუსიის პოლიტპატიმრებს გაუგზავნა საახალწლო მილოცვა.

საქართველოს მოქალაქეებს ალბათ ახსოვთ, რომ ჰაველი ერთ-ერთი იყო იმ ღია წერილის ხელმომწერებს შორის, რომელიც 2009 წლის სექტემბერში დასავლეთის წამყვან გამოცემებში გამოქვეყნდა და რუსეთ-საქართველოს შორის შექმნილ ვითარებას ეხებოდა.

„ვაკვირდებით რა დღევანდელ ევროპას, ჩვენთვის სრულიად აშკარა ხდება, რომ ისტორია არ დასრულებულა და ის ჯერაც ტრაგიკული რჩება. ნახევარი კონტინენტის ემანსიპაციიდან ოცი წელი გავიდა, ევროპაში კი ახალი კედელი შენდება — ამჯერად საქართველოს სუვერენულ ტერიტორიაზე", — ვკითხულობთ წერილში.

„ეს უაღრესად სერიოზული გამოწვევაა ევროპის მოქალაქეებისთვის, ინსტიტუტებისა და მთავრობებისთვის. მზად ვართ დავყაბულდეთ ვითარებას, როცა პატარა ქვეყნის საზღვრები ძალის გამოყენებით და ერთპიროვნულად იცვლება? მზად ვართ, მოვითმინოთ ძლიერი სახელმწიფოს მიერ უცხო ტერიტორიების დე ფაქტო ანექსია?"

## ჰაველი და კონტრკულტურა

პოლიტიკური ფიგურის რანგში ჰაველის არაორდინარულობას კონტრკულტურისადმი დიდი სიყვარულიც განაპირობებდა, რომელიც მან პრაღის ციხე-სიმაგრეში, პრეზიდენტის რეზიდენციაშიც თან მიიტანა.

აცხადებდა, რომ რეზიდენცია მეტისმეტად დიდი იყო ფეხით მოსავლელად და გადაადგილებისთვის მოტოროლერს იყენებდა.

1990 წელს ამერიკელი ავანგარდისტი როკმენი, ფრენკ ზაპა, ჰაველმა თავისი მთავრობის კულტურულ ელჩად დანიშნა.

მეგობრობდა ნიუ-იორკის ავანგარდული როკის ინტელექტუალურ ვეტერანთან, საკულტო მნიშვნელობის ჯგუფის, „ველვეტ ნდერგროუნდ"-ის ვოკალისტთან, ლუ რიდთან.

ჰაველმა პრაღაში როლინგ სტოუნსიც ჩაიყვანა. ამ ჯგუფისთვის ჰონორარის გადასახდელად საკმარისი თანხა ქვეყანაში ვერ მოინახა, მაგრამ ჰაველის პატივსაცემად მიკ ჯაგერმა და კომპანიამ პრაღის ერთ-ერთ პარკში უფასო კონცერტი გამართეს.

დღეს ბევრი ჩეხი გეტყვით, რომ კომუნისტური სისტემის დასასრული მათთვის საბოლოოდ სწორედ იმ დღეს, იმ კონცერტზე დადასტურდა.

ჰაველის სიკვდილს როკის სამყაროს წარმომადგენლებიც გამოეხმაურნენ. ჰაველი ჩემი გმირი იყო — კომუნისტურ ციხეში ჯდომის დროს, ხავერდოვანი რევოლუციის მოლოდინში, ის სულის სიმტკიცის შესანარჩუნებლად როკ-ენ-როლს უსმენდაო, დაწერა ჯონ დენსმორმა, თანამედროვე ამერიკული კულტურის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ჯგუფის, „დორსის" ყოფილმა დრამერმა.

ჩეხეთის მოქალაქეებს ახლაც ახსოვთ საახალწლო მიმართვა, რომლითაც ჰაველი მათ წინაშე 1990 წელს წარდგა და რომელიც რადიკალურად განსხვავდებოდა იმ ფსევდოოპტიმისტური პროპაგანდისგან, რომელიც ქვეყანაში კომუნისტური მმართველობის ოთხი ათწლეულის მანძილზე ისმოდა.

„ორმოცი წლის განმავლობაში ჩემი წინამორბედები ამ დღეს სხვადასხვა ფორმით ერთსა და იმავეს გეუბნებოდნენ — როგორ იფურჩქნება ჩვენი ქვეყანა, როგორი ბედნიერები ვართ", — თქვა ჰაველმა და დასძინა, არა მგონია ამ პოსტზე იმის გამო აგერჩიეთ, რომ მეც ასეთი ტყუილები გითხრათო.

დღეს — მისი გარდაცვალების შემდეგ — ბევრი გეტყვით, რომ ეს გამოსვლა კარგად ასახავს ჰაველის ფიგურას. იმ უბრალო, გრანდიოზულობას მოკლებულ და გულწრფელ სტილს, რომელიც მან უზარმაზარი პოლიტიკური კაპიტალის და საერათაშორისო დიდების ფონზე ბოლომდე შეინარჩუნა, — წერს „თავისუფლება".

**მოამზადა ვერა მამულაშვილმა**

# ახალი წიგნები

## გთავაზობთ ბოლო დროს გამოსული ქართული წიგნების მოკლე ანოტაციას

### 50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო სანამ ცოცხალი ხარ

**ფიოდორ დოსტოევსკი**
**ძმები კარამაზოვები**
(ნაწილი 1)




გვ. რაოდ.:440 გვ.
ფასი:12 ლარი
ფორმატი: 15.5X21.5
ყდა: მაგარი
გამომც:
„პალიტრა L“

**ფიოდორ დოსტოევსკი**
**ძმები კარამაზოვები**
